ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
№167 (12846) 18 ივლისი შაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი გარიგება



# იბრა და ბარსა, ეტოო და ინტერი



ლაპორტა და მორატი შეთანხმდნენ

## 41 მილიონი ევრო, პლუს ეტოო და გლები

» გვერდი 8



### მესამე საკვალიფიკაციომდე ჯერ შორია

წილისყრა » გვერდი 2



### მჟავანაძე ინტერში... ცხადაძესთან

» გვერდი 5

გამოხმაურება



### კაჭარავა: უნდა ვისწავლოთ გოლის გატანა

» გვერდი 2

## მაქსიმუმი: ნოზაძის ვერცხლი

» გვერდი 13





### გეგუჩაძე: გჯეროდეთ საკუთარი ძალების!

იმერული რეცეპტი შვედების წინააღმდეგ

» გვერდი 3

ევროპის ლიგა

მეტალურგსი-დინამოს შემდეგ

# ვისწავლოთ გოლის გატანა!

## კახა კაჭარავა: ვაჯობეთ, მაგრამ მაინც წავაგეთ

ევროტურნირების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა რომ ჩატარდა, მაშინვე აღვნიშნეთ: ქართული გუნდებიდან ყველაზე ძალიან თბილისის „დინამოს“ გაუმართლა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გუნდების მეტოქეებს ერთმანეთს თუ შევადარებთ, ლატვიის „მეტალურგსი“ სიძლიერით ჩამოუვარდება იმავე „ჰელსინბორგს“, „ლეგიასა“ თუ „მარიბორს“. თუმცა, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ, ჩვენგან განსხვავებით, ლატვიაში გახურებული სეზონი მიმდინარეობს და „მეტალურგსიც“ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. ასეა თუ ისე, „მეტალურგსისა“ და „დინამოს“ წყვილში ფავორიტად მაინც ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს მივიჩნევდით. ასეა ახლაც - ანუ, იმის მიუხედავად, რომ ორრაუნდიანი პაექრობის პირველი მატჩი ლატვიური გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ჰო, ეგრეა - ანგარიში კატასტროფული არ არის და გვჯერა, რომ განმეორებით შეხვედრაში „დინამო“ შეძლებს ერთბურთიანი სხვაობის გაბათილებას. მით უფრო, რომ ლიეპაიაში ჩატარებული მატჩის შედეგი აშკარად არასამართლიანი იყო - ყოველ შემთხვევაში, „დინამო“ წაგებას ნაღდად არ იმსახურებდა. ეგ კი არა, რომ არა უამრავი გამოუყენებელი მომენტი, წესითა და რიგით, კახა კაჭარავას გუნდს სტუმრად გამარჯვებაც არ უნდა გასჭირვებოდა.

და მაინც: რატომ ვერ შეძლო „დინამომ“ ამ მატჩში მოგება, რა იყო მარცხის ძირითადი მიზეზი, რას უნდა ველოდოთ განმეორებით შეხვედრაში - ლატვიიდან გამოფრენის წინ, აი, სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს კახა კაჭარავას.



**- ლატვიაში ჩასულებს, მატჩამდე რაიმე ხელისშემშლელი მიზეზი ხომ არ გქონდათ?**

- მსგავსი არაფერი ყოფილა - როგორც დავგეგმეთ, ყველაფერი ისე წარიმართა; მატჩის წინა დღეს ნაყოფიერად ვივარჯიშეთ, პირობებიც მშვენიერი გვქონდა. ვერც ამინდზე დავიწუწუნებ და ვერც მოედნის საფარზე - ამ მხრივაც იდეალურ გარემოში ვიყავით.

**- „მეტალურგსთან“ მატჩში „დინამომ“ ზუსტად იმავე შემადგენლობით ისპარეზა, როგორიც უკანასკნელი საკონტროლო მატჩი იყო „კარლ ცაისთან“...**

- მოკლედ გიპასუხებთ: ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ეს იყო ყველაზე ოპტიმალური შემადგენლობა. ანუ, სხვადასხვა სახის საკადრო პრობლემების გათვალისწინებითაც...

**- ლატვიაში გამგზავრების წინ რომ ვისაუბრეთ, რამდენჯერმე ვახსენეთ ფსიქოლოგიური ასპექტები. როგორ მიგაჩნიათ, მატჩის საბოლოო შედეგზე ყოველივე ამან გავლენა იქონია?**

- ვფიქრობ, მსგავსი რამ არაფერი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ფეხბურთელებს შიშის ფაქტორი არ ჰქონიათ; უბრალოდ, მოთამაშეთა უმეტესობას ასეთ დონეზე ასპარეზობის გამოცდილება არ გააჩნიათ და აი, რა იყო ჩვენი წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც. აღარაფერს ვამბობ, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ძველ სენზე - ამდენ მომენტს რომ შექმნი, რეალიზაციის პროცენტიც... „როგორმე“ უნდა გაიზარდოს. თუმცა, ეს ხომ ფეხბურთია - შეცდომა ყველას მოსდის...

**- ახლა უშუალოდ მატჩის ირგვლივ ვისაუბროთ.**

- წარმოიდგინეთ - შეხვედრის საწყისი 35 წუთი ისე მიილია, მეტოქეს ჩვენს კარში ერთხელაც არ დაურტყამს! ანუ, „დინამოს“ სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ტაიმის მიწურულს, ჩვენს კართან დანიშნულ კუთხურს სრულიად ალოგიკური გოლი მოჰყვა. არადა, მანამდე, სულ მცირე, სამი რეალური მომენტი გვქონდა: თავის გამოჩენა შეეძლოთ - ხმალაძეს, ვაწაძეს, კოშკაძეს...

**- შესვენებაზე ცვლილების განხორციელება არ გიფიქრიათ?**

- მინიმალური ანგარიშით ვაგებდით, თორემ მატჩი ჩვენი „კარნახით“ მიდიოდა. ანუ, არაფრის და არავის შეცვლა საჭიროდ არ მივიჩნიე - ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი ფუნქციების შესრულებას.

**- თუმცა, მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „დინამომ“ მეორე გოლი რომ გაუშვა...**

- პირველზე ხომ გითხარით, ალოგიკური გოლი გავიდა-თქო; აი, მეორეზე, არც ვიცი, როგორ ვთქვა; ალბათ უფრო, ბავშვური შეცდომის გამო მოხდა ყველაფერი. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მცველი გრძელი გადაცემით ცდილობდა შეტევის დაწყებას, მაგრამ ბურთი... ახლოს მდგომ მეტოქის ფეხბურთელს ზურგში მოხვდა... მერე, მასპინძლები სწრაფად გაერკვნენ სიტუაციაში და ფლანგიდან ჩამოწოდებას მეორე გოლიც მოჰყვა...

**- არც ამის მერე გადაწყვიტეთ კონკრეტული ფეხბურთელის თუ გუნდის სათამაშო სქემის შეცვლა?**

- ტაქტიკური ცვლილების აზრს ვერც ვხედავდი - მართალია უკვე ორი ბურთის სხვაობით ვაგებით, მაგრამ, თუ დაგვიჯერებთ, მაინც „ჩვენი“ თამაშით“ მიმდინარეობდა მატჩი. რაც შეეხება კონკრეტული ფეხბურთელების შეცვლას, ვინმეს შეიძლება სხვა აზრი ჰქონდეს, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ვარ და შედეგზე პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე ვიღებ. ანუ, შესაძლოა, თავდასხმის ხაზი გამეძლიერებინა, მაგრამ მერებაშვილიც, ჯუისიც და ვაწაძეც საკმაოდ აქტიურობდნენ და მათი შეცვლის აზრს ვერ ვხედავდი. ამას გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ სათადარიგოთა სკამზე უმეტესწილად სრულიად ახალგაზრდები ისხდნენ და ნამდვილად არ არის ადვილი ასეთი დონის შეხვედრაში მოედანზე შესვლა.

**- წაგება არავის გაგვიხარდა, თუმცა ხმალაძის გოლმა ხასიათი მაინც გამოგვიკეთა...**

- ბოლოს და ბოლოს, ამდენი უილბლობის მერე ერთი გოლი მაინც ხომ უნდა გაგვეტანა? თუმცა, ერთი კი არა, მატჩის დარჩენილ დროში, ჯერ მარტო მერებაშვილს, სულ მცირე, სამი ჩინებული მომენტი შეექმნა. თუმცა, მასპინძელთა გამოცდილმა მეკარემ არანაკლებ შესანიშნავად ითამაშა და ყველა ბურთი მოიგერია. რა თქმა უნდა, გაორებული შთაბეჭდილების ქვეშ ვარ - უდავო უპირატესობის მიუხედავად თამაში მაინც წავაგეთ. ისე, სხვათა შორის, მატჩის უკანასკნელ წამებზე ჩვენმა მეკარემ გიორგი ლორიამ აშკარა გოლისგან გვიხსნა. აი, ასე გამოვიდა - მასპინძელს სამი მომენტი შევაქმნევინეთ და იქიდან ორი გოლით დასრულდა.

**- არ გვიწყინოთ, მაგრამ ყურს მაინც „ცუდად ხვდება“: მეტოქეს ვაჯობეთ, მაგრამ, წავაგეთო...**

- მაგაში გეთანხმებით, მაგრამ რეალურად რაც იყო, იმას გეუბნებით. უბრალოდ, ეს შეხვედრა ახალგაზრდა ბიჭებისთვის კარგი გაკვეთილი უნდა იყოს; ანუ, ის, რაც საკმარისია საქართველოს ჩემპიონატში, ევროტურნირებზე აშკარად აღარ „ჰყოფნის“. აბა, სხვა რა ახსნა უნდა მოვუძებნო იმ გუნდთან მარცხს, რომლის მწვრთნელ-ფეხბურთელებიც თამაშამდე იმას გაიძახოდნენ, როგორმე საკუთარ კარში გოლი არ უნდა გავუშვათო.

**- ანუ, ისევ და ისევ, გამოუცდელობას დავაბრალოთ ყველაფერი?**

- თანამედროვე ფეხბურთში მაღალი კლასის დადასტურება სწორედ საგოლე მომენტების რეალიზაციის მაღალი პროცენტია. ვინც, მაქსიმალურად გამოიყენებს საკუთარ შანსს, თამაშსაც ის მოიგებს. თორემ, ჩვენ კი ვამბობთ (და ასეც იყო), რომ ათამდე ჩინებულ მომენტი გვქონდა, მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ, მაგრამ... საბოლოო ჯამში, ხომ მაინც წავაგეთ?

**- ადრე არასდროს გიყვარდათ კონკრეტული ფეხბურთელის დადებით ან უარყოფით კონტექსტში მოხსენიება. ამჯერად, შეგიძლიათ ვინმე გამოყოთ?**

- მთელი გუნდი ერთად იმარჯვებს, ან, პირიქით - მარცხდება; ანუ, მოგება თუ წაგება, კონკრეტულ ფეხბურთელს არ უნდა „მივაწეროთ“; რაღა თქმა უნდა, მწვრთნელიც „არ დაგვავიწყდეს“...

**- გასაგებია თქვენი პასუხი. ისევ შეხვედრას გვინდა დავუბრუნდეთ. მსაჯობაზე ხომ არ გაქვთ რაიმე პრეტენზია?**

- უმაღლესი დონის მსაჯობა იყო; ნეტავ, საქართველოს ჩემპიონატშიც მსგავსი რამ გვენახოს.

**- განმეორებითი მატჩისთვის რაიმე განსაკუთრებული მზადება ხომ არ გექნებათ?**

- ჩამოვალთ თბილისში და მეორე დღიდანვე ვარჯიშს შევუდგებით. არავითარი განსაკუთრებული ვარჯიშები არ გვექნება - ჩვეულებრივი საწვრთნელი პროცესი იქნება. აქვე, გეტყვით, რომ დიდი შანსია განმეორებითი მატჩისთვის ჯორჯ აკირემიც დაგვეხმაროს - მთავარია, ტრავმა ბოლომდე მოირჩინოს.

**გია ტუხაშვილი**



გიორგი მერებაშვილს (მარჯვნივ) რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა

ჩემპიონთა ლიგა

III საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

28-29 ივლისი/4-5 აგვისტო

| |
|---|
| ციურიხი (შვეიცარია)-მარიბორი (სლვ)/ვიტ ჯორჯია (საქ) |
| სპარტა (ჩეხეთი)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| შახტარი (უკრაინა)-ტიმიშოარა (რუმინეთი) |
| სპორტინგი (პორტუგალია)-ტვენტე (ჰოლანდია) |
| სელტიკი (შოტლანდია)-დინამო (მოსკოვი, რუსეთი) |
| ანდერლეხტი (ბელგია)-სივასპორი (თურქეთი) |
| ზალცბურგი (ავს)/ბოჰემიანსი (ირლ)-პიუნიკი (სომ)/დინამო (ხორ) |
| ზრინისკი (ბოს)/სლოვენი (სლო)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ებ სტრეიმური (ფარ)/აპოელ (კვი)-რილი (უელ)/პარტიზანი (სერ) |
| ინტერი (ფინ)/შერიფი (მოლ)-სლავია (ჩეხეთი) |
| ჰაფნარფიორდური (ისლ)/აქტობე (ყაზ)-მაქაბი (ისრ)/გლენტორანი (ჩ.ირ) |
| ეკრანასი (ლიტ)/ბაქი (აზე)-ლევსკი (ბულ)-სტ. ჯულია (ანდ) |
| ვენტსპილსი (ლატ)/დუდელანჟი (ლუქ)-მაკედონია (მაკ)/ბატე (ბელ) |
| ვისლა (პოლ)/ლევადია (ესტ)-დებრეცენი (უნგ)/კალმარი (შვე) |
| კოპენჰაგენი (დან)-მობრენი (ჩერ)- ტირანა (ალბანეთი)/სტაბეკი (ნორ) |

ევროპის ლიგა

III საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

30 ივლისი/6 აგვისტო

| |
|---|
| სარაევო (ბოს)/ტრნავა (სლო)-ჰელსინგბორგი (შვე)/ზესტაფონი (საქ) |
| ბრონდბიუ (დან)/ფლორა (ესტ)-ლეგია (პოლ)/ოლიმპი (საქ) |
| მეტალურგსი (ლატ)/დინამო (საქ)-რუდარი (სლვ)/ცრვენა ზვეზდა (სერ) |
| ფრედრიკსტადი (ნორვეგია)-ლეხი (პოლონეთი) |
| დიფერდანჟი (ლუქ)/რიეკა (ხორ)-მეტალისტი (უკრაინა) |
| ნაფტანი (ბელ)/გენტი (ბლგ)-რომა (იტალია) |
| ვასლუი (რუმინეთი)-ომონია (კვი)/ტორსჰავნი (ფარ) |
| ოლბორგი (დან)/სლავია (ბოს)-კოშიცე (სლოვაკეთი) |
| გიოტებორგი (შვედეთი)-ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) |
| ეინდჰოვენი (ჰოლანდია)-ჩერნო მორე (ბულ)/ისკრა (მოლ) |
| მეტალურგი (უკრ)/მტზ რიპო (ბელ)-ლუბლიანა (სლოვენია) |
| ვალერენგა (ნორვეგია)-პაოკ (საბერძნეთი) |
| აპოპ (კვიპროსი)-რაპიდი (ავს)/ვლაზნია (ალბ) |
| ჰონკა (ფინ)/ბანგორ სიტი (უელ)-რუსენბორგი (ნორ)/ყარაბახი (აზე) |
| ფალკირკი (შოტ)/ვადუცი (ლიხ)-ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| სტ. პატრიკსი (ირლ)/ვალეტა (მალ)-კრ. სოვეტოვი (რუსეთი) |
| სუდუვა (ლიტ)/რანდერსი (დან)-ჰამბურგი (გერმანია) |
| დინამო (ბელ)/ტრომსო (ნორ)-მილანო (მაკ)/სლავენი (ხორ) |
| ვოივოდინა (სერბეთი)-აუსტრია (ავსტრია) |
| ცსკა (ბულგარეთი)-სკონტო (ლატ)/დერი სიტი (ირლ) |
| სტიაუა (რუმ)/უიპეშტი (უნგ)-ფლამურტარი (ალბ)/მოზერველი (შოტ) |
| ჟილინა (სლო)/დაჩია (მოლ)-ჰაიდუკი (ხორვატია) |
| ბრაგა (პორტუგალია)-ელფსბორგი (შვე)/ჰალადაში (უნგ) |
| აბერდინი (შოტლანდია)-ოლომოუცი (ჩეხ)/ფრამი (ისლ) |
| კრუზეიდერსი (ჩ.ირ)/რაბოტნიჩკი (მაკ)-ოდენსე (დანია) |
| სევოინო (სერ)/კაუნასი (ლიტ)-ლილი (საფრანგეთი) |
| ანორთოსისი (კვი)-პეტროვაცი (ჩერ)-შტურმი (ავს)/შიროკი ბრიგი (ბოს) |
| ფენერბაჰჩე (თურქეთი)-ჰონვედი (უნგრეთი) |
| ბნეი იეჰუდა (ისრ)/დინაბურგი (ლატ)-ზიმბრუ (მოლ)/ფერეირა (პორ) |
| ბრიუგე (ბელგია)-ნოვა გორიცა (სლვ)/ლაჰტი (ფინ) |
| ბილბაო (ესპანეთი)-იანგ ბოიზი (შვეიცარია) |
| რეიკიავიკი (ისლ)/ლარისა (საბ)-ბაზელი (შვც)/სანტა კოლომა (ანდ) |
| ტობოლი (ყაზ)/გალათასარაი (თურ)-სლიმა (მალ)/მაქაბი (ისრ) |
| იუვენესი (ს.მარ)/პოლონია (პოლ)-ბრედა (ჰოლ)/განძასარი (სომ) |
| ვეტრა (ლიტ)/ჰიკ (ფინ)-ფულჰემი (ინგლისი) |

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა

ზესტაფონი-ჰელსინგბორგის შემდეგ

## გია გეგუჩაძე

# ...გჯეროდეთ საკუთარი ძალების!

## იმერული რეცეპტი შვედების წინააღმდეგ

„ჰელსინგბორგთან“ „ზესტაფონის“ საშინაო მარცხმა ბევრს დასწყვიტა გული. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ იმერლების ახალგაზრდულმა გუნდმა საშუალოევროპული დონის მეტოქესთან ჯიგრიანად ითამაშა. ვინც ეს თამაში ნახა, ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ფრე ალოგიკური შედეგი სულაც არ იქნებოდა. თუმცა კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ზესტაფონელებმა შინ 1:2 წააგეს. ამ მარცხის შემდეგ იმერელთა შანსები მკვეთრად შემცირდა, მაგრამ გია გეგუჩაძის გუნდი შვედებთან მთლად უშანსოდაც არ არის. სხვათა შორის, გუშინ გამართული წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ „ზესტაფონი“-“ჰელსინგბორგის“ წყვილში გამარჯვებულს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „სარაევოსა“ (ბოსნია) და „ტრნავას“ (სლოვაკეთი) შორის უძლიერესი ელოდება.

საინტერესოა, როგორ აფასებს შვედებთან პირველ მატჩს „ზესტაფონის“ თავკაცი, შეეცვალა თუ არა წარმოდგენა მეტოქეზე, რას ფიქრობს წაგების მიზეზებსა და საპასუხო შეხვედრაზე...

მოკლედ, ამ საკითხებზე სასაუბროდ გუშინ გეგუჩაძეს დავუკავშირდით...

**საუბარი „ჰელსინგბორგთან“ მატჩის შეფასებით დავიწყოთ. როგორ შეაფასებთ ამ შეხვედრას ცივი გონებით?**

- მართალია, შვედების გუნდი ჩვენზე უფრო მაღალი დონისაა და გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ჩემი აზრით, ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა... თუმცა ფაქტია, რომ დავმარცხდით. თუმცა ეს წაგებაც უნდ გამოვიყენოთ. ასეთ ძლიერ გუნდთან თამაშში ჩვენი გუნდის ხარვეზები უფრო კარგად გამოჩნდა, უფრო ნათლად დავინახეთ, თუ რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი... მით უმეტეს, მზარდი გუნდი გვყავს და ნამდვილად შეგვიძლია მომატება. ერთი სიტყვით, უკეთ მოვემზადებით, ჩავალთ შვედეთში და სასურველი შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რა იყო მარცხის მიზეზი?**

- რამდენიმე ფაქტორის დასახელება შეიძლება... პრინციპში, საბოლოო ჯამში, მთავარი მიზეზი გამოუცდელობა იყო.


გია გეგუჩაძე

**- კიდევ რა დააკლდა „ზესტაფონს“ სასურველი შედეგის მისაღწევად?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ ამ დონის გუნდებთან მეტი თამაში ნამდვილად წაგვადგება. მართალია, სლოვენიაში ჩატარებულ მოსამზადებელ შეკრებაზე ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშეთ, მაგრამ სხვაა საკონტროლო თამაში და სულ სხვა ხასიათი და დატვირთვა აქვს ოფიციალურ მატჩს. აქედან გამომდინარე, ჩვენს ფეხბურთელებს პირველ ტაიმში შებოჭილობა ეტყობოდათ. საგოლე მომენტების გამოყენების ხარისხი უფრო მაღალი რომ ყოფილიყო, უკეთესი შედეგი გვექნებოდა... ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია რწმენის მომენტი. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შვედებზე ნაკლები დონის ფეხბურთელები არ გვყავს. ჩვენს მოთამაშეები დღითიდღე უმატებენ. საჭიროა მათ საკუთარი ძალების ირწმუნონ. ესეც რომ მეტი გვქონოდა, უთუოდ დაგვეხმარებოდა საჩვენო შედეგის მიღწევაში.

**- სლოვენიურ შეკრებაზე 1:1 ეთამაშეთ „მარიბორს“, რომელსაც „ვიტ ჯორჯია“ თბილისში დაუზავდა (0:0). შედარებისთვის, სლოვენიის ჩემპიონი უკეთესი გუნდია თუ „ჰელსინგბორგი“?**

- ასე ძნელია მსჯელობა. „მარიბორიც“ მომეწონა და „ჰელსინგბორგიც“, ორივე თავისი ხელწერა და პლუსები აქვს... საერთოდ, ჩვენი გუნდების ნაკლი ის არის, რომ ასეთი დონის გუნდებთან ნაკლებად გვიწევს თამაში. კარგი იქნებოდა, ოთხივე ქართული გუნდი გასულიყო მომდევნო ეტაპზე და უფრო ძლიერ მეტოქეებთან გვეთამაშა... „დინამოს“ მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს, უშანსოდ არც „ვიტ ჯორჯიაა“, ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლებთ... ქართულმა გუნდებმა, ყველამ ერთად, რეიტინგისთვის ქულები უნდა მოვაგროვოთ, რაც სამომავლოდ აუცილებლად გამოგვადგება

**- მეტოქეს ახლა უკეთ იცნობთ. მაინც რაშია ამ გუნდის ძალა? მხოლოდ ჰენრიკ ლარსონში თუ...**

- პირველ რიგში, „ჰელსინგბორგი“ ღირსებაა კლასი, რასაც გამოცდილება განაპირობებს. ლარსონი, რა თქმა უნდა, მაღალი კლასის ფეხბურთელია, თითქმის ყველა პასი მიიღო, მათ შორის, დაბალი გადაცემებიც... მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ მთელი გუნდი ლარსონია ან სხვა რომელიმე ფეხბურთელი. ჩემი აზრით, „ჰელსინგბორგის“ წარმატებას ფეხბურთელების ის ჯგუფი უზრუნველყოფს, რომელიც გუნდის ბირთვს წარმოადგენს. ლარსონის გარდა, ესენი არიან ლანცი, იონსონი, ანდერსონი...

**- ზემოთ საკუთარი ძალების რწმენა ახსენეთ, „ჰელსინგბორგთან“ მატჩში იყო ეპიზოდები, როცა „ზესტაფონმა“ აშკარად დაჯაბნა შვედები. როგორ ფიქრობთ, თქვენს ფეხბურთელებს ამან რამე შემატა?**

- პრესკონფერენციაზეც ვთქვი და ახლაც ამ აზრზე ვარ - ჩემს ფეხბურთელებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩათ.

**- რატომ?**

- იგრძნეს, რომ უკეთ შეეძლოთ, ეთამაშათ, მაგრამ ასე არ გამოვიდა. აი, ამიტომ მგონია, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩათ. ვფიქრობ, ეს თამაში ბიჭებს გამოცდილების გასამდიდრებლად, კლასის ასამაღლებლად და იმ რწმენისთვის გამოადგებათ, რომელიც ასეთ მატჩებში დიდ როლს თამაშობს... თუ შვედეთში სწორედ ამ რწმენით ვითამაშებთ, მაშინ იქ მოგებაც შეგვიძლია.

**- ეს რამდენად რეალურია?**

- ვფიქრობ, რეალურია. საგოლე მომენტების დროს უფრო შედეგიანნი უნდა ვიყოთ, დაცვაში უხეში შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ... რაც მთავარია, არ უნდა ვერიდებოდეთ ლარსონის დონის მოთამაშეებს...

**- თქვენი კოზირი შეიძლება იყოს ის, რომ ფსიქოლოგიური წნეხი არ შეგაწუხებთ, ასე ვთქვათ, დასაკარგი არაფერი გაქვთ...**

- სწორედ ამას ვეუბნებოდი ფეხბურთელებს ხუთშაბათის მატჩამდე. ჩვენ დასაკარგი აქაც არაფერი გვქონდა. არავინ დავობს იმაზე, რომ „ჰელსინგბორგი“ ჩვენზე ტიტულოვანი, სახელოვანი გუნდია, უფრო გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავს... აქედან გამომდინარე, ბიჭებს ვუთხარი - გადით და თავისუფლად, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე ითამაშეთ-მეთქი.

**- კიდევ რა შეიძლება იყოს „ზესტაფონის“ კოზირი?**

- ახალს ვერაფერს გამოვიგონებთ - ჩვენი კოზირი ჩვენი თამაში, ჩვენი სტილი უნდა იყოს...

**- ანუ, ინდივიდუალური ოსტატობა?**

- ჩვენს გუნდს თავისი ხელწერა აქვს და რაც გნებავთ, ის დაარქვით. დიახ, სწორედაც რომ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. ლაღად და ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე, მეტად უნდა სჯეროდეთ ფეხბურთელებს საკუთარი თავის, დაცვაში აბსოლუტური ყურადღებაა საჭირო, აღარაფერს ვამბობ საგოლე მომენტების რეალიზაციაზე...

**დავით ცაბაძე**

ერთი ქვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# პრელუდია ევროპასთან

რა არის ევროპა? რა და, ქალის სახელი, ოღონდაც, ის ქალი განსაკუთრებული ქალი გახლდათ, რომლის მოსატაცებლად ზევსი თეთრ ხარად გადაიქცა, გოგო ზურგზე შეისვა და ასე წაიყვანა. ევროპა იყო ქალი მაღალი საზოგადოებიდან და რადგან ქალღმერთობას შეეთამაშა, სავარაუდოდ, დიდად მიმზიდველიც იქნებოდა. სწორედ ამ მითოლოგიური პერსონაჟის სახელი დაარქვეს ყველასთვის მიმზიდველ კონტინენტს. ეს ძალიან ძველი ამბავია, ევროპაც ძველია, ბებერია... ბებერი და ძალიან მდიდარი.

ქართული გუნდები ევროპაზე - ისტორია ხშირად მეორდება, თითქოს, იქ ჩვენი ადგილი არ არის, ცოტათი თუ წავიწიეთ წინ, მყის კარს გვიკეტავენ. სად ჩვენ და სად - ევროპა.

არადა, ევროპა ქალივით ლამაზი და მიმზიდველია, კარგია მასთან ყოფნა, ამ ნეტარებას აქვს განსაკუთრებული პრელუდია და მე თუ მკითხავთ, ნებისმიერ სასიამოვნო საქმეში მთავარი სწორედ პრელუდიაა...

ქართული გუნდებისთვისაც ევროპა პრელუდიაა და მეტი ვერაფერი. ფეხბურთელები განსაკუთრებულად ემზადებიან ევროთამაშებისთვის, ქომაგიც განსაკუთრებულად ელის ევროტურნირების დაწყებას, თუ ერთი ეტაპი უკან მოიტოვე, ესეც დიდი საქმეა, პრელუდია გრძელდება და გრძელდება სიამოვნებაც, თუხთუხი და ჟინი განბილების.

„ვიტ ჯორჯიამ“ „მარიბორს“ ვერ მოუგო, თუმცა სლოვენიის ჩემპიონს თბილისურ შეხვედრაში არ ჩამოუვარდებოდა. რაღაცნაირი თამაში იყო, „ვიტ ჯორჯია“ თითქოს ბოლომდე ვერ დაიხარჯა, ფეხბურთელებს მეტის გაკეთება უნდოდათ, მაგრამ თითქოს ორგანიზმი არ უშვებდათ და სთხოვდა, შეკრების მერე ცოტა მაინც დამასვენეო.

„ვიტ ჯორჯია“ და „მარიბორი“ - ჩვენი ჩემპიონი საქართველოზე ბევრად მოწესრიგებული ქვეყნის საუკეთესო გუნდს ეპაექრება და ამასაც მნიშვნელობა აქვს. სლოვენია არ არის მდიდარი ქვეყანა, მაგრამ მაინც ევროპაა და იქ სულ სხვა სოციალური გარემოა, ვიდრე ჩვენთან. მოკლედ, პარამეტრებით თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა „მარიბორის“ მხარესაა. „ბურთი მრგვალიას“ პრინციპი იმედს კი იძლევა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“, ვინძლო, კიდევ ჰქონდეს სხვა მარაგები, თუნდაც ის, რომ გამარჯვება მას უფრო სჭირდება, შემდეგ ეტაპზე გასვლა მისთვის უფრო გემრიელი იქნება, რადგან ქართული გუნდია და პრელუდიასაც უფრო ტკბილად გაიხანგრძლივებს, ვიდრე მოწესრიგებული სლოვენიის „მარიბორი“. ვიტჯორჯიელებს მოგება უფრო ეშიებათ, ვიდრე სლოვენიელებს.

აბა, სლოვენიაში ვინმე ესროდა მსაჯს ბოთლს და თუ ესროდა, ზუსტად თავში გაარტყამდა? რა ვიცი, საფეხბურთო აგრესია არც ევროპაშია უცხო, ოღონდაც, იქ ვექტორები ზუსტი და ძლიერი აქვთ - აგრესია ცუდია და გოიმობაა - ასეთია ევროპული დოგმა, მაგრამ იქაც ჭრელია ხალხი და იქაც არიან ცუდები და აგრესიულები.

ევროპაში მოედანზე ისვრიან პეტარდებს და თქვენ წარმოიდგინეთ, მობილურ ტელეფონებსაც კი. ევროპაში გულშემატკივრები ერთმანეთში ჩხუბობენ, აქვთ ისეთი დერბები, თამაშის მერე სისხლიანი გარჩევები რომ მიდის, მაგრამ ევროპაში აქვთ ფეხბურთი თავის პრელუდიებითა და ნერვული დაბოლოებებით, „პოლნი ნავაროტი“ და მთელი ამბავი. ჩვენ კი...

ჩვენ გვყავს „დინამო“, ამ გუნდით იცნობენ ქართულ საკლუბო ფეხბურთს ევროპაში. „დინამომ“ ისე წააგო „მეტალურგსთან“, მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი რომ შეირჩინა. უპრობლემოდ ვერც „დინამოა“, კლუბმა მძლავრი სატრანსფერო საქმიანობა ვერ გააჩაღა, რაც შესაბამისი დაფინანსების გარეშე შეუძლებელია. როგორც უნდა იყოს, „დინამო“ ქართული გუნდებიდან ყველაზე ახლოსაა ევროპასთან, მისი კავშირი ევროპასთან მძლავრია, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა. „დინამო“ და ევროპა - ასეთ დროს უკვე შეიძლება ლაპარაკი მისტიკაზეც კი. „დინამო“ არ ყოფილა შემოფარგლული ოდენ პრელუდიებით, თითქოს ახლაც ისმის ის ხმაური, თუ როგორ ქშიტინობდა „დინამო“ ევროპაში. უფ, რა გემრიელი იყო ეს ყველაფერი!

„ზესტაფონის“ კი რა გითხრათ... ამ გუნდში მისვლით გია გეგუჩაძე ახალ გამოწვევას შეეჭიდა, უნდა დაამტკიცოს - 2004 წელს „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე რომ გაიყვანა, ეს მისი, როგორც მწვრთნელის, მართლაც დიდი დამსახურება იყო. ადამიანი ხშირად ებრძვის თავის წარსულს. ოღონდაც, „დინამო“ სულ სხვა არის, ვიდრე „ზესტაფონი“.

ეს „ჰელსინგბორგი“ სასწაული გუნდი არ უნდა იყოს, ჰენრიკ ლარსონიც ველარ ჯადოქრობს ძველებურად, მაგრამ „ზესტაფონმა“ მაინც წააგო, ისეთი შეცდომები დაუშვა, ევროსარბიელს რომ არ ეკადრება. ორივე გაშვებულ გოლში „ზესტაფონი“ სათამაშო დისციპლინის დარღვევით „შეეშველა“ შვედებს. გეგუჩაძე კი მაინც იმედიანადაა, შვედეთში ტურისტებად ჩასვლას არ ვაპირებთო.

ამ სეზონში, ალბათ, სხვანაირი გუნდი იქნება „ზესტაფონი“, იბრძოლებს საქართველოს ჩემპიონობისთვის და არ შეწყვეტს ფიქრსა და ქმედებას გუნდის გასაძლიერებლად, თუმცა ეს არ უნდა იყოს მთავარი - თუ „ზესტაფონი“ მნიშვნელოვან წარმატებებს ნიადაგ ესწრაფვის, საკლუბო ფილოსოფია აქვს შესაქმნელი. „დინამო“ „დინამოა“, „ვიტ ჯორჯიასაც“ რა ხანია აქვს საკუთარი ზნე და სახე, „ზესტაფონს“ კი, რაკილა გუნდში გეგუჩაძე მივიდა, ასეთი რამ ნულიდან აქვს შესაქმნელი.

რუსთავის „ოლიმპს“ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი, ალბათ, აღარ აქვს. „ოლიმპი“ წლევანდელ ევროსარბიელზე მოთამაშე ქართული გუნდებიდან ყველაზე დაულაგებელია. „ლეგიასთან“ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე რომ მიიყვან გუნდში ფეხბურთელებს და მერე მათ სასტარტო შემადგენლობაში გაამწესებ, ცოტა არ იყოს, არასერიოზულ საქციელს ჰგავს. ფრაგა, აკინო და ჟონატასი - ზოგადად, გუნდის ბრაზილიელი ფეხბურთელებით გაძლიერება კარგია, მაგრამ ყველაფერს, მათ შორის გუნდის საევროპოდ მომზადებასაც, ხომ თავისი წესი და გრაფიკი აქვს?!

ევროპა კი თურმე ქალი ყოფილა. ეს პრელუდიაც ისეთია, რომ ვერ ასცდები, ხვედრივითაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

# ქართული ფოკუსი ანუ ლიკვიდაცია...

## ამერი, მესხეთი და ბორჯომი გაქრნენ. როგორ შეაკოწიწებენ პირველ ლიგას?

XXI ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა. მთავარი დივიზიონის სტარტიდან რამდენიმე კვირაში კი პირველ და მეორე ლიგებშიც დაიწყება გათამაშება. უმაღლესი ლიგის ათეული იცით, მაგრამ კიდევ ერთხელ შეხსენებაც არ გვაწყენდა:

**1. ვიტ ჯორჯია, 2. დინამო, 3. ოლიმპი, 4. ზესტაფონი. 5. სიონი, 6. ლოკომოტივი, 7. მგლები/ბაია, 8. გაგრა, 9. სპარტაკი, 10. სამტრედია.**

რაც შეეხება პირველ ლიგას, ამ დივიზიონში ასპარეზობის სურვილით პროფესიული ფეხბურთის ლიგას ოფიციალურად ჯერჯერობით 14-მა კლუბმა მიმართა და მათი სურვილი დააკმაყოფილეს კიდეც. ჯერჯერობით - ტყუილად არ ალგვინიშნავს. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არის დრო, პირველ ლიგაში ასპარეზობის მსურველებმა პროფლიგას შესაბამისი თხოვნით, წერილობით მიმართონ და სათანადო დოკუმენტაცია წარადგინონ. რაც შეეხება 14 მსურველს, ეს ჩამონათვალი ასეთია:

**1. კოლხეთი (ფოთი), 2. ტორპედო 2008 (ქუთაისი), 3. ბათუმი, 4. მერანი (მარტვილი), 5. ჩიხურა (საჩხერე), 6. ქიათურა, 7. გურია (ლანჩხუთი), 8. მერცხალი (ოზურგეთი), 9. ჰერეთი (ლაგოდეხი), 10. 35-ე საფეხბურთო სკოლა (თბილისი), 11. IBSU (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსისტეტი (თბილისი), 12. ნორჩი დინამოელი (თბილისი), 13. მეშახტე (ტყიბული), 14. ხობი;**

როგორც ხედავთ, პირველ ლიგაში ჯერჯერობით ორი ახალი გუნდია, 35-ე საფეხბურთო სკოლა და IBSU.

*„დიახ, 35-ე საფეხბურთო სკოლის თავკაცმა არჩილ არველაძემ თხოვნით მოგვმართა, რათა პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება მიგვეცა. მათი მხრიდან ყველაფერი სათანადოდ იქნა წარმოდგენილი და დადებითი პასუხიც მივეცით. საბურთალოზე მდებარე, ე.წ. „მარაკანას“ სტადიონზე რეკონსტრუქცია მალე ჩატარდება. აგვისტოში მე-5 თაობის ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგება. მოხარული ვარ, რომ 35-ე სკოლა პირველ ლიგაში ითამაშებს. ამ გუნდში მოასპარეზე ჭაბუკები ოსტატობას დახვეწენ, რაც ისევ და ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება.*

*ასევე მზარდი კლუბი დაემატა პირველ ლიგას IBSU-ს სახით. ამ კლუბის მესვეურებსაც დაწყებული აქვთ სტადიონის მშენებლობა, რომელიც 3-ათასიანი იქნება, ტრიბუნაზე ინდივიდუალური სკამებით. ეს გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა... ერთი სიტყვით, პირველ ლიგას ორი საინტერესო კლუბი დაემატა და ორივე პროფლიგის წევრი გახდა*“- „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა პროფლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა.**

პირველ ლიგაში ასპარეზობის მსურველი 14 გუნდის ჩამონათვალს თვალს თუ გადაავლებთ, აღმოჩნდება, რომ ამ სიას სამი ისეთი გუნდი აკლია, რომელთაც ქართველ გულშემატკივარს, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც დაამახსოვრეს თავი... დიახ, „ამერი“, „მესხეთი“ და „ბორჯომი“. ქართული საკლუბო ფეხბურთის სამწუხარო რეალობა ისაა, უწინდელივით სხვების დარად, ეს გუნდებიც გაქრნენ ლიგების ჰორიზონტიდან...

*„სამწუხარო რეალობაა რომ „ამერი“ პირველ ლიგაშიც აღარ იასპარეზებს. ამ გუნდს საკუთარი ხელწერა ჰქონდა და თავისი კვალი დატოვა ქართულ ფეხბურთში. იმედი ვიქონიოთ, რომ „ამერი“ გაისად მაინც გამოჩნდება ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა შორის*“, - გვითხრა პროფლიგის გენერალურმა დირექტორმა.

... დიახ, გუნდი, რომელიც 2002 წელს შეიქმნა და არა მარტო ეროვნულ ჩემპიონატში, არამედ უეფას თასის გათამაშებაზე ასპარეზობითაც გაითქვა სახელი... „ამერმა“ ორ-ორჯერ მოიპოვა ქვეყნის თასი და სუპერთასი... კლუბს, მოკლე ისტორიის მიუხედავად, არაერთი ტიტული აქვს მოგებული.

*„დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ წლინახევრის განმავლობაში ჩვენს კლუბს დაფინანსების სტაბილური წყარო არ აქვს. ჩვენი არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, სპონსორის გამონახვა აქამდე ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ და „ამერი“ პირველ ლიგაშიც არ იასპარეზებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეთ. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ მუშაობას სტაბილური სპონსორის მოსაძებნად. იმედი გვაქვს, შედეგი გვექნება*“, - გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა **ზურაბ ფოცხვერიამ.**

2006-07 წლების სეზონში ახალციხის „მესხეთმა“ უმაღლესი ლიგის საგზური პირველი ლიგის მოგებით მოიპოვა. მთავარ დივიზიონში ასპარეზობის სადებიუტო სეზონში „მესხებმა“ მე-6 ადგილი დაიკავეს და, ევროტურნირებზე ასპარეზობის ლიცენზია რომ ჰქონოდათ, ინტერტოტოს უკანასკნელ გათამაშებაზე წარადგენდნენ საქართველოს. მე-20 ეროვნული ჩემპიონატი ახალციხელებისთვის ფინანსურად ძალზედ რთული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, „მესხეთმა“ სპორტული პრინციპით უმაღლესში ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ ფინანსური პრობლემის გამო ამ კლუბში ფეხბურთელები თითქმის აღარ არიან. კლუბის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება ვერაფრით შევძელით. გუნდის თავკაცმა **კობა თედიაშვილმაც** დამაიმედებელი ვერაფერი გვითხრა. ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელ **ბაქარ ჟორდანიას** თქმით, „მესხეთის“ პრეზიდენტი **დავით ცოგოშვილი** მასთან იყო მისული და პირველ ლიგაში გუნდის გამოსვლის სურვილი გამოთქვა. ასე რომ, „მესხეთს“ უმაღლესის მომდევნო დივიზიონში სურს გამოსვლა, მაგრამ პროფლიგისთვის ოფიციალურად ჯერ არ მიუმართავს. ახალციხელებს კიდევ აქვთ დრო და ვნახოთ.

სამცხელთა მეორე გუნდი „ბორჯომი“ უმაღლესიდან დაქვეითდა და, როგორც ჩანს, ქვედა ლიგებშიც ვერ შეძლებს ადგილის დამკვიდრებას. ყოველ შემთხვევაში, კლუბის დირექტორი **ვახტანგ მაისურაძე** კვლავაც უიმედოდაა:

*„უმაღლესიდან გავვარდით, პირველ ლიგაში ჩვენი გამოსვლა გამორიცხულია. მეორე ლიგაში ასპარეზობისათვის გაცილებით ნაკლები ფინანსებია საჭირო, მაგრამ აქამდე ესეც ვერ მოვიძიეთ. არ ვიცი, რა იქნება, მეტს ვერაფერს გეტყვით... ჩვენი ბოლო შანსი მეორე ლიგაში გამოსვლაა და ვნახოთ, რამდენად მოვახერხებთ*“, - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

რუსთავის „გორდა“, „სამტრედია“ (**ტარიელ ჩაჩუას** პრეზიდენტობის დროს), ქუთაისის „ტორპედო“, ზესტაფონის „მარგვეთი“, წნორის „მილანი“, თელავის „კახეთი“, ყვარლის „დურუჯი“, ხაშურის „ივერია“... ეს იმ კლუბების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც უსახსრობამ გააქრო. სამწუხაროდ ქართულ საკლუბო ფეხბურთში მორიგი უსიამოვნო ფიკუსის მომსწრენი ვართ. უსახსრობამ კიდევ ერთხელ შეიწირა ქართული კლუბები, ამჯერად სამი გუნდი... ვინ იცის, როდემდე და რამდენით გაიზრდება გაუჩინარებული ქართული კლუბების რიცხვი...

**დავით ცაბაძე**

სტადიონი

# ლოკომოტივი, როგორც ტივი

## საქმე ერთ ადგილზე გაჩერდა

ვაკე -ადგილი ვაკეში, მწვანეში ჩაფლული, ქალაქის ცენტრთან ახლოს, წმინდა საფეხბურთო არენა სათადარიგო მოედნით, ვაკის პარკი, კუს ტბა, ეთნოგრაფიული მუზეუმი - ასეთ ანსამბლში ყინჩად მოაქვს თავი მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონს, რომელსაც ზუსტად ჯერაც ვერ დაუდგენ, ვინ იქნება მისი პატრონი.

„ლოკომოტივის“ სტადიონი 1960 წელს გაიხსნა, მანამდე ამ არენას „ბურევესტნიკი“ ერქვა. „ლოკომოტივის“ სტადიონზე თამაშობდა ამავე სახელწოდების გუნდი - მიხეილ მესხი, ნოდარ ახალკაცი, დავით ყიფიანი... ასეთი ხალხი აგორებდა ბურთს თბილისის „ლოკომოტივში“...

ფეხბურთი ტრადიციული თამაშია, მასში განსაკუთრებით დიდი ძალა აქვს წარსულს თავისი ტვირთითა და დიდებით. „ვარდების რევოლუციამდე“ ქართული რკინიგზის შეფი აკაკი ჩხაიძე გახლდათ. ავუაროთ გვერდი იმას, იყო თუ არა ოდიოზურ ფიგურა რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცი და ის გავიხსენოთ, რომ მის ხელში „ლოკომოტივს“ კარგი დაფინანსება ჰქონდა და ამ კაცის თაოსნობით 2001 წელს ფაქტობრივად ხელახლა აშენდა „ლოკომოტივის“ სტადიონი, ანუ ძალიან კარგი საქმე გაკეთდა.

ახლა კი საკითხავია, ვის დარჩება ეს არენა. ფეხბურთის ფედერაციამ უეფასგან პროგრამა „ჰეთ-თრიკით“ თანხები რომ მოიპოვა, ამ თანხებით მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასა“ და რუსთავში „ფოლადის“ სტადიონზე დააგებს ხელოვნურ საფარს, კიდევ ნაკრების ბაზაზე, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“.



როგორც ფედერაციაში გვითხრეს, იყო სურვილი, რომ „ჰეთ-თრიკის“ ფულით „ლოკომოტივის“ სტადიონზე ახალი მინდორი დაეგოთ, მაგრამ...

გაურკვევლია, ვის დარჩება სტადიონი, რომლის დირექტორ გივი ჭანტურიძეს რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- ამ დროისთვის ვის ბალანსზეა „ლოკომოტივის“ სტადიონი?**

- სტადიონი თბილისის მერიის ბალანსზეა. 2007 წლის ივლისში მის შესყიდვაზე ტენდერიც გამოცხადეს. მასში მონაწილეობდა საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა და ირაკლი მაჭავარიანი, რომელიც კომპანია „ლოკომოტივი 36-ს“ წარმოადგენდა. ტენდერი მაჭავარიანმა მოიგო, რომლის მიხედვით ის ვალდებული იყო, 2 წლის განმავლობაში 2 მილიონი ლარი ჩაედო სტადიონის კეთილმოსაწყობად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ორივე მოედანზე ახალი მინდორი უნდა დაგებულიყო. გარდა ამისა, ახალ მეპატრონეს წელიწადში 400 ათასი ლარი უნდა გადაეხადა იჯარის სახით. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ როგორც მაჭავარიანმა განაცხადა, მას ხელშეკრულება, უბრალოდ, არ გაუფორმეს.

**- სტადიონის ადმინისტრაცია რომ დაინტერესდა, ვის კუთვნილებაში იყო არენა, რა პასუხი მიიღო?**

- მერიას მივმართეთ თხოვნით, ეცნობებინა ჩვენთვის სტადიონის მფლობელის ვინაობა, რაზეც სიტყვიერი პასუხი მივიღეთ - ტენდერის შედეგი გაუქმებულია, დავა სასამართლოში გაგრძელდება და ვნახოთ, რა განაჩენს გამოიტანენო. შემდეგ შევიტყვეთ, რომ სასამართლომ სტადიონი მერიას დაუმტკიცა და ამ დროისთვის „ლოკომოტივი“ 100 პროცენტით მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

ჭანტურიძის ნათქვამიდან ინფორმაციის მიღება კი შეიძლება, მაგრამ საქმე ამით არ უნდა მთავრდებოდეს. რაკი ფედერაციამ არ ისურვა თანხის დახარჯვა „ლოკომოტივის“ სტადიონის მოედნისთვის, ესე იგი გარკვეული არ არის, რა წილი ექნება ფედერაციას „ლოკომოტივის“ სტადიონზე და საერთოდ - ექნება თუ არა რაიმე წილი.

არც ის უნდა იყოს მკაფიო, რას უპირებს მერია სტადიონს. ალბათ, არც ის არის გამორიცხული, „ლოკომოტივი 36-მა“ განაგრძოს ბრძოლა სასამართლოში.

არა გვგონია, მერიის ხელში „ლოკომოტივის“ სტადიონი რენტაბელური იყოს, არენის მქირავებელი ცოტაა და ქირაობასაც ხეირი არ მოაქვს - ხალხი სტადიონზე აღარ დადის...

**დავით თავართქილაძე**

მგლები/ბაია

# ზუგდიდში ჯიქია გამოჩნდა, შეროზიამ აფრიკელები დაიწუნა

## ორი გადაწყვეტილია, ორსაც დააკვირდებიან

ზუგდიდელთა გუნდში აფრიკელი ფეხბურთელების მოსალოდნელი მოზღვავების შესახებ უკვე ვწერდით. ამჯერად კი ამ თემას უფრო დეტალურად შევეხოთ. როგორც გავიგეთ, **ბესიკ შეროზიას** გუნდში ერთბაშად 7 ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. მოდით, ჯერ მუქკანიანებზე ვთქვათ. 20 წლის განელი ნახევარმცველი **სუნზუ**, 19 წლის უგანდელი მარჯვენა მცველი **მულილუ**, ამავე ასაკის განელი ცენტრფორვარდი **აკუტუ**, რუანდელი ცენტრალური მცველი **ჯექსონ კოფი** და 20 წლის განელი საყრდენი ნახევარმცველი **ფრანცის ბოადი**... ეს აფრიკელები და კიდევ ერთი რუსი, 18 წლის მარჯვენა ნახევარმცველი **დენის შუჩკინი**, რომელიც ასტრახანელია და როგორც ბესიკ შეროზიამ გვითხრა, მშობლიური ქალაქის გუნდში თამაშობდა.

ეს 6 ახალი ფეხბურთელი ზუგდიდელთა გუნდში რამდენიმე დღის განმავლობაში ვარჯიშობდა. გუშინ კი შეროზიამ ვარჯიშზე ორად გაყო ფეხბურთელები და ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშა. ერთმა შემადგენლობამ მეორეს 4:1 სძლია. მოგებულთაგან გოლები **ჩისამბა ლუნგუმ**, დენის შიჩკინმა, **გიორგი კუტალიამ** და **გიორგი ქირიამ** გაიტანეს. მეორე გუნდიდან კი გატანილი ბურთით გიორგის უფროსი ძმა, **დავით კუტალია** გამოირჩა. გუშინ ზუგდიდში კიდევ ერთი, რიგით მეშვიდე ახალი ფეხბურთელი, 28 წლის ფორვარდი **რევაზ ჯიქია** გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ ჯიქია ქუთაისის „ტორპედოში" გამოჩნდა, მერე რუსთავის „ოლიმპში" ირჯებოდა, საიდანაც რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე მახაჭყალის „ანჟიში" გადავიდა.



დღეს ზუგდიდელები კიდევ ერთი მოსამზადებელი შეკრებისთვის ურეკში გაემგზავრებიან. ზღვისპირეთში შეროზიას გუნდი 7 დღეს დარჩება და სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ამ სამიდან პირველი მატჩს, „ბაია/მგლები" 20 ივლისს „გაგრასთან" ჩაატარებს. ბესიკ შეროზიამ ურეკში გამგზავრების წინ რამდენიმე ფეხბურთელის ბედი უკვე გადაწყვიტა. როგორც ზუგდიდელთა თავკაცმა გვითხრა, უკვე გადაწყვეტილია გუნდში 18 წლის ზამბიელ ნახევარმცველის **ჩისამბა ლუნგუს** დატოვება. ასევე დადებითად გადაწყდა ტესტირებაზე მყოფი ნახევარმცველის, **ირაკლი ხუციძის** საკითხი. შეროზიას მიერ ჩამოთვლილი აფრიკელთა ხუთეულიდან მხოლოდ ერთი საყრდენი ნახევარმცველი ფრანცის ბოადი მიჰყავს (რომელმაც გუშინ გოლიც გაიტანა) ურეკის შეკრებაზე. სუნზუს, მულილუს, აკუტუსა და ჯექსონ კოფის საკითხი უარყოფითად გადაწყდა.

ზუგდიდელები ამ დღეებში კიდევ ორ აფრიკელ ფეხბურთელს ელიან. მათგან, ერთი თავდამსხმელია და ერთიც - ნახევარმცველი. აფრიკელები ტესტირებაზე ჩამოვლენ და მათი საკითხი მიმდინარე თვის ბოლომდე გადაწყდება.

**დავით ცაგაძე**

ფელეტონი

## ხმა ავიმაღლოთ პლასტმასის წინააღმდეგ

ეს, რა იკადრეთ?! ეს, როგორ იკადრეთ?! შეგვარცხვინეთ, ქართველობა?! რა ვქნათ, ახლა, სად გამოგვეყოფა თავი? ღმერთო, ღმერთო დიდებულო... პლასტმასის ბოთლით... იმისთვის მოვედით ამხელა ერი ოცდამეერთე საუკუნემდე, რომ პლასტმასის ბოთლზე ნაღდი და მამაპაპური მომხდურს ვერაფერი ვესროლოთ? არა, გამეცით პასუხი! პლასტმასის ბოთლი რა ბედენაა, გამაგებინეთ?! პლასტმასი... ჯერ თვითონ სიტყვა გვეუბნება, რომ სადღაც უცხოეთიდან არის ჩამოთესილი და ჩამონერგილი. პლასტმასი... ანანასი... ფანტომასი... მითხარით, ერთი, ხომ გინახავთ ეს პლასტმასი ყველას? მაიმუნობაა რაღაც, შუშის შემცვლელი, ვითომ მინა. ჯერ შუშა რა არის, ჩემო ბატონო, და მერე იმის შემცვლელი რა უნდა იყოს?! აუ, სადამდე დავეზღვრეთ ქართველები? შუშა... სიტყვას დააკვირდით, სიტყვას. შუ და შა. შუ ნამცხვარია, შა კიდევ რა ჯანდაბაა არავინ იცის, ალბათ ეგეთი არც არაფერი არსებობს. ჰოდა, აი მაგის შემცვლელი ვესროლეთ მომხდურს, მტერს, გველეშაპს! და რას იზამდა ჩვენი წინაპარი? იშიშვლებდა ხმალს და იმ საწყალ... გვარს არ დავასახელებ-ს თავს წააცლიდა! მერედა, ხმალი განა პლასტმასისაა? ან შუშის? ხმალი რკინაა, რკინა! ხმალო, შვილივით ნაზარდოო, გამიგონია!

არა, მართლაც, გაგიჟება შეიძლება, როგორ გაბედა ვილაც ვიგინდარა სუდიამ... უხ! ბოლმა მაღრჩობს! ჯერ, კაცი ამ ასაკში ტრუსიკით სირბილს რომ დაიწყებს, მარტო იმიტომ უნდა წააცალო თავი! ხმლით, რასაკვირველია! თქვენი არ იყოს, მეც თვალწინ მიდგას ალმაშფოთებელი სურათი: ორმოცს მიღწეული ტრუსიკიანი კაცი დარბის, პირში „სვისტოკი" უდევს და უსტვენს. ისე მაინც უსტვინოს, რომ მოგვეწონოს. ნუ, აი, მაგალითად, „შინამანაკენა, შინამანაკენა" ან რამე.

კეთილი, კეთილი... ხუმრობა იქით იყოს და გაზეთშიც ეწერა, რომ იმ ჩემი ცოდვით სავსემ ცუდად იმსაჯა. სტადიონზე მისულებმაც თავიანთი თვალით ნახეს ყველაფერი, ასე რომ სალაპარაკოც აღარაფერია. მოდი, შორს ნუ წავალთ, მაგალითი საერთაშორისო ფეხბურთიდან მოვიტანოთ: ამ გაზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „ჩელსი" „ბარსელონასთან" გავარდა და მსაჯს დააბრალა, ოთხი პენალტი არ მოგვცაო. ნუ, იყო თუ არა იმ ოთხი პენალტიდან ერთი მაინც სხვა ამბავია, მაგრამ დროგბამ და „როჟებმა" ხო ჩათვალეს, რომ მსაჯმა წააგებინა? ჰოდა, ეხლა მე გეკითხებით, სად არის ის მსაჯი? თუ გინდათ, სახელ და გვარსაც გეტყვით და მომიძებნეთ. ტიპს ერქვა ტომ ჰენინგ ოვრებო. მიდით ეხლა და გინდათ იმ თავის ნორვეგიაში იპოვეთ და გინდათ სამხრეთ მანჯურიაში. ვერ იპოვით, შანსი არ არის, იმიტომ, რომ ის კაცი ამქვეყნად აღარ არის. კოტდივუარელმა შამანებმა დასწყევლეს და საკუთარ სამზარეულოში, ხაშის მზადებისას (უყვარდა, თურმე) ფაშვზე ჩამოუხრჩვია თავი. არ გჯერათ? მაშინ გიმეორებთ: ამ კაცს ჰქვია (მე კი ვიცი რომ კი არ ჰქვია, არამედ ერქვა) ტომ ჰენინგ ოვრებო, არის ნორვეგიელი და მიპოვეთ. მპოვნელი „სვისტოკით" დასაჩუქრდება.

მაგრამ, მოდი, კამათს ჯობია ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ მაგ სიმაღლეზე არ ვართ - კაცს ფაშვზე თავს ვერ ჩამოვახრჩობინებთ. და, მოდი ბარემ კიდევ ერთ სიმართლეს ჩავხედოთ თვალებში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც ვერ ვთამაშობთ. ასე რომ, ყველაფერი თავის ადგილზეა: ჩვენ ჯერ ბოთლებს ვისვრით.

*იფიქრა ქართული ფეხბურთის მიმომხილველმა ფერდინანდ კუთხურსკიმ (აქეთა კუთხურეიშვილთა ჩამომავალმა) და ნაფიქრალი*

რედაქციაში გამოატანა
**ილია ბაბუნაშვილს**

ახალი ლეგიონერი

MEISTRI LIIGA

## ესტონეთშიც შევაღწიეთ

ქართული ლეგიონის გეოგრაფია გაფართოვდა - ესტონურ მეისტრილიგაში ბურთს 17 წლის **ერეკლე ახალბედაშვილი** გააგორებს. „საბურთალოს" ყოფილმა ფეხბურთელმა კონტრაქტი ესტონეთის 7-გზის ჩემპიონ ტალინის „ფლორასთან" გააფორმა. *„გუნდში ძალიან კარგად დამხვდნენ, მიხარია, რომ უფრო მაღალ დონეზე მომიწევს თამაში. ერთადერთი, რაც აქ არ მომწონს ეს კლიმატია„*, - განუცხადა „ფლორას" ოფიციალურ საიტს გუნდის ახალწვეულმა. ახალბედაშვილი აგვისტოში ხდება 18 წლისა, იგი 194 სმ სიმაღლისაა. სხვათა შორის, წლების წინ ამ კლუბში ნათამაშები **ოთარ კორღალიძეს** აქვს.

სხვათა შორის, ახალბედაშვილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების რეგულარული წევრი იყო 2007 წელს (**ჰერბერტ ცანკერის** დროს). მან შავი ზღვის აუზის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებზე ალბანეთის ნაკრების კარში გოლიც გაიტანა, ოღონდ პენალტით. ახალბედაშვილი „ფლორას" ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა. ახალბედაშვილს არ უთამაშია „ბროდბიუში" ევროპა ლიგის მატჩში, რომელიც ესტონურმა გუნდმა სენსაციურად მოიგო დანიაში - 1:0. მიზეზი მარტივია, ჯერ მისი შეყვანა ევროგანაცხადში ვერ მოესწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონი

# ბურდულმა დაიწყო

გუშინ უკრაინის მე-19 ჩემპიონატი მარიუპოლში გაიხსნა - ადგილობრივმა „ილიჩივეცმა" უჟგოროდის „ზაკარპატიას" უმასპინძლა. პირველი ქართველი ლეგიონერი, რომელმაც ახალ პირველობაზე ბურთი გააგორა საქართველოს ნაკრების ყოფილი შუახაზელი (21 თამაში, 2 გოლი) **ლადო ბურდულია**. 28 წლის ბურდული რამდენიმე დღის წინათ იჯარით გადავიდა „ზაკარპატიაში", თუმცა კვლავ „ტავრიას" ფეხბურთელად მიიჩნევა. პირველი ტურის მატჩში ლადო სათადარიგო იყო, ის მოედანზე 58-ე წუთზე შეუშვეს სერგეი დავიდოვის ნაცვლად. „ილიჩივეცმა" იგორ ტიშჩენკოს გოლის (72-ე წთ) წყალობით 1:0 მოიგო. ჩვენს თანამემამულეს მაინცდამაინც არ უაქტიურა, 68-ე წუთზე მისი წაქცევისთვის არტიომ სავინი გააფრთხილეს, სულ ეს იყო. უკრაინულმა „ფუტბოლმა" ჩვენებურის თამაში 5,5 ქულით შეაფასა. ბურდული „ზაკარპატიაში" 88-ნომრიანი მაისურით თამაშობს.

პირველი ტურის დანარჩენი მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება. **გიორგი ციმაკურიძის** „ზარია" **ლაშა ჯაკობიას** „არსენალს" მასპინძლობს, **სანდრო გურულის** „კარპატი" „ვორსკლას" სტუმრობს, **ვასილ გიგიაძის** „ტავრია" საპოროჟიეს „მეტალურგს" მიიღებს, ხოლო **ჯაბა კანკავას**, **სანდრო კობახიძის** და **ბექა გოცირიძის** „დნიპრო" დონეცკში ადგილობრივ „მეტალურგს" ეთამაშება. მოკლედ, წლეულს ბოლო ათწლეულში ყველაზე ცოტა ქართველი ლეგიონერი ითამაშებს ვიშალიგაში - შვიდი, აქედან ერთს (ბექა გოცირიძე) წლეულს მოედანზე გამოსვლა არ მოუწევს.

### მჟავანაძე ინტერში გადადის

სავარაუდოდ, 31 წლის მცველი **კახა მჟავანაძე** საფეხბურთო კარიერას ბაქოს „ინტერში" გააგრძელებს, რომელსაც **კახა ცხადაძე** წვრთნის. მჟავანაძე ბოლოს მოლდოვის ვიცე-ჩემპიონ „დაჩიაში" ასპარეზობდა. მჟავანაძეს ორი ვარიანტი ჰქონდა, მას უკრაინული „ილიჩივეცი" და „ინტერი" ეპატიჟებოდნენ. თავიდან კახამ არჩევანი „ილიჩივეცზე" შეარჩია და გუნდთან ერთად 10 დღე ვარჯიშობდა. მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „დნიპროსთან" ტესტმატჩში, მწვრთნელიც დაინტერესებული იყო მისი შეძენით, როცა, მოულოდნელად, კონტრაქტამდე მისული საქმე ჩაიშალა. მჟავანაძეს კინალამ აზერბაიჯანული ვარიანტიც ჩაეშალა, რადგან ბაქოში მას 4 ივლისამდე შესთავაზეს ჩასვლა. საბოლოოდ, „ინტერმა" მაინც მიიღო ქართველი მცველი, ბრაზილიელ **მარსელო ლაბერტინისთან** ერთად. ორივე ეს ფეხბურთელი სინჯებზეა „ინტერში" და დღეს გუნდთან ერთად ბულგარულ შეკრებაზე მიემგზავრება. მჟავანაძეს „ინტერში" ერთი ქართველი დახვდა, **გიორგი ლომაია**.

დღეს თბილისს აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „სიმურგი" ეწვევა, 18-დან 24 ივლისის ჩათვლით საინგილოს გუნდი შეკრებას გაივლის. „სიმურგი" ჩვენს დედაქალაქში ორ სპარინგს გამართავს, „სიონთან" და „მგლებთან". 24-ში გუნდი ბათუმში ჩავა, სადაც ქუთაისის „ტორპედოს" შეხვდება. ეს „სიმურგის" მეორე ქართული შეკრებაა სეზონის წინ. „სიმურგში" სამი ქართველი ირიცხება: **კახა ჩხეტიანი**, **დავით ბოლქვაძე** და **რომან ახალკაცი**.

### მეორე ტაიმი რომაელებთან

იტალიის ქალაქ ბოლცანოში „ბლექბერნ როვერსმა" მეორე სპარინგი გამართა. ინგლისური გუნდი „რომას" 2:2 დაუზავდა, არადა 0:2-ს აგებდა. **სემ ელერდაისმა** კვლავ მისცა **ზურაბ ხიზანიშვილს** თავის გამოჩენის შანსი, ჩვენებურმა მეორე ტაიმი ითამაშა და დაცვის ცენტრში გუნდის კაპიტან **რაიან ნელსენს** შეეწყვილდა. შეგახსენებთ, რომ ხიზანიშვილი ახლოს იყო „გალათასარაიში" გადასვლასთან, თუმცა ბოლოს თურქულმა კლუბმა ქართველი მცველის ყიდვა გადაიფიქრა.

### ვაჟა თარხნიშვილი: 90 პროცენტით გავედით

მოლდოვის ჩემპიონი „შერიფი" საპასუხო მატჩში ფინურ „ინტერს" ტირასპოლში საგრძნობი ფორით დაუხვდება, მოლდოველებმა ტურკუში 1:0 მოიგეს. **ვაჟა თარხნიშვილი** თავისი გუნდის შანსებს ასე აფასებს: *„გავიმარჯვეთ, თუმცა მატჩი ჩვენთვის ძალზე რთული გამოდგა. მწვრთნელის დავალება სადღაც 90 პროცენტით შევასრულეთ და ალბათ დაახლოებით ამ თანაფარდობით ვართ ფავორიტები მეორე მატჩის წინ. აი, მეორე გოლიც რომ შეგვეგდო, ახლა სხვა საფიქრალი გვექნებოდა. ვფიქრობ, გულშემატკივარს მოეწონა ჩვენი თამაში".*

ქართველი კაპიტნის გუნდი ახლადდაწყებულ ნაციონალურ დივიზიონში 4 ქულით მე-4 ადგილზეა.

### მენთეშაშვილმა ვენტსპილსი დატოვა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** ლატვიის ჩემპიონ „ვენტსპილსში" აღარ ითამაშებს. უკვე რამდენიმე დღეა წერენ ლატვიურ მედიაში, რომ ზურა გუნდს აღარ დაუბრუნდება. გუშინ ეს ინფორმაცია ლატვიური გუნდის ოფიციალურმა საიტმაც დაადასტურა - ქართველის გვარი „ვენტსპილსის" შემადგენლობის სიიდან ამოიღო. 2007-2009 წლებში მენთეშაშვილმა „ვენტსპილსის" მაისურით 54 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ზურაბ მენთეშაშვილი

შვებულება

# სად იჯგიმება კაპელო?

ჟურნალისტიკას უამრავი ჟანრი აქვს, მათ რიცხვში, ასეთიც - გამოჩხრიკო, სად ატარებს შვებულებას ცნობილი ადამიანი, ჩაუსაფრდე, ერთი-ორი ფოტო გადაუღო, სხვა დამსვენებლებს გამოჰკითხო, როგორ იქცევა ეს ადამიანი და მერე, თუნდაც ორი აბზაცით, გაზეთიდან უამბო ხალხს. ოღონდ, გემუდარებით, არ იკითხოთ, ასეთი რამ ვის რაში სჭირდებაო. ვის სჭირდება და თქვენ... ჩვენ, ყველას. თუნდაც იმიტომ, რომ სხვა თუ არაფერი, ერთი „ვაა!" მაინც ვთქვათ. ხოლო თუ ობიექტი ისეთი კაცია, შარში ან რაიმენაირ სკანდალში ადვილად რომ ეხვევა, მაგას რა სჯობს... ამ ჟანრში ინგლისელებს ჰყავთ ძალიან ძლიერი ხალხი.

მაგრამ ინგლისის ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელოც** ძალიან ძლიერია. ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლიდან ეგრეთ წოდებულ „მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე ცხელ სკამზე" ზის და თან (ეს ფრიად მნიშვნელოვანია!) ინგლისელი არ გახლავთ, ადგილობრივი ტაბლოიდების გმირი არ გამხდარა. თამაშებს იგებს, პრესკონფერენციებზე სიტყვებს უფიქრდება, ინგლისისა და იქაური ჟურნალისტებისადმი პატივისცემას გამოხატავს... ასე რომ, მის გარშემო „ცხელი" არასდროს არაფერია და ტაბლოიდთა ლიდერთ ლიდერი „სანიც" ამიტომ შემოიფარგლა ასეთი ინფორმაციით - 63 წლის ფაბიო კაპელო და მისი მეუღლე **ლაურა** შვებულებას იტალიაში, კერძოდ კი კურორტ პანტელერიაზე ატარებენ. როგორ იქცევიან? ჩვეულებრივად, ერთი ეგ არის, ფაბიო ფოტოებზე უფრო „ბოევიკების" გმირივით იჯგიმება, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანივითო. კიდევო, წერს გაზეთი, ინგლისის ნაკრების თავკაცი ისეთ კარგ ფორმაშია, ლიპსაც არ დაგანახვებთო. ერთი ეგ არის, დანარჩენი დამსვენებლები უბრალო ხალხია და ყურადღების ცენტრში რომ ხვდება, ბუნებრივად ველარ იქცევაო...

ცნობისთვის, კაპელოსა და მის ნაკრებს უახლოესი მატჩი 12 აგვისტოს, ჰოლანდიაში, „ამსტერდამ არენაზე" ელით. ამხანაგურ შეხვედრაზეა ლაპარაკი...



ფაბიო კაპელო ისვენებს...




სეზონისწინა ამბები



დევიდ ბექჰემი და ჯონ ტერი

# შვიდი ნომრების ნაფიქრალი

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **დევიდ ბექჰემმა** ახლანდელ კაპიტან **ჯონ ტერის** სთხოვა - სანამ „ჩელსიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადასვლას გადაწყვეტდეს (თუ აპირებს, საერთოდ) კარგად დაფიქრდეს. ეს ის საქმეა, რომელშიც, „ლოს ანჯელეს გელექსის" ნახევარმცველის აზრით, აჩქარება კარგს არაფერს მოიტანს.

ვინ ვინ და, ბექზმა ძალიან კარგად იცის, რა ტკივილთან არის დაკავშირებული საყვარელი გუნდიდან წასვლა - 10 წელიწადია გასული მას მერე, რაც მან „მანჩესტერ იუნაიტედი" დატოვა და „რეალში" გადავიდა. ბექჰემი დარწმუნებულია, რომ „სიტის" მილიონები არ იქნება საკმარისი 28 წლის ტერის ისტლენდში მისატყუებლად.

*„ბედნიერება უდიდესი რამაა. თუ შენ გსიამოვნებს იმ კლუბში თამაში, რომლის წევრიც ხარ და რომლის წევრობაც ყოველთვის გინდოდა, ამას ვერანაირი ფული ვერ გადაწონის. ვფიქრობ, ჯონ ტერის საქმეც ასეა. ამ კაცს ფეხბურთი უყვარს და არა ფული. ის თავად გადაწყვეტს, რა სჯობს მისი კარიერისთვის. მე კი ვურჩევდი, გადაწყვეტილება ფულის გამო არ მიიღოს. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გვავიწყდება, რომ ჩვენ ინგლისის ნაკრების კაპიტანზე ვლაპარაკობთ, ამ წოდებას კი სიხარბით ვერავინ მიაღწევს. ინგლისის ნაკრების კაპიტნებად ფეხბურთზე შეყვარებულ ადამიანებს ირჩევენ".*

ბექჰემი იგონებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლას კარგა ხანს ისე განიცდიდა, რომ საყვარელი გუნდის თამაშს ტელევიზორშიც კი ვერ უყურებდა.

*„ყოველთვის ერთ რამეზე ვოცნებობდი - მინდოდა, მთელი კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში" გამეტარებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჩემს ხელთ არაფერი იყო. არადა, ძალიან მენატრებოდა ჩემი გუნდი. მთელი სამი წლის განმავლობაში ტელევიზორში „იუნაიტედის" თამაშს ვერ ვუყურებდი. საშინლად მტკიოდა გული".*

შეგახსენებთ, რომ ტერიმ ბექჰემისგან ეროვნული გუნდის სამკლავური 2006 წელს გადაიბარა, თუმცა ერთისთვის კაპიტნობის ჩამორთმევასა და მეორისთვის გადაცემას მათ შორის ურთიერთობა არ დაუძაბავს. ინგლისური პრესა წერს, რომ ისინი მეგობრები არიან.

*„ფეხბურთი ხრიკებით აღსავსე ძველთაძველი სახეობაა, - დასძენს ბექჰემი, - აქ მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება, თუმცა არა მგონია, ჯონ ტერის გარშემო ბევრი რამ შეიცვალოს. ვფიქრობ, ის არსად არ გადავა და სულ „ჩელსის" მოთამაშე იქნება. მოკლედ, დავიცადოთ და თავად ნახავთ, რომ გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ინგლისის ნაკრებს ლონდონელთა კაპიტანი გაუძღვება".*

მაგრამ, ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ „მანჩესტერ სიტიმ" და მისმა ფულმა ინგლისში ბევრი გაალიზიანა? გარშემო სულ ერთი და იგივე ისმის - ისტლენდელები მავანსა და მავანს დიდძალ ფულს სთავაზობენ, ის კი ამბობს, რომ ფული მისთვის მთავარი არ არის. ვითომ ეს დროებითი ამბავია და როგორც კი სატრანსფერო სეზონი დასასრულს მიუახლოვდება „პრანჭია" ფეხბურთელები ქერის ორმოში თავქუდმოგლეჯილები გადაეშვებიან?

აჰა, **კრისტიანო რონალდომ** მადრიდიდან შეუთვალა ისტლენდელებს - თქვენთან არაფრის დიდებით არ გადმოვიდოდიო. რონალდოს რეაქცია ისტლენდელთა ბანაკიდან გამოსულ ერთ გამაოგნებელ ინფორმაციას მოჰყვა - თურმე, გასულ წელს, „სიტი" პორტუგალიელის შეძენას, არც მეტი, არც ნაკლები, 135 მილიონ ფუნტად აპირებდა. როგორც იცით, ამის ნაცვლად მსოფლიოს 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელი 80 მილიონ ფუნტად მის საოცნებო გუნდში, მადრიდის „რეალში" გადავიდა.

როცა კრისტიანოს ჰკითხეს, „სიტიში" რა შემთხვევაში გადახვიდოდიო, კატეგორიულად უპასუხა: *„არავითარ შემთხვევაში! „სიტის" ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და „მანჩესტერ იუნაიტედს", „არსენალსა" და „ჩელსის" (რატომლაც „ლივერპული" არ ახსენა) დიდ პრობლემებსაც შეუქმნის, მაგრამ ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მე ერთადერთი რამ მაინტერესებს - ვითამაშო „რეალში" და გავეჯიბრო „ბარსელონასა" და „ვალენსიას".*

ხოლო კითხვაზე, შეძლებს თუ არა „მანჩესტერ სიტი" ინგლისის ჩემპიონობის მოპოვებას, რონალდომ უპასუხა: *„რა ვიცი, აბა... იმედი მაქვს, რომ ვერ შეძლებს".*

ვფიქრობთ, „რა ვიცი, აბა-ს" რომ ამბობდა, პორტუგალიელი თავის გულწრფელ დამოკიდებულებას გამოხატავდა, კერძოდ კი იმას, რომ ამიერიდან მისთვის სულერთია, ვინ იქნება ინგლისის ჩემპიონი... მერე კი გაახსენდა, რომ ყოფილ გუნდს არ უნდა აწყენინოს და დასძინა:

*„მანჩესტერ იუნაიტედში" 18 წლისა გადავედი და იქ 6 წელიწადი გავატარე. ამ გუნდის შემადგენლობაში უამრავი ჯილდო მოვიგე, როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური. გარდა ამისა, გავიცანი უამრავი ადამიანი, შევიძინე მეგობრები, მაგრამ რას იზამ, თუკი ცხოვრება ცვლილებებითაა სავსე".*

ბოლო კითხვა კი რონალდოს **მაიკლ ოუენზე** დაუსვეს. მოგეხსენებათ, თავად კრისტიანოსა და **კარლოს ტევესის** წასვლის შემდეგ „იუნაიტედის" შეტევითი პოტენციალი საგრძნობლად შესუსტდა და სერ **ალექს ფერგიუსონმა** ფრიად სარისკო გადაწყვეტილება მიიღო - ტრავმებითა და ოპერაციებით დატანჯული 29 წლის ფორვარდი შეიძინა.

*„ის გამოცდილი ფეხბურთელია და რამდენიმე დიდ გუნდში აქვს ნათამაშები. რაც მთავარია, ის ინგლისელია და სამშობლოში ჯერ კიდევ ყველა ტიტული მოსაგები აქვს. „მანჩესტერ იუნაიტედი" ფანტასტიკური კლუბია და ოუენისთვის მეშვიდე ნომრიანი მაისურის მიცემა ჩინებული აზრი იყო".*

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" შვიდი ნომერი განსაკუთრებულია. სხვადასხვა დროს ამ მაისურით თამაშობდნენ **ბრაიან რობსონი, ერიკ კანტონა, დევიდ ბექჰემი** და სულ ახლახან **კრისტიანო რონალდო...**

## შეიხედეთ ავტობუსში!



ცხელი სატრანსფერო ზაფხულის ერთ-ერთი მთავარი კითხვა ასეთია: გადავა „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი „მანჩესტერ სიტიში"? ამ კითხვაზე, ჯერჯერობით, პირდაპირი პასუხი არ არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ თავად ფეხბურთელია ჩუმად და ჟურნალისტებსაც შემოვლითი გზებით უხდებათ სიარული.

როგორ დავასკვნათ - დარჩება ტერი ლონდონში თუ არა? აი, ერთი ვარიანტი: „ჩელსი" სეზონისწინა შეკრებაზე ამერიკას გაემგზავრა, ინგლისელი პაპარაცები კი აეროპორტისკენ მიმავალ საკლუბო ავტობუსს ჩაუსაფრდნენ და ის ფოტო გადაიღეს, რომელსაც თქვენც გთავაზობთ. როგორც ხედავთ, კაპიტანი ავტობუსშია...

და რას ნიშნავს ეს? პასუხი თქვენთვის მოგვინდია...

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები

# კოჭლობით ხელმოწერილი კონტრაქტი



აი, ასეთ მდგომარეობაში მყოფი სტიუარტ დაუნინგი იყიდა ასტონ ვილამ

„ასტონ ვილამ" ინგლისის ნაკრების გარემარბი **სტიუარტ დაუნინგი** შეიძინა. კონტრაქტი ოთხწლიანია. დაუნინგის ყოფილმა კლუბმა, „მიდლსბრომ" 12 მილიონი ფუნტი მიიღო. ასე და ამგვარად, ბირმინგემელთა მწვრთნელმა, **მარტინ ონილმა** მიმდინარე ზაფხულს პირველი შენაძენი გააკეთა.

24 წლის დაუნინგმა „ვილასთან" პირადი საკითხებიც შეათანხმა და „ვილა პარკზე" სამედიცინო შემოწმებაც გაიარა, თუმცა როგორ გაიარა დაშავებულმა კაცმა საექიმო ტესტი, მართლაც საინტერესოა.

*„როგორც კი მარტინს შევხვდი და ველაპარაკე, „ასტონ ვილაში" გადასვლა მომინდა, ასე რომ, დღეს უკვე ბედნიერი ვარ. აქამდე გუნდს გარედან ვაკვირდებოდი და აშკარად ვხედავდი, რომ ის აღმავლობის გზაზე იდგა. ახლა მე თავად მისი წევრი ვარ და ეს კიდევ უფრო სასიხარულოა", - განაცხადა დაუნინგმა.*

დღეს უკვე ბირმინგემული კლუბის ფეხბურთელი თავად მიდლსბროელია და მშობლიური ქალაქის გუნდში პროფესიულად 2002 წლიდან თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში მან 181 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ბედის ირონიით, ტრავმა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, დაუნინგმა ჩემპიონატის ბოლო ტურში სწორედ „ასტონ ვილასთან" შეხვედრის დროს მიიღო. მკურნალობას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა, ასე რომ, დღეს ფეხბურთელი რეაბილიტაციის პროცესშია და მოედანს ოქტომბრამდე, უკეთეს შემთხვევაში კი სექტემბრის ბოლომდე ვერ დაუბრუნდება.

რატომ არ დარჩა სტიუარტ დაუნინგი „მიდლსბროში"? მოგეხსენებათ, „მიდლსბრო" პრემიერლიგიდან გავარდა და როგორც კი ეს მოხდა, ამოქმედდა მისი კონტრაქტის ის მუხლი, სადაც ეწერა, რომ დაუნინგი გუნდს ქვედა ლიგაში არ ჩაჰყვებოდა.

*„გაისად მსოფლიოს ჩემპიონატში მსურს თამაში, ამიტომაც, როგორც კი გამოვჯანმრთელდები, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ნაკრებში ადგილი დავიბრუნო და დავიმკვიდრო, - განაცხადა დაუნინგმა. - ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ახლა უფრო სერიოზული მონაწილეობა მსურს. ამიტომაც საჭიროა, პრემიერლიგის რომელიმე ძლიერი გუნდის შემადგენლობაში ვიყო. რასაკვირველია, მე ყოველთვის „ბოროს" ფანად დავრჩები, მაგრამ თავად გულშემატკივარმაც უნდა გამიგოს. მე ხომ ჩემი ამბიცია მაქვს".*

# სერმა სიტყვა გატეხა

„მანჩესტერ იუნაიტედმა" სენეგალის 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი, **მამე ბირამ დიუფი** იყიდა. დიუფი ნორვეგიულ „მიოლდეში" თამაშობდა. საინტერესოა, რომ ინგლისის ჩემპიონმა ეს შენაძენი სერ **ალექს ფერგიუსონის** კატეგორიული განცხადების შემდეგ გააკეთა - ახალ ფეხბურთელს ამ ზაფხულს აღარ შევიძენო. შეგახსენებთ, რომ დიუფამდე „მანჩესტერ იუნაიტედს" ნაყიდი ჰყავდა **ანტონიო ვალენსია, გაბრიელ ობერტანი** და **მაიკლ ოუენი**.

*„ახალგაზრდა კაცს, რომელიც ნორვეგიიდან გუშინ წამოვიყვანეთ, ორი წელიწადია ვაკვირდებით, - განუცხადა ინგლისის ჩემპიონის მწვრთნელმა ჟურნალისტებს, - მართალი გითხრათ, გასული კვირის შემდეგ ახალი ფეხბურთელის დამატებას აღარ ვაპირებდით, რადგან ვგრძნობდით, რომ გუნდი სრულად გვყავდა დაკომპლექტებული, მაგრამ სიტუაციამ მოქმედება მოითხოვა. კერძოდ, შევიტყვეთ, რომ დიუფის შეძენა სხვა კლუბებმაც გადაწყვიტეს, რამაც არჩევანის წინაშე დაგვაყენა. ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, გვემოქმედა, თუმცა ახლა უკვე დაზუსტებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ამ ზაფხულს მეტს აღარავის ვიყიდით. დიუფი სამედიცინო შემოწმებას შემდეგ კვირას გაივლის, თუმცა „მანჩესტერში" თამაშს იანვრიდან დაიწყებს".*

21 წლის დიუფი „მიოლდეში" 2007 წელს გადავიდა და 60 შეხვედრაში 30 გოლი გაიტანა. უნდა ითქვას, რომ „იუნაიტედს" „მიოლდესთან" ჩინებული ურთიერთობა აქვს. სწორედ ამ გუნდიდან იყიდა სერ ალექსმა თავის დროზე **ოლე გუნარ სოლსკიაერი**, რომელიც დღესაც მანჩესტერშია და რეზერვისტთა გუნდს წვრთნის.



იუნაიტედის ახალი შენაძენი მამე ბირამ დიუფი

სატრანსფერო ამბები

# ნეგრედო და ცოლის გოლი



ალვარო ნეგრედო ტოტენჰემის სამიზნეშია

ალვარო ნეგრედო, სრულად - **ალვარო ნეგრედო სანჩესი**, მადრიდელია. პროფესიული ფეხბურთის თამაში მან 2005 წელს, მესამე დივიზიონის „რაიო ვალეკანოში" დაიწყო. გასულ სეზონში ნეგრედომ „ალმერიას" შემადგენლობაში 19 გოლი შეაგდო.

ამასობაში რედნაპს კიდევ ერთი სატრანსფერო ოპერაცია აქვს ჩაფიქრებული - **დარენ ბენტის** გაყიდვა უნდა. ბენტი „ტოტენჰემმა" ორი წლის წინ „ჩარლტონ ატლეტიკისგან" 16,7 მილიონ ფუნტად იყიდა და ამ ხნის განმავლობაში ფორვარდმა 88 შეხვედრაში 25 გოლი გაიტანა, მაგრამ „სპურზის" შემადგენლობაში ფეხი მყარად მაინც ვერაფრით მოიკიდა. მისი წასვლის ამბავი განსაკუთრებით მწვავედ მას მერე დადგა, რაც გუნდში **ჯერმეინ დეფო** და **რობი კინი** დაბრუნდნენ. თან, იანვარში, „ტოტენჰემისა" და „პორტსმუთის" შეხვედრაში ბენტმა გოლის გატანის მეტისმეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, რამაც რედნაპი ისე გაამწარა, რომ პრესკონფერენციაზე თავდამსხმელი არ დაინდო და განაცხადა, ამ გოლს ჩემი ცოლიც გაიტანდაო.

ეს იყო და ეს, მას მერე, ამბობენ, რომ ბენტი „სანდერლენდში" გადავა, მაგრამ რედნაპი ვაჭრობაშიც „კერკეტი კაკალია", ფეხბურთელი რამდენადაც იყიდა, იმდენადვე უნდა, რომ გაყიდოს. ამიტომაც იყო, ორიოდ დღის წინათ „სანდერლენდს" 14 მილიონ ფუნტზე უარი რომ უთხრა.

უახლოეს დღეებში „ტოტენჰემი" „რეალისგან" **ალვარო ნეგრედოს** ყიდვას აპირებს. ამით გეგმავს ლონდონელთა თავკაცი **ჰარი რედნაპი** თავდასხმის ხაზის გადახალისებას. მოგეხსენებათ, თავიდან რედნაპი იმ მწვრთნელთა რიგებს განეკუთვნებოდა, რომელთაც იმავე „რეალიდან" **კლაას-იან ჰუნტელაარის** ყიდვა უნდოდათ, მაგრამ 25 წლის ჰოლანდიელს ვერ შესწვდა და 23 წლის ესპანელზე გადაწყვიტა ყურადღების გამახვილება.

სეზონისწინა სამზადისი



ნემანია ვიდიჩი

# აღმოსავლეთის ექსპრესი

**ნემანია ვიდიჩი** „მანჩესტერ იუნაიტედის" აღმოსავლურ ტურნეში თავიდანვე ვერ ჩაერთვება. სერბი ცენტრალური მცველი ივნისში მიღებული კოჭის ტრავმისგან დროულად ვერ გამოჯანმრთელდა. ასე და ამგვარად, იმ მოტივით, რომ გარისკვა არ შეიძლება, 22-კაციან სიაში სერ **ალექს ფერგიუსონმა** ვიდიჩი აღარ შეიყვანა. სამაგიეროდ, შორეულ აღმოსავლეთს გაემგზავრებიან **გარი ნევილი** და **ვეს ბრაუნი**.

ტურში მონაწილეობას ვერც ბრაზილიელი მცველი, **რაფაელ და სილვა** მიიღებს. გასული სეზონის ბოლოს მასაც კოჭი აწუხებდა, თუმცა ჩამოთვლილი ფეხბურთელების არყოფნა კომერციული თვალსაზრისით ბევრს არაფერს ნიშნავს, აი, **ჯი-სუნ პარკის** არყოფნა კი სეულის სტადიონს შესაძლოა დაეტყოს. სამხრეთ კორეაში „მანჩესტერ იუნაიტედი" ოთხ მატჩს გეგმავს და სეულში მესამე უწევს.

ტურნე, რომელიც დღეს, მალაიზია XI-თან შეხვედრით გაიხსნება, ახალწვეულების - **გაბრიელ ობერტანისა** და **ანტონიო ვალენსიას** გარეშე ჩაივლის. ცნობისათვის: მალაიზიის შემდეგ, ორშაბათს „იუნაიტედს" ჯაკარტაში, ინდონეზიის „ყველა ვარსკვლავთან" უნდა ეთამაშა, მაგრამ სასტუმრო „რიც კარლტონში", სადაც ინგლისის ჩემპიონი უნდა გაჩერებულიყო, ტერორისტებმა ბომბები ააფეთქეს, რის შედეგადაც 9 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 48 დაიჭრა. შესაბამისად, ფერგიუსონმა ინდონეზიური თამაში გააუქმა. არადა, ჯაკარტას სტადიონს 100 ათასი ბილეთი უკვე გაყიდული ჰქონდა.

*„აფეთქების ამბავი კუალა-ლუმპურში ჩაფრენის შემდეგ გავიგეთ და მართალი გითხრათ, შოკის ეფექტი მოახდინა. ასე რომ, იძულებულნი ვართ თამაში გავაუქმოთ. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ფეხბურთელების დაცვა გვმართებს და შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომელიც კლუბმა მიიღო, სწორია", - ბრძანა მანჩესტერელთა მწვრთნელმა.*

თუკი ექიმების ნებართვა იქნება, ვიდიჩი და ვალენსია „იუნაიტედს" უშუალოდ შინ დაბრუნების წინ, გერმანიაში შეუერთდებიან, სადაც ინგლისის ჩემპიონს ორი მატჩი აქვს დაგეგმილი. არ არის გამორიცხული, რომ 29 ივლისს, მიუნხენში, „ბოკა ხუნიორსთან" სათამაშოდ ობერტანიც ჩავიდეს. ამ შეხვედრიდან 24 საათში „იუნაიტედი" „ალიანს არენაზე" „მილანს" გაეჯიბრება.

სხვათა შორის, ხსენებული ვალენსია ფრიად სპეციფიკური პრობლემის წინაშე დგას. რატომღაც ხალხმა ის 80 მილიონად გაყიდული **კრისტიანო რონალდოს** შემცვლელად აღიქვა, ეს კი ეკვადორელს სასტიკად არ სიამოვნებს. ასეთმა მძიმე ტვირთმა ფეხბურთელს შესაძლებელია მთელი მანჩესტერული კარიერა დაუნგრიოს.

*„ვიცი, კრისტიანო „მანჩესტერ იუნაიტედში" ძალიან ძლიერად თამაშობდა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ როდესაც მე ტრანსფერზე მითანხმდებოდნენ, არავის უთქვამს, პორტუგალიელის მაგიერობა უნდა გასწიოო. მინდა ყველას გავაგებინო, რომ მე გუნდში ჩემი ფუნქცია მექნება და შევეცდები ამ ფუნქციას თავი რაც შეიძლება კარგად გავართვა. ჩემთვის მთავარი სწორედ ეს არის. ახალ გუნდში წარმატებას სხვანაირად ვერ მივაღწევ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

დიდი გასვლა

# იბრა წავა და ეტოო მოვა

**მასიმო მორატიმ** დაადასტურა, რომ „ბარსელონასთან" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრანსფერზე თითქმის შეთანხმდა, თუმცა უპრობლემოდ რა გამოსულა, ეს საქმე რომ გამოვიდეს - აქ, მუხრუჭობა, შესაძლებელია, **სამუელ ეტოომ** გასწიოს. „ინტერის" პრეზიდენტმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზეც ბრძანა; რომ უშუალოდ „ბარსას" პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტასთან** აქვს კონტაქტი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაცია ყოველთვის მშრალია და ჟურნალისტებიც გუშინ შუადღისას ამიტომ დაეხვივნენ.

*„მოლაპარაკებები დასასრულისკენ მიდის,* - თქვა მორატიმ ოფისის შესასვლელთან, - *შემოთავაზება აშკარად საყურადღებო და ჭკვიანურია. ახლა, ყველაფერს დაფიქრებით უნდა მივუდგეთ, თუმცა, მგონი, კარგი ბიზნესი უნდა გამოვიდეს".*

რამდენიმე კვირაა გასული მას მერე, რაც მორატიმ განაცხადა, რომ მისი მხრიდან იბრაჰიმოვიჩის გაყიდვა გამორიცხული სულაც არ არის, ოღონდ, ფასი უნდა იყოს სწორად დასახელებულიო. და ასეთ, „სწორ" ფასად „ნერაძურის" შეფს 60 მილიონი ფუნტი, ანუ დაახლოებით 70 მილიონი ევრო ესახებოდა. და როგორ გადათარგმნა თავის ენაზე ესპანეთის ჩემპიონმა 70 მილიონი ევრო? ფრიად თავისებურად - 41 მილიონი ევრო ფულად, პლუს სამუელ ეტოო და ზედაც **ალექსანდრ გლები**, ოღონდ ეს უკანასკნელი „ქირით".

მორატიმ განავრცო: *„ეტოო იბრაჰიმოვიჩზე იაფი ფეხბურთელია, მაგრამ „ბარსელონა" მას პირდაპირ კი არ გვიცვლის, საკმაოდ კარგ თანხას ამატებს. დიახ, ეტოო განსხვავებული სტილის მოთამაშეა, რომელსაც გუნდში ჩართვა და სქემასთან მორგება სჭირდება. ჩვენ ვიცით, რომ მას ბევრი გოლის გატანა შეუძლია და უდიდეს პატივსაც ვცემთ".*

შემდეგ „ინტერის" პრეზიდენტს ჰკითხეს - გუნდი, რომლის შემოკრებასაც ცდილობთ, **ჟოზე მოურინიოს** შეკვეთილია თუ არაო. ამ კითხვაზე მორატიმ მეტად დამაფიქრებელი პასუხი გასცა - მოურინიო ყველაფრის საქმის კურსში ჩავაყენეთო.

და რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ „ინტერში", საფეხბურთო საკითხებშიც კი, მთავარი მწვრთნელი კი არა, პრეზიდენტია? თუმცა მოურინიოს ამჯერად თავი დავანებოთ, იბრაჰიმოვიჩისა და ეტოოს საკითხს დავუბრუნდეთ. ამ თემაზე მორატის გუშინ მეორედაც მოუხდა ლაპარაკი და ამჯერადაც სრულიად გასაგებად ბრძანა, რომ თუკი იბრაჰიმოვიჩი კატალონიაში წავა, ეტოო საპირისპირო მიმართულებით, მილანისკენ გამოემართება. რომ იტყვიან, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ კამერუნელ ფორვარდს თუ უთხრეს ამის შესახებ? ეჭვია, რომ არა.

*„სამუელს იტალიურ კლუბთან არანაირი მოლაპარაკებები არ ჰქონია, ან კი რატომ უნდა ჰქონოდა, თუკი საამისო საბაბი არ ყოფილა?"* - განაცხადა თავდამსხმელის აგენტმა **ხოსეპ მარია მესალესმა** რადიო „კადენა სერთან" საუბარში.

სააგენტო dpa-მ კი „ბარსელონაში" მომუშავე, საქმეში ჩახედულ პიროვნებასთან გადაამოწმა ხმები, თითქოს უკვე ყველაფერი მოგვარებულია.

*„იბრაჰიმოვიჩის ყიდვა ჩვენი სანუკვარი მიზანია, მაგრამ ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ ასეთი რთული ტრანსფერის ამბავი ერთ ღამეში ვერ გადაწყდება. მაგრამ, ამის მიუხედავად, „ბარსელონაში" ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი",* - თქვა ინკოგნიტო ჩინოსანმა.

ამასობაში კი „ინტერი" ლოს ანჯელესში ვარჯიშობს და როგორც იქ გაგზავნილმა იტალიელმა ჟურნალისტებმა გადმოსცეს, იბრაჰიმოვიჩმა ახალი საკლუბო მაისურის პრეზენტაციაზე ფოტო არ გადაიღო...

**ილია ბაბუნაშვილი**





ეს საინტერესოა. ტაქტიკური სქემის ისტორია. მეოთხე ნაწილი



სანდრო მაცოლა და ელენიო ერერა

# კატენაჩო, ფეხბურთის მუქი მხარე

## იტალიური 5-4-1 და დევიზი: ისინი გვიტევენ და ოფლს ღვრიან, ჩვენ კი ვიმარჯვებთ, ვიმარჯვებთ ნებისმიერ ფასად

გაგრძელება.
დასაწყისი იხილეთ წინა ნომრებში

**როგორც** შეგპირდით, მეოთხე ნაწილში „კატენაჩოზე" უნდა ვისაუბროთ. თავიდანვე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება: „კატენაჩო" არ არის რომელიღაც ტაქტიკური სქემა, არამედ „კატენაჩო" არის სტრატეგია, სტილი. შეიძლება გუნდს ძირითად შემადგენლობაში სამი თავდამსხმელი ჰყავდეს, მაგრამ „კატენაჩო" ითამაშოს. უბრალოდ, ამ სტრატეგიის ფუძიდან გამომდინარე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში თავს იცავს და შანსს მორჩილად, მოთმინებით ელოდება, „კატენაჩოს" 5-4-1 უხდება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს 4-5-1-ად...

■ ■ ■

პირველ სამ ნაწილში ჩვენ იმაზე ვისაუბრეთ, რომ ათწლეულების განმავლობაში ფეხბურთში შეტევის სტილი იხვეწებოდა და ჩნდებოდა ახალ-ახალი სქემები თუ სტრატეგიები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეტიათ გუნდებს. ცხადი იყო, რომ ოდესმე უნდა შექმნილიყო თავდაცვის იდეალური სტილიც, უფრო სწორად, ახალი სტრატეგია, რომელიც თავდაცვაზე იქნებოდა ორიენტირებული.

კაცი, რომელმაც იტალიური ფეხბურთი დაცვაზე ორიენტირებული გახადა, იტალიელი არ ყოფილა. **ელენიო ერერა**, რომელმაც მსოფლიოს „კატენაჩო" გააცნო, არგენტინაში გახლდათ დაბადებული, თუმცა ის ოჯახთან ერთად მალევე წავიდა მაროკოში. საფეხბურთო კარიერა ერერამ კასაბლანკაში დაიწყო და საფრანგეთში გააგრძელა. მეტიც, ერერამ საფრანგეთის ნაკრებში ორი მატჩიც კი ჩაატარა, მაგრამ იძულებული გახდა, აქტიური სპორტული კარიერა ძალიან ადრე, 25 წლის ასაკში დაესრულებინა. ამის მიზეზი მუხლის მძიმე ტრავმა გახდა, რამაც ერერას კარიერის გაგრძელების საშუალება არ მისცა.

საფრანგეთში დაიწყო ერერას სამწვრთნელო კარიერაც. ამას მოჰყვა ერერას მუშაობა ესპანეთსა და პორტუგალიაშიც. პირენეიზე ის ისეთ გუნდებს წვრთნიდა, როგორებიცაა მადრიდის „ატლეტიკო", „სევილია" და „ბარსელონა". თუმცა ამ კლუბებს ერერა „კატენაჩოს" არ ათამაშებდა. როდესაც ერერა მილანის „ინტერის" თავკაცად დაინიშნა, „კატენაჩო" უკვე არსებობდა. და ვინ მოიგონა ის?

1937 წელს შვეიცარიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **კარლ რაპანი** დაინიშნა, რომელსაც შვეიცარიის ნაკრების 1938 წლის მუნდიალზე გაყვანა დაავალეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისთვის შვეიცარიელებს ცენტრალურ ევროპაში ყველაზე სუსტი გუნდი ჰყავდათ. შესაბამისად, რაპანს რამე უნდა მოეფიქრებინა იმისათვის, რომ გაცილებით ძლიერ გუნდებთან წარმატებისთვის მიეღწია. რაპანი თავის საფეხბურთო ფილოსოფიას დაახლოებით ასე აღწერდა: *„საფეხბურთო გუნდი შეიძლება იყოს ორი სახის. პირველი ვარიანტი ის არის, რომ მწვრთნელს ჰყავს 11 ინდივიდი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი კლასი, ფეხბურთის თამაშის ნიჭი და საკმარისად ძლიერები არიან იმისათვის, რომ ნებისმიერი მეტოქე დაამარცხონ, მაგალითად, ბრაზილიის ნაკრები. ანაც, გყავს 11 საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონის მოთამაშე, რომლებსაც გარკვეული კონცეფცია, სპეციალური გეგმა უნდა მოარგო, რადგან სხვანაირად, ძლიერი გუნდების წინააღმდეგ არაფერი გამოგივა. ეს გეგმა კი იმას ემსახურება, რომ გუნდისგან მაქსიმუმზე მეტი გამოწოვო. მონდომების, მოტივაციისა და ჭკვიანური სტრატეგიის ხარჯზე მიაღწიო წარმატებას."*

რაპანმა შექმნა შვეიცარიული სქემა. შეგახსენებთ, რომ იმხანად თითქმის ყველა 2-3-5 ტაქტიკით თამაშობდა და რაპანმა ხუთი თავდამსხმელიდან, ორი, ფლანგებზე მოთამაშე ფორვარდები უკან, დაცვაში დახია და დაცვის ფლანგებზე გაამწესა ასე გადააქცია 2-3-5 4-3-3-ად. თავისთავად, ექსპრომტად შეიქმნა ლიბეროს ინსტიტუტიც. იმის გამო, რომ ასეთი გადაადგილების შემდეგ ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის დიდი სიცარიელე გაჩნდა (მაშინ ფლანგის შემტევი ნახევარმცველები დაცვას არ ეხმარებოდნენ), რაპანმა მთელი გუნდი საკმაოდ უკან დახია და ფეხბურთელებს კონტრშეტევაზე თამაში დაავალა (იხილეთ ფოტო, რომელზეც შვეიცარიის ნაკრების სქემაა გამოსახული).

...და მან საკმაოდ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. თვითონ განსაჯეთ, 1938 წლის მუნდიალის პირველ ეტაპზე შვეიცარიამ გერმანიის ნაკრები გამოაგდო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნაცისტური გერმანია ავსტრიის შეერთების შემდეგ, საფრანგეთში გამართულ მუნდიალზე გერმანელი და ავსტრიელი ფეხბურთელების კრებულით თამაშობდა. ერთი სიტყვით, სწორედ ეს იყო პირველი დაცვითი ფეხბურთი სპორტის ამ სახეობის არსებობის ისტორიაში, რომელსაც სუსტი გუნდები ძლიერების დასამარცხებელ იარაღად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ ხოლმე.

მიუხედავად ამისა, „კატენაჩოს" სამშობლოდ იტალია მიიჩნევა და სავსებით სამართლიანადაც, რადგან ეს სტილი სწორედ აპენინზე დაიხვეწა, აპენინიდან გახდა წარმატებული და აპენინიდან გაიცნო მთელმა მსოფლიომ. მიზეზი, რის გამოც იტალიაში ამ სტილით თამაში დაიწყეს, ცხადია, იგივე იყო, რის გამოც თავის დროზე შვეიცარიამ ითამაშა დაცვითი ფეხბურთი. „კატენაჩოთი" თამაში იტალიაშიც სუსტმა გუნდებმა წამოიწყეს. მაგალითად, „კატენაჩო" პირველად სალერნოში გამოჩნდა, სადაც მწვრთნელი **ჯიპო ვიანი** გახლდათ. ეს კაცი მუდმივად გაიძახოდა, „კატენაჩო" ჩემი მოგონილიაო. ამ სტრატეგიით იტალიის პროვინციული კლუბი 1947 წელს სერია A-ში გადავიდა, თუმცა იტალიური ელიტიდან მალევე გავარდა. არსებობდა კიდევ ერთი მწვრთნელი, რომელიც ასევე „კატენაჩოს" ერთ-ერთი უპირველესი მიმდევარი გახლდათ იტალიაში: ლაპარაკია **ნერეო როკოზე**, რომელიც „ტრიესტინას" წვრთნიდა და ამ გუნდით ორჯერ დაიკავა მერვე ადგილი, რაც ასეთი უსახელო და სუსტი გუნდისთვის ძალიან სერიოზული წარმატება გახლდათ. 50-იანი წლების დასაწყისში „ინტერი" **ალფრედო ფონის** ხელშიც „კატენაჩოს" თამაშობდა, ხოლო როკომ თავისი საფეხბურთო ფილოსოფია ტრიესტიდან მილანში ჩაიტანა, სადაც „მილანთან" ერთად იტალიის ჩემპიონატები და ევროპის თასი მოიგო.

მიუხედავად ამისა, „კატენაჩო" ელენიო ერერას სახელთან ასოცირდება - მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია მისი მოგონილი არ არის. ერერა „ინტერის" თავკაცად 1960 წელს დაინიშნა. „ნერაძურისთან" ერთად რვა წლის განმავლობაში სამჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი და ორჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი. სწორედ არგენტინელი მწვრთნელი იყო პირველი სპეციალისტი, რომელმაც მსოფლიოს შთააგონა, რომ ფეხბურთი დაცვიდან იწყება და რომელმაც მსოფლიო ფეხბურთში პირველად მოკლა რომანტიკა. *„ე.წ. შემტევი და რომანტიკული ფეხბურთი ზედმეტი, ტყუილი ოფლის ღვრაა,"* - ამბობდა ერერა. შესაბამისად, მან ფეხბურთის მიზანი შეცვალა: მთავარი ის კი აღარ იყო, რომ მეტოქეზე მეტი გოლი გაგეტანა, არამედ ის, რომ მეტოქეზე ნაკლები გოლი გაგეშვა და თუ კარგად გაიაზრებთ, ამ ორ ფილოსოფიას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა! მაგალითად, ერერა ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა, თუკი მისი გუნდი კარს მშრალად შეინახავდა - დაე, არც მოეგო.

რამდენად სურდა საფეხბურთო მსოფლიოს ასეთი სტრატეგიის მიღება, ამაზე ლაპარაკი უსარგებლო ლაყბობა იქნება. ეს არავინ იცის და ვერც იმას დავიჩემებთ, რომ „კატენაჩოს" თავიდანვე მტრები გამოუჩნდნენ. ფაქტია, რომ მსოფლიო ფეხბურთმა „კატენაჩო" მიიღო.

აღსანიშნავია, რომ „ინტერი" ერერას ხელში თავიდან „კატენაჩოს" არ თამაშობდა და პირველ წელს მესამე ადგილი დაიკავა, მეორე წელს კი მეორე პოზიციაზე გავიდა. ეს კი საკმარისი არ იყო კლუბის ბოს **ანჯელო მორატისთვის**, რომელიც მოუთმენელი კაცის სახელით იყო ცნობილი. შესაბამისად, მან ერერას ულტიმატუმი წაუყენა: მომავალ სეზონს უტიტულოდ თუ დავამთავრებთ, ამას გუნდის არც ერთ წევრს არ ვაპატიებო.

» 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 «

ერერას საპასუხო რეაქცია: მან ერთ-ერთი ნახევარმცველი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო და მის ნაცვლად, დაცვის უკან კიდევ ერთი „მწმენდავი“, ანუ ლიბერო დააყენა. ამის სანაცვლოდ, ფლანგის მცველებს შედარებით მეტი თავისუფლება მიენიჭათ. ამრიგად, ერერას „ინტერში“ თამაშის ხარისხი აღარ იყო პრიორიტეტული. წაგებისა და შესაბამისად, სამსახურის დაკარგვის შიში იმდენად დიდი იყო, რომ ფეხბურთელები მხოლოდ არწაგებაზე ფიქრობდნენ. ასე და ამგვარად, „ინტერს“ ფაქტობრივად მთელი იტალია აჰყვა და ყველა გუნდმა დაცვითი ფეხბურთის თამაში დაიწყო - დიდმაც და პატარამაც, მდიდარმაც და ღარიბმაც. პირველი ნაბიჯი კი, როგორც ხედავთ, „ინტერმა“ გადადგა.

გაინტერესებთ ალბათ, როგორ უტევდა ერერას „ინტერი“: *„შეტევის დროს ყველა ფეხბურთელმა იცოდა, რა უნდა ეკეთებინა: ვერტიკალური ფეხბურთი სწრაფი ტემპით, მეტოქის საჯარიმოსთან სამ პასზე მეტი არ უნდა გაკეთებულიყო. არანაირი ჰორიზონტალური, ანუ, გვერდითა პასები. როცა გუნდი ბურთს ვერტიკალური პასით დაკარგავდა, ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ თუ გვერდითა პასის დროს დავკარგავდით ბურთს, დიდი შანსი იყო, რომ გოლი გაგვეშვა.“*

ამავდროულად, „ინტერს“ ჰყავდა ძალიან ძლიერი მარცხენა მცველი **ჯაჩინტო ფაკეტი**, რომელიც ძლიერი იყო შეტევაშიც. ამ ფეხბურთელის იმ „ინტერის“ ლიბერო **პიკი** გახლდათ, რომელიც ძალიან შორს იყო ისეთი შესანიშნავი ლიბეროებისგან, როგორებიც **ფრანც ბეკენბაუერი** ან **ფრანკო ბარეზი** იყვნენ. პიკი უბრალოდ მწმენდავი იყო, რომელსაც უპრობლემოდ შეეძლო ბურთის აუტზე მოგერიება - მას სხვა ამოცანა არც ჰქონდა და არც არავინ უჯავრდებოდა, თუკი ბურთს უბრალოდ აუტზე მოიგერიებდა.

დორტმუნდის „ბორუსია“ „ინტერთან“ იმის გამო დამარცხდა, რომ სტუმრად 0:2 წააგო, შინ კი „ნერაძურისთან“ 2:2 ითამაშა. შმიდტი: *„ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ „ინტერის“ დამარცხება უბრალოდ შეუძლებელი იყო.“*

თუმცა „ბორუსიას“ „ინტერისგან“ განსხვავებით ნახევრად პროფესიული გუნდი ჰყავდა. შმიდტი ამბობს, ერერა ფეხბურთელებს მონებივით ექცეოდაო. მილანური კლუბი ფიზიკურადაც იდეალურად იყო მომზადებული. შმიდტი: *„იმხანად ჰანეს ვაისვაილერთან ერთად ხშირად ვსაუბრობდი ტაქტიკასა და სტრატეგიაზე და ჩვენ ზუსტად ვიცოდით, რაც გველოდა „ინტერისგან“, მაგრამ... საშინაო მატჩში წარმატების მიღწევა ნამდვილად შეგვეძლო და საკმაოდ ბევრი შანსიც მოგვეცა, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. „კატენაჩოს“ მთავარი საიდუმლოც ის იყო, რომ როცა გუნდი ამ სტილით თამაშობდა, მეტოქეს ბევრი შანსი ექმნებოდა, მაგრამ გოლს კი ვერ იტანდა. „ინტერთან“ „ბორუსიამ“ საშინაო მატჩში ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ* საწყენი. გარდა ამისა, ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ ერერა თავის ფეხბურთელებს რაღაც აბებს ასმევდა - თავიდან პირდაპირ, მერე კი ყავაში ურევდა. ესეც არ იყოს, ამბობდნენ, რომ ევროპაში იყო მსაჯთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ევროპის ტურნირებზე მუდმივად იტალიური კლუბების მატჩებს სჯიდა. და თამაშები, რომლებსაც ეს არბიტრები ემსახურებოდნენ, ყოველთვის იტალიური კლუბების მოგებით მთავრდებოდა.

ერერას კი განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, ის ფეხბურთელების ცოლებს იბარებდა და ჭკუას არიგებდა, როგორი საჭმელი უნდა მოემზადებინათ ქმრებისთვის. მანვე დაარსა ე.წ. „რიტიროს“ ინსტიტუტი, რომლებიც ფეხბურთელებს უთვალთვალებდნენ, რათა მათ მატჩამდე დარჩენილი ბოლო სამი დღე ბაზაზე გაეტარებინათ, მხოლოდ მომავალ შეხვედრაზე ყოფილიყვნენ კონცენტრირებულები და არაფერი „მიექარათ“. ფეხბურთელები კი ამბობდნენ, თანამეოთახეს უფრო ხშირად ვხედავ, ვიდრე საკუთარ ცოლსო. როდესაც ინგლისელმა თავდამსხმელმა **ჯერი ჰიჩინსმა** გუნდი დატოვა, „ინტერი“ ასე დაახასიათა: *„ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჯარში ვიყავი, როგორც იქნა, მოვიხადე და სახლში ვრუნდები!“* ერერასთვის ყველაზე მთავარი ფიზმომზადება და სრულყოფილი ტაქტიკა იყო. ამასთან, ერერა იყო ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი, რომელმაც მეტოქე გუნდის ფეხბურთელების შესახებ ინფორმაციების შეგროვება დაიწყო.




ელენიო ერერას ინტერის სქემა



კატენაჩოსთვის ზედგამოჭრილი ტაქტიკური სქემა

წყალობით, „ინტერის“ თამაში არ იყო მხოლოდ მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლაზე ორიენტირებული. ეს იყო მცველი, რომელიც შესანიშნავად უტევდა, უფრო სწორად, პირველი მცველი, რომელიც იდეალურად უტევდა.

**აკი შმიდტი**, დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელი, რომელიც 1964 წელს ვესტფალიურ კლუბთან ერთად ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „ინტერთან“ დამარცხდა, იხსენებს: *„ფაკეტი მარცხენა ფლანგზე გამწესებული ათლეტი გახლდათ, მის წინ გამწესებული კორსო კი შესანიშნავი ტექნიკით იყო დაჯილდოებული. თავდასხმაში სანდრო მაცოლა დაუჯერებლად სწრაფი იყო, თავდამსხმელების უკან მოთამაშე სუარესი კი იდეალური „რეჟისორი“. აი, სწორედ ეს ოთხი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო „ინტერის“ წარმატებების გარანტი. ამ ოთხეულს ყველა თამაშში 3-4 გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ამდენის გატანა არ სურდათ, არც კი ცდილობდნენ, რომ ბევრი გოლი გაეტანათ. არადა, შეეძლოთ. ისე, ვერც გავამტყუნებთ, რადგან წარმატებებს მაინც აღწევდნენ. უბრალოდ, ზედმეტად აღარ იხარჯებოდნენ.“*

*მომენტების გამოყენება თითქოს შეუძლებელი იყო. იტალიელებმა კი ერთი მომენტი შექმნეს, გოლიც ძალიან მარტივად გაიტანეს და მერე დაცვაში ჩადგნენ. ასეა: ვეთამაშებოდით გუნდს, ვჯობდით კიდეც, მაგრამ ვერ ვამარცხებდით! აი, მილანში კი შანსი არ გვქონია.“*

დორტმუნდელმა **ჰოპი კურატმა**, რომელიც „ინტერის“ გამთამაშებელ სუარესის წინააღმდეგ თამაშობდა, მას ისე მოუშალა ნერვები, რომ ამ უკანასკნელმა მას მსაჯის წინ ამორტყა ფეხებშუა. შმიდტი: *„მე სამ მეტრში ვიდექი, მსაჯი კი ხუთ მეტრში იდგა. ყველამ დაინახა, რაც გააკეთა სუარესმა, მაგრამ მსაჯმა არაფერი მოიმოქმედა. მოგვიანებით თქვეს, არბიტრმა „ინტერისგან“ ოქროს საათი მიიღოო. მართალია, არბიტრს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მსაჯის გამო არ წაგვიგია.“*

დღესდღეობით „კატენაჩო“ ლამაზი ფეხბურთის ანტონიმად მიიჩნევა და ამას თავისი მიზეზები აქვს. ფაქტია ისიც, რომ ვინც „ინტერს“ მიბაძა, ერერასგან დაცვის სტილი თავიდან ბოლომდე გადაიღო, აი, შეტევის ერერასეულ სტილზე კი უარი თქვა. ამიტომაც გახდა „კატენაჩო“ ძალიან მო-

ერერა: *„მაბრალებდნენ, რომ ფეხბურთელებს ტირანულად ვექცეოდი და ვანამებდი. მაგრამ ფაქტია, რომ მე ფეხბურთში მხოლოდ ის დეტალები შევიტანე, რაც მერე აბსოლუტურად ყველა გუნდმა გადაიღო: მძიმე შრომა, პერფექციონიზმი, ფიზიკური ვარჯიშები, სპეციალური კვება და მატჩამდე სამი დღე არანაირი გართობა, არამედ სრული კონცენტრაცია მომავალ მატჩზე.“*

აი, ასე შეიქმნა და დაიხვეწა „კატენაჩო“ - ფეხბურთის თამაშის იტალიური სტილი, რომელსაც ბევრი ფეხბურთის მუქ მხარესაც უწოდებს. „კატენაჩო“ ორი სიტყვით შეიძლება, ასე განვმარტოთ: გამარჯვება ნებისმიერი ხერხით.

სამაგიეროდ, ნებისმიერი ხერხით მოგება არ იყო ჰოლანდიური ფეხბურთის დევიზი. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჰოლანდიელები ფეხბურთში ვერაფერს იგებდნენ და წარმატებების მიღწევა 60-იანი წლებიდან დაიწყეს, რაც **იოჰან კრუიფის** დამსახურება იყო. კრუიფზე და ჰოლანდიელების „ტოტალურ ფეხბურთზე“ მეხუთე ნაწილში ვისაუბრებთ.

*(გაგრძელება იქნება)*

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ | ლუსიო




ლუსიო და მუნტარი. მომავალი სეზონიდან ისინი თანაგუნდელები იქნებიან

# ინტერი გიგანტია, დიდი თავგადასავლები მელის

## ბრაზილიელი მიიჩნევს, რომ ბაიერნისგან მეტ პატივისცემას იმსახურებდა

**ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი ლუსიო ჩემოდნებს ალაგებს. 31 წლის მცველი, რომელიც 2002 წელს „სელესაოსთან“ ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, „ბაიერნში“ გატარებული ხუთი წლის შემდეგ, მიუნხენს ტოვებს და მილანის „ინტერში“ გადადის. ლუსიომ „ნერაძურისთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და „ინტერმა“ რეკორდმაისტერს 8 მილიონი ევრო გადაუხადა. შესაბამისად, ეს არის ლუსიოს ბოლო ინტერვიუ „ბაიერნის“ ფეხბურთელის რანგში. ბრაზილიელი გულახდილად საუბრობს „ინტერში“ გადასვლის მიზეზებზე.**

**- ლუსიო, რატომ მიდიხართ „ინტერში“?**

- უკვე 31 წლის ვარ და ძალიან მინდოდა, რომ კიდევ ერთი ხანგრძლივი კონტრაქტი გამეფორმებინა. თუმცა „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ეს არ მოისურვეს. მიუხედავად ამისა, კონფედერაციათა თასის შემდეგ მაინც მიუნხენში დარჩენას და აქ კიდევ ერთი წლის გატარებას ვგეგმავდი. მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ „ინტერის“ მესვეურები ჯერ რეკორდმაისტერის შეფებს დაუკავშირდნენ, მერე კი მე და მითხრეს, რომ „ინტერს“ ძალიან ვჭირდები. მილანელებს ვუნდოდი, მიუნხენელებს კი აღარ ვჭირდებოდი - ჰოდა, მეც „ინტერში“ გადასვლა გადავწყვიტე.

**- „ბაიერნში“ გითხრეს, აღარ გვჭირდებიო?**

- პირდაპირ არ უთქვამთ, მაგრამ მაგრძნობინეს. საუბრების დროს გამოჩნდა, რომ ჩემთვის კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებდნენ.

**- ეს თქვენთვის კარგი დღე იყო თუ ცუდი?**

- კარგი დღე იყო. მიუნხენურ კლუბში ხუთი შესანიშნავი წელი გავატარე, არაერთი ტიტული მოვიგე და ფაქტია, რომ „ბაიერნში“ გატარებული ულამაზესი წლები არასდროს დამავიწყდება.

**- და ახლა?**

- ახლა კი ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი ძალიან ლამაზი და საინტერესო ეტაპი იწყება. „ინტერი“ გიგანტია, ევროპული ფეხბურთის ფლაგმანი.

**- ლუის ვან გაალს ესაუბრეთ?**

- ვესაუბრე და მითხრა, ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლოო. ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ „ინტერს“ წინადადებით რომ არ მოემართა, შეიძლება, „ბაიერნში“ მაინც დავრჩენილიყავი. მაგრამ მილანელები ჩემით სერიოზულად დაინტერესდნენ და ძირითადში თამაშის გარანტიაც მომცეს.

**- „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს დაემშვიდობეთ?**

- რუმენიგეს და ჰოპფნერს დავემშვიდობე. უნდა ვთქვა, რომ რუმენიგე ძალიან დამწუხრებული იყო იმის გამო, რომ „ბაიერნს“ ვტოვებ. მან რეკორდმაისტერისთვის გაწეული სამსახურისთვის დიდი მადლობა გადამიხადა.

**- რა მიგაქვთ მილანში?**

- „ბაიერნში“ ხუთი წელი ვთამაშობდი და შესაბამისად, აქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. მათთან მეგობრობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ესეც არ იყოს, ჩემმა შვილებმა გერმანული ისწავლეს და აქ მათაც ბევრი მეგობარი ჰყავთ. მიუნხენში სახლი მაქვს და ამ სახლის გაყიდვას არ ვაპირებ. შვებულების დროს მიუნხენში სიამოვნებით ჩამოვალ ხოლმე. მეგობრები, „ბაიერნში“ მოპოვებული ტიტულები - ეს ყველაფერი სამუდამოდ ჩემს გულში დარჩება.

**- ალბათ ისურვებდით, რომ „ბაიერნს“ თქვენი შენარჩუნების სურვილი ჰქონოდა და თქვენთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, უფრო მეტი პატივი ეცა...**

- დღევანდელი ფეხბურთისგან სხვას არაფერს უნდა ელოდო - ეს ბიზნესია. ცხადია, ცოტათი ნაწყენი და იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა ჩემი წასვლა ჩემთვისაც კარგია და „ბაიერნისთვისაც“. ფაქტია ისიც, რომ მეტ პატივისცემას ვიმსახურებდი, რადგან „ბაიერნისთვის“ თავი არასდროს დამიზოგავს.

**- გსურთ, რომ ვინმეს მადლობა გადაუხადოთ?**

- დიახ, ფრაუ პოტჰოფს, ული ჰიონესის მდივანს. ეს ქალბატონი ყოველთვის ყველაფერში მეხმარებოდა და ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვართ. ფრაუ პოტჰოფი შესანიშნავი ადამიანია და მე ის ძალიან მიყვარს. როცა გაიგო, რომ უნდა წავსულიყავი, ატირდა და მეც მასთან ერთად ვტიროდი.

**- გსურთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში „ინტერი“ „ბაიერნს“ შეხვდეს?**

- არა, ეს არ მინდა.

**გოტფრიდ ლენცი**

კლუბები

# რჩეული გუნდების ფეხბურთელები

## 2000-2010 წლების იუვენტუსის სიმბოლური შემადგენლობა

გუშინდელ ნომერში, goal.com-ის მიერ შედგენილი „ინტერის“ 2000-10 წლების სიმბოლური შემადგენლობა გაგაცანით. დღეს კი უკვე ტურინის „იუვენტუსის“ ჯერია. ბოლო ათწლეულში „ვეკია სენიორას“ ძალიან ბევრი რამ გადახდა თავს. გუნდმა სკუდეტოები მოიპოვა, შემდეგ ჩამოართვეს და სერია B-ში უკრეს თავი. დღეს, „იუვენტუსი“ ახლიდან იკრებს ძალებს და ევროპული ფეხბურთის ელიტაში სრულფასოვნად დაბრუნებისთვის ემზადება. გასული ორი სეზონი ამ კუთხით გარდამტეხი იყო, გუნდმა იგრძნო, რომ დიდი მიზნების მიღწევა კვლავაც შეუძლია და დანარჩენი უკვე მომავლის საქმეა. რაც მთავარია, „ბებერ ქალბატონს“ უბრუნდებიან მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული ვარსკვლავები. ამ ზაფხულს ტურინულ გრანდს უკვე დაემატა ფაბიო კანავარო, დიეგო და ფელიპე მელო. როგორც კლუბის მესვეურები აცხადებენ, რამდენიმე გარიგება შესაძლოა კიდევ შედგეს. ერთი სიტყვით, „იუვენტუსი“ წინ იყურება. ჩვენ კი ცოტა ხნით უკან გავიხედოთ და გადავხედოთ იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც ბოლო ათწლეულში ყველაზე მეტი სარგებელი მოუტანეს „ვეკია სენიორას“. მაშ ასე, თქვენ წინაშეა „იუვენტუსის“ 2000-10 წლების სიმბოლური შემადგენლობა.



### იუვენტუსი

ტიტულები (2000 წლიდან დღემდე): 2 სკუდეტო (2001/02, 2002/03); იტალიის 2 სუპერთასი (2002, 2003); სერია B-ს გამარჯვებული (2006/07)

ტაქტიკა 4-4-2

მეკარე
### ჯანლუიჯი ბუფონი

მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული მეკარე. დიახ, 2001 წელს ჯიჯი „პარმადან“ „იუვენტუსში“ გადავიდა და მასში ტურინელებმა 52 მილიონი ევრო გადაიხადეს. მას შემდეგ, **ბუფონი** „ვეკია სენიორას“ სასტარტო კიპერია და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა. ჯიჯი ტიფოზებს განსაკუთრებულად უყვართ, რადგან გუნდი მაშინაც კი არ მიატოვა, როდესაც „იუვეს“ სერია B-ში უკრეს თავი. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფის შემდეგ, ბევრს არ ეგონა თუ ასეთ მსხვერპლზე წავიდოდა. ბუფონმა 241-ჯერ მოირგო „იუვეს“ კიპერისთვის განკუთვნილი მაისურა.

მარჯვენა მცველი
### ლილიან ტიურამი

ლილიანმა „იუვენტუსში“ ექვსი წლის განმავლობაში (20001-06) იასპარეზა და გუნდის ისტორიაში საკმაოდ დიდი კვალი დატოვა. ბოლო ორი სეზონი ის ცენტრალურ მცველად თამაშობდა და **ფაბიო კანავაროს** მეწყვილე გახლდათ. თუმცა, იქამდე სწორედ მარჯვენა ფლანგის მცველი იყო და ჩვენც სწორედ ამ პოზიციაზე გავამწესეთ. ტიურამის დახასიათება ორი სიტყვით შეიძლება - ძალიან საიმედო. მის მიერ დაშვებული შეცდომები ალბათ არავის გახსენდებათ და ეს უკვე ნათლად მიუთითებს მის კვალიფიკაციაზე. აღსანიშნავია, რომ ლილიანი შეტევებში იშვიათად ერთვებოდა და „იუვეში“ ჩატარებულ 145 შეხვედრაში მხოლოდ ერთი კინკილა გოლი აქვს გატანილი. არავინ იცის, რა დაემართა იმ დღეს ფრანგ უკანახაზელს, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ პაექრობაში ხორვატებს ერთბაშად ორი გოლი გაუტანა.

ცენტრალური მცველი
### ფაბიო კანავარო

კანავარომ „იუვენტუსში“ მხოლოდ ორი სეზონის განმავლობაში ითამაშა (2004-06), თუმცა ამ არცთუ ხანგრძლივ დროში საკმაოდ ბევრი მოასწრო. თავად განსაჯეთ, 74 შეხვედრას მოუყარა თავი და ექვსი გოლიც გაიტანა. მისი და ლილიან ტიურამის გაუვალი ტანდემი გულშემატკივრებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ. ფაბიომ „იუვენტუსი“ 2006 წლის ზაფხულში დატოვა და გუნდის მრავალათასიან ტიფოზერიას გული ძალიან დასწყვიტა. თუმცა, სამწლიანი განშორების შემდეგ, ის ისევ „ვეკია სენიორას“ წევრია და ახალი სეზონისთვის ემზადება. ამჯერად, მას ტურინში ტიურამი აღარ დახვდება, თუმცა არც **ჯორჯო კიელინისთან** უნდა გამოუვიდეს ურიგო დუეტი.

ცენტრალური მცველი
### პაოლო მონტერო

ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი ტურინელი, რომელმაც „იუვენტუსში“ მთელი ცხრა წელი ითამაშა (1996-2005). ამ ხნის განმავლობაში ურუგვაელმა 196 შეხვედრა გამართა და ერთი გოლი გაიტანა. **მონტერო** გამოირჩეოდა პოზიციურად ზუსტი თამაშით და მებრძოლი ხასიათით. თუმცა, ხშირად უხეშობდა და მას ბევრი სენიორ წითელ ბარათსაც კი ეწოდება. ძალიან ხშირად იღებდა გაფრთხილებებს, ხშირად აძევებდნენ კიდეც, თუმცა ტიფოზები მას ყველაფერს პატიობდნენ. მონტერო ნამდვილად ღირსეულად დგას ფაბიო კანავაროს გვერდით დაცვის ცენტრში.

მარცხენა მცველი
### ჯანლუკა პესოტო

„იუვენტუსის“ კიდევ ერთი დამსახურებული ფეხბურთელი, რომელსაც ტიფოზები დღემდე უდიდეს პატივს სცემენ. **პესოტო** არ გამოირჩეოდა სისწრაფით, არც განსაკუთრებული ტექნიკის პატრონი გახლდათ და არც გატუზოს მსგავსი ჟინიანი გამოხედვა ჰქონდა. თუმცა, ძალიან სტაბილური გახლდათ, ფატალურ შეცდომებს ფაქტობრივად არ უშვებდა და მწვრთნელებიც მუდამ ენდობოდნენ. „იუვენტუსში“ ჩატარებული 243 შეხვედრა ამის ნათელი დადასტურებაა. ჯანლუკა იტალიის ნაკრებშიც არ იყო უცხო ფიგურა, მას აძურაში 22 მატჩი აქვს ნათამაშები. ალბათ ბევრს ახსოვს მისი ჩინებული საგოლე პასი ევრო 2000-ის ფინალში, რომელსაც **მარკო დელვეკიოს** მიერ საფრანგეთის ნაკრების დამწუხრება მოჰყვა.

მარჯვენა ნახევარმცველი
### მაურო კამორანეზი

იტალიის ნაკრებში მას ხშირად გარემარბად ათამაშებენ, მაგრამ „იუვენტუსში“ ის ტიპური მარჯვენა ნახევარმცველია. მაურო „იუვენტუსში“ 2002 წლიდან თამაშობს და უკვე 198 პაექრობა აქვს გამართული. მისი მთავარი ღირსება უნივერსალიზმია. თანაბრად კარგად შეუძლია თამაში შეტევაში და დაცვაში. ხშირად ეხმარება ფორვარდებს და არც გოლია მისთვის უცხო ხილი. ამაზე „იუვენტუსის“ მაისურით გატანილი 29 გოლი ნათლად მეტყველებს. გარდა ამისა, დიდ სამუშაოს ასრულებს მეტოქე გუნდის იერიშების ჩასაშლელად. ერთი სიტყვით, ისეთი ფეხბურთელია, როგორსაც მწვრთნელები ყოველთვის განსაკუთრებულად აფასებენ.

ცენტრალური ნახევარმცველი
### ედგარ დავიდსი

ზემოთ მონტეროს უხეშობებსა და სხვადასხვა ფერის ბარათებზე ვისაუბრეთ, თუმცა ამ მხრივ მასზე ნაკლები არც **ედგარ დავიდსი** ყოფილა. არაერთხელ დაუღალატებია გუნდი მნიშვნელოვან მომენტში, თუმცა ტიფოზებს ის მაინც განსაკუთრებულად უყვარდათ. ფერადკანიანი ჰოლანდიელი „იუვენტუსს“ რვა წლის განმავლობაში ემსახურა (1997-04), 159 პაექრობა გამართა და ათი გოლი გაიტანა. თუმცა, გოლები სულაც არ იყო მისი მთავარი საქმე, ედგარი მეტოქე გუნდების იერიშების ჩაშლით გახლდათ დაკავებული, რაც მართლაც დიდებულად გამოსდიოდა. „იუვესტუსთან“ ერთად სკუდეტო სამჯერ მოიგო (1997/98, 2001/02, 2002/03), იტალიის სუპერთასი კი ორჯერ (2002, 2003).

ცენტრალური ნახევარმცველი
### პაველ ნედვედი

ჩეხ ნახევარმცველში 2001 წელს ტურინული გრანდის მესვეურებმა 41 მილიონი ევრო გადაიხადეს და როგორც შემდეგ გამოჩნდა, აბსოლუტურად სწორად მოიქცნენ. პაველმა ცხრა წელი ითამაშა „იუვენტუსში“ და გუნდის წარმატებებში ლომის წილი დაიდო. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ფაქტობრივად შეუცვლელი გახლდათ და გულშემატკივრების დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. **ნედვედმა** 244 შეხვედრა გამართა შავ-თეთრი მაისურით და 51 გოლი გაიტანა. მისი მებრძოლი ხასიათი და ყუმბარისებური დარტყმა ფეხბურთის გულშემატკივრებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ.

მარცხენა ნახევარმცველი
### ჯანლუკა ძამბროტა

კიდევ ერთი უნივერსალი, რომელმაც „იუვენტუსის“ შემადგენლობაში რამდენიმე პოზიციაზე ითამაშა. თავდაპირველად მარჯვენა მცველი გახლდათ, შემდეგ საპირისპირო ფლანგზე გადაინაცვლა და მას შემდეგ, მეტწილად სწორედ მარცხენა ფრთაზე ასპარეზობს. „იუვეში“ ერთი ხანობა მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ირჯებოდა და სიმბოლურ შემადგენლობაშიც სწორედ ამ ამპლუაში გამწესდა. რა შეიძლება ითქვას ძამბროტაზე? - ფლანგის სწრაფი ფეხბურთელი, რომელსაც შესანიშნავად ეხერხება დაცვითი ფუნქციების შესრულება და ძალიან ეფექტურია შეტევებში ჩართვისას. „იუვენტუსში“ ცხრა წელი ითამაშა, 217 მატჩი გამართა და ექვსი გოლი გაიტანა.

თავდამსხმელი
### ალესანდრო დელ პიერო

ტურინის „იუვენტუსის“ ცოცხალი ლეგენდა, რომელმაც ფაქტობრივად მთელი საფეხბურთო კარიერა საყვარელ გუნდს მიუძღვნა. იყო ორი სეზონი „პადოვაში', თუმცა ეს მოსატანიც არ არის. „ვეკია სენიორაში“ ალე 1993 წლიდან ასპარეზობს და ამ ხნის განმავლობაში, 432 შეხვედრას მოუყარა თავი. **დელ პიერო** თავდამსხმელია და გოლთა რაოდენობაც შთამბეჭდავია - 188. რაც მთავარია, „პინტურიკიო“ გაჩერებას ჯერ არ აპირებს და მონაგარს რომ კარგად გაზრდის, ამაში ეჭვი არავის ეპარება. დელ პიეროს დახასიათების აუცილებლობას ვერ ვხედავთ, რადგან ფეხბურთის ნებისმიერი მოყვარული კარგად იცნობს მის ყველასგან გამორჩეულ სათამაშო მანერას. ის, რომ ალექსი ყველაზე მეტად იმსახურებდა ამ სიაში მოხვედრას, უდავოა.

თავდამსხმელი
### დავიდ ტრეზეგე

„იუვენტუსი“ მშობლიურ კლუბად **ტრეზეგესაც** შეუძლია ჩათვალოს. ფრანგი თავდამსხმელი ტურინულ გრანდში 2000 წლიდან ასპარეზობს და ნამდვილად დაიმსახურა სიმბოლურ შემადგენლობაში მოხვედრა. 220 შეხვედრაში გატანილი 138 გოლი, დაგვეთანხმებით, ბრწყინვალე შედეგია. ალესანდრო დელ პიეროს და დავიდ ტრეზეგეს ტანდემი „იუვეს“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ. მათ ანგარიშზე ერთობლიობაში 326 გატანილი გოლია. ტრეზეგემ ბოლო დროს პოზიციები დათმო და შესაძლოა, ამ ზაფხულს კლუბი გამოიცვალოს კიდეც. თუმცა ის ყოველთვის დარჩება „ვეკია სენიორას“ გულშემატკივართა მეხსიერებაში.

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# აქვაფრესკა მუნდიალს უმიზნებს

როგორც ჩანს, **რობერტ აკვაფრესკას** იჯარის წესით თამაში დაბედებული აქვს. წლების განმავლობაში ის „ინტერის“ საკუთრება გახლდათ. თუმცა განათხოვრების წესით სხვადასხვა კლუბში ასპარეზობდა. გასული სეზონი „კალიარიში“ გაატარა და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. ამ ზაფხულს „ნერაძურის“ მესვეურებმა აკვაფრესკა „ჯენოას“ მიჰყიდეს და ახალგაზრდა ფეხბურთელსაც თითქოს საშველი უნდა დასდგომოდა. თუმცა, გენუელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჯამპიერო გასპერინიმ** ამ ეტაპზე ფეხბურთელის განათხოვრება ამჯობინა და რობერტი „ატალანტაში“ გაუშვა. ერთი სიტყვით, აკვაფრესკა მომავალ სეზონში ბერგამოული გუნდის ღირსებას დაიცავს. თავად ფეხბურთელი ოპტიმიზმს ინარჩუნებს და აცხადებს, რომ ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრება „ატალანტადანაც“ შეუძლია:

*„დარწმუნებული ვარ, რომ „ატალანტაში“ თამაში წამადგება. ენთუზიაზმის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ჩემი მიზანი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაა, ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობ და იმედი მაქვს, მომავალი სეზონი ამ მხრივ გარდამტეხი იქნება. არ დავმალავ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ვუმიზნებ და საამისოდ ძალღონეს არ დავიშურებ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი — საქართველოს თასი, მეოთხედფინალი

# პირველი ნახევარფინალისტი ლოკომოტივია

**ლოკომოტივი-არმაზი 20:12**

ლოკომოტივი (15-9): კობერიძე, ჟამუტაშვილი, ქავთარაშვილი, ანდღულაძე, შიოშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი, გენებაშვილი, ნაცარაშვილი, აოზბეგაშვილი, გუჯარაიძე, ნიშნიანიძე (ზარიძე 54), ახვლედიანი, მაისურაძე.

*2ლ: შიოშვილი, ნაცარაშვილი. 2გ,2ს: კვინიხიძე.*

არმაზი (15-9): ჩხაიძე, მჟავანაძე, კაიფაჯიანი, ბაქანიძე, ბერძული (კანდელაკი 58), კიკნაძე, აბაშიძე (ლაბაძე 35). (1-8) ესართია, ბუკია, ცირეკიძე, ჟღენტი, ჯიშკარიანი, ო.მინაშვილი, ი.მინაშვილი, თიგიშვილი.

*3ს,ა: კიკნაძე.*

მსაჯი: უ.ნარიმანიძე

საქართველოს თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში, ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ პირველი ლიგის ერთპიროვნული ლიდერის, „არმაზის“ დამარცხება დიდი გაჭირვებით შეძლო 20:12 და ნახევარფინალში გაალწია.

არმაზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გათამაშების ფავორიტს ტოლი არაფერში დაუდეს, ოდნავ ფორტუნას რომ გადმოეხედა და ცოტა სათამაშო კლასიც რომ ჰყოფნოდათ, არც დამარცხება იყო შორს.

პირველი ნახევარი საკმაოდ უფერული გამოდგა. მიზეზი ორივე გუნდის მხრიდან ხშირი შეცდომები, ტექნიკური წუნი იყო. ტაიმის ერთადერთი მშვენება მე-5 წუთზე „არმაზის“ ათი ნომრის, **დავით კიკნაძის** მიერ გატანილი დიდოსტატური არეკნი იყო, რითაც მან ანგარიში გაათანაბრა.

ორი წუთით ადრე, საჯარიმოდან ანგარიში ლოკომოტიველთა დამრტყმელმა **ბობა კვინიხიძემ** გახსნა. მანვე 22-ე წუთზე კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და ტაიმი რკინიგზელთა გუნდმა 6:3 მოიგო.

მეორე ნახევარი სანახაობრივადაც საამო გამოდგა და მატჩის მსვლელობაც დაძაბული, დამაინტრიგებელი გახდა. „ლოკომოტივმა“ 50-ე წუთზე ულამაზესი კომბინაცია გაითამაშეს და მეტოქეს პირველი ლელო გაუტანეს. რკინიგზელებმა საკუთარი დერეფანი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 30 მეტრში მოიგეს და ბურთი ხელდახელ მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გამოათამაშეს. არმაზელთა ლელოში კი, გარემარბმა **შალვა შიოშვილმა** შეაღწია, რომელმაც მეტოქე კარის ძელებს შორის დაალელოვა. კვინიხძემ ზუსტად გარდასახა - 13:3.

„ლოკომოტივი,“ მართალია, ანგარიშში წინ საგრძნობლად გაიჭრა, მაგრამ ამას „არმაზის“ ალტყინებაზე ოდნავაც არ უმოქმედია. პირველლიგელთა ლიდერი საკმაოდ უნარიანად ირჯებოდა და მომდევნო 15 წუთის განმავლობაში რაციონალური თამაშის წყალობით, ლოკომოტიველები სამჯერ აიძულა თამაშის წესი დაერღვიათ. სამივეჯერ საჯარიმო კიკნაძემ ზუსტად დაარტყა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 12:13.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთი იყო დარჩენილი. „არმაზს,“ ცხადია, მეტის მიღწევაც შეეძლო. თუმცა, „ლოკომოტივი“ არ გატყდა. მეტიც, თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მეტოქეს კიდევ ერთი ლელო გაუტანა. რკინიგზელებმა „არმაზის“ ჩათვლის მოედანთან ხუთ მეტრში შერკინება მოიგეს და რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს მორკინალების მეშვეობით. საბოლოოდ მოწინააღმდეგის ლელოში ბურთი პირველხაზელმა **გიორგი ნაცარაშვილმა** შეიტანა. კვინიხიძემ ისევ გარდასახა - 20:12.

„არმაზმა“ დარჩენილ დროში ერთი კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ უშედეგოდ. ნახევარფინალში „ლოკომოტივი“ გავიდა.

**დღეს: უნივერსიტეტი-აკადემია, ვისოლი ყოჩები - აია, ბათუმი XV-ლელო.**

ბესიკ ჯანგავაძე

ჭადრაკი

# ელადაში ქართული ზავი ჩამოვარდა

ჩვენი მოჭადრაკეები საკმაოდ წარმატებით ასპარეზობენ ევროპის ტურნირებში, მათი უმრავლესობა ჩემპიონობისთვისაც კი იბრძვის. საბერძნეთის ქალაქ ქალკიდაში კი ქართველ დიდოსტატთა დაპირისპირების მომსწრენიც გავხდით...

ჰოლანდიური ლეიდენის საჭადრაკო ტურნირის (საპრიზო ფონდი 4 ათასი ევრო) ერთპიროვნულმა ლიდერმა **თორნიკე სანიკიძემ** (2559) მეექვსე რაუნდში დასანანი მარცხი იწვნია. ქართველი დიდოსტატი შეჯიბრებაში ყველაზე მაღალი რეიტინგის მფლობელ ჰოლანდიელს, **ერიკ ფანდენ დოელს** (2590) ხვდებოდა თეთრი ფიგურებით. თორნიკე მეტოქეს 38-ე სვლაზე დანებდა, სხვა გზა მას არც ჰქონდა, ერთ სვლაში მას უეჭველი შამათი ელოდა. მე-7 ტურში თორნიკე სანიკიძე შავი ფიგურებით ამერიკელ **დანიელ ნაროდიცკის** (2356) დაუპირისპირდება. ქართველ დიდოსტატს 4,5 ქულა აქვს, 5-5 ქულით კი ხუთი მოჭადრაკე ლიდერობს, მათგან ორი დიდოსტატია უკრაინელი **სტანისლავ სავჩენკო** (2526) და ერიკ ფანდენ დოელი.

ესპანეთში გრძელდება საჭადრაკო ტურნირი ბალაგერის მე-14 ღია პირველობა, რომელშიც სამი ქართველი მონაწილეობს. მე-4 ტურში 17 წლის საერთაშორისო ოსტატი **ლევან ბრეგაძე** (2426) ინგლისელ დიდოსტატ **სტიუარტ ჰასლინგერს** დაუზავდა შავი ფიგურებით. დიდოსტატმა **ლევან აროშიძემ** (2537) შავებით იმარჯვა **ლუის კუინტასზე**. მოიგო 16 წლის **ზურაბ ჯავახაძემაც** (2309), მან თეთრი ფიგურებით **რამონ მორალესი** დაამარცხა. მეხუთე ტურის წინ ბალაგერის ღია პირველობას ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს, ბულგარელი დიდოსტატი **კირილ გეორგიევი** (2645) - 4 ქულა. ლევან აროშიძეს და ლევან ბრეგაძეს 3-3 ქულა აქვთ, ხოლო ზურაბ ჯავახაძეს - 2,5. აროშიძე თეთრებით საერთაშორისო ოსტატ **ლუის ფერნანდო იბარას** ხვდება, თეთრებით თამაშობს ბრეგაძეც, რომლის მეტოქეც **პატანკარ დევანგია** (ინდოეთი). ჯავახაძე შავი ფიგურებით ეთამაშება საერთაშორისო ოსტატ **ხორდი ფლუვიას**. ბალაგერის ღია პირველობის საპრიზო ფონდი 13 ათასი ევროა.

საბერძნეთში, კუნძულ იკარიაზე „იკაროსის საჭადრაკო ფესტივალი - ეგეოსიის ღია პირველობა“ დასასრულს უახლოვდება. მე-7 ტურში საერთაშორისო ოსტატმა ქალთა შორის **ინგა ხურცილავამ** (2261) შავი ფიგურებით წააგო უკრაინელ დიდოსტატ **ვლადიმირ ტუკმაკოვთან**. საერთაშორისო ოსტატი **ბესარიონ ხეცურიანი** (2331) კი დაუზავდა უზბეკ დიდოსტატ **სერგეი ზაგრებელნის**. გაიმართა მე-8 რაუნდის პარტიებიც. ხეცურიანმა თეთრებით მოუგო პოლონელ საერთაშორისო ოსტატ **მარცინ შიმანსკის**. გაიმარჯვა ხურცილავამაც, ინდოელ **დრაჰმა ტიჯამთან** პარტიაში. ბოლო ტურის წინ 7-7 ქულით პოლონელი დიდოსტატები ლიდერობენ, **რობერტ კემპინსკი** და **ალექსანდერ მისტა**. ჩვენებურებს 6-6 ქულა აქვთ და ათეულში არიან. იკაროსის საჭადრაკო ფესტივალის საპრიზო ფონდი 3,6 ათასი ევროა.

ქალაქ ქალკიდაში გრძელდება „ლეროსის ღია პირველობა - არტემისის თასი“, ტურნირი, რომელიც წლეულს დაარსდა. მე-6 რაუნდში ქართველი დიდოსტატები, რომლებიც ტურნირს ლიდერობდნენ, **თამაზ გელაშვილი** (2605) და **მიხეილ მჭედლიშვილი** (2592) ერთმანეთს ხდებოდნენ. გელაშვილი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, როგორც ასეთ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ხდება ხოლმე, პარტია ყაიმით დასრულდა. ჩვენებურებს 5-5 ქულა გაუხდათ, რითაც უმალ ისარგებლა უკრაინელმა დიდოსტატმა **ევგენი მიროშნიჩენკომ** და ლიდერთა დუეტი ტრიოდ იქცა. მე-7 ტურში სწორედ მიროშნიჩენკო-გელაშვილის პარტიაა უმთავრესი. მჭედლიშვილი თეთრებით უკრაინელ დიდოსტატ **გეორგი ტიმოშენკოს** ეთამაშება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძიუდო

# როსკიპის აჩრდილი

დღეს უნგრულ პაკსში ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშება იწყება, რომელშიც საქართველო სოლიდური გუნდით გამოვა: **შმაგი ლაგაზაური, თორნიკე თათარაშვილი** (55), **გიორგი ტაბატაძე** (60), **არკადი ავალიანი, ბესიკ შვანგირაძე** (66), **ლაშა ზურაბიანი, ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ვახტანგ სარაჯიშვილი** (81), **არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **მიხეილ ნარიმანიძე, შალვა ბერუაშვილი** (100), **უშანგი კოკაური** (+100).

ნაკრები 11-13 სექტემბერს ერევანში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და გუნდის თავკაც **ბორის ფირცხელიანის** არჩევანიც ამან განაპირობა - ბერუაშვილის გარდა, ყველა საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტია, რომლებსაც მწვრთნელი კიდევ ერთხელ გამოცდის. თუმცა სავიზო პრობლემების გამო მწვრთნელმა ოპტიმალური შემადგენლობა ვერ იახლა - ახალგაზრდებში ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონ **პაატა მერებაშვილსა** (60) და **ზებედა რეხვიაშვილს** (73) ვიზები არ მისცეს. მათი შარშანდელი პოლონური სკანდალი მოგეხსენებათ, როცა ვარშავაში, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე სექსუალური ძალადობის ბრალდებით ორივე ადგილობრივმა პოლიციამ რამდენიმე თვით დააკავა. საბოლოოდ გამოძიებამ ბიჭები გაამართლა, რადგან უგონოდ გალეშილ მომჩივან მეძავს დეტალურად არაფერი ახსოვდა, მისგან განსხვავებით კი სასტუმროს ვიდეოკამერებმა ნათლად ალბეჭდეს, როგორ შეჰყვა ის მშვიდი ბაასით ბიჭებს ნომერში და ბოლოს როგორ მიაცილეს ამათ ტაქსიმდე, სადაც ფულიც კი გადაუხადეს. ეს უსიამოვნო ინციდენტი კი ამოიწურა - პოლონელ მეძავთან თუ იქაურ მართლმსაჯულებასთან ყველაფერი გაირკვა, მაგრამ ბიჭებმა ძალაუნებურად სავიზო რეჟიმიც დაარღვიეს. სწორედ ამის გამო არ გაუშვეს უნგრეთში და იგივე პრობლემა დაუდგებათ ყველგან, სადაც ჩვენს მოქალაქეებს ვიზა სჭირდებათ. ანუ, პრაქტიკულად, მთელ ევროპასა და მსოფლიოში! ამ საკითხზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ სერიოზულად უნდა იმუშაოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ სხვა უწყებებთან ერთად. მით უფრო, ორივე ძალზე ნიჭიერი სპორტსმენია და დიდი სპორტისთვის მათი დაკარგვა საცოდაობა იქნება.

კიდევ კარგი, წლეულს ევროპის ჩემპიონატი ერევანში ტარდება, სადაც ვიზა არაა საჭირო და თუ მწვრთნელი ამ პრესტიჟულ ტურნირზე მათ წაყვანას გადაწყვეტს, ხელს ვერაფერი შეუშლის.

ირაკლი თავაძე

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# გეორ-გია მოსკოვს გამოეთხოვა

მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, ჯგუფურ ტურნირში, პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა ვაჟთა შორის **გეორ-გიამ** მესამე ადგილი დაიკავა და პლეი ოფში გაალწია.

ჩვენმა ფრენბურთელებმა P ჯგუფში, მესამე შეხვედრა 23-ე ნომრად განთესილ **ბარაკეტი-სალემას** არგენტინულ წყვილთან გამართა და ორ სეტში დაამარცხა - 21:13, 21:8.

პლეი ოფის პირველ რაუნდში, მეტოქედ ჩვენს ფრენბურთელებს M ჯგუფში მეორე ადგილზე გასული **მესა-ლარიოს** ესპანური წყვილი ერგო, რომელიც ტურნირზე მე-20 ნომრად იყო განთესილი. გეორ-გიამ, მართალია, ესპანელებს უშელავათო ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მაინც დამარცხდა - 0:2 (19:21, 25:27) და გათამაშებას გამოეთიშა.

ამრიგად, გეორ-გია მოსკოვში მე-17 ადგილს და 160 სარეიტინგო ქულას დასჯერდა. მომდევნო ეტაპი 20-27 ივლისს საფრანგეთის ქალაქ მარსელში გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

ოლიმპიური ფესტივალი

EYOF 2009 Tampere Finland

# ფინური ლაშქრობისთვის...

1990 წელს იმხანად ევროპის ოლიმპიური კომიტეტის (ეოკ-ი) ხელმძღვანელის, დღეს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტის, ბელგიელი დოქტორის ჟაკ როგის ინიციატივით ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების ჩატარების იდეა გაჩნდა. ამ შესანიშნავმა წამოწყებამ ეოკ-ისა და სოკ-ის მაღალ ეშელონებში დიდი მოწონება დაიმსახურა და უკვე 1991 წელს აღნიშნულ სპორტულ ღონისძიებას ეოკ-ის ეგიდითა და სოკ-ის პატრონაჟით პირველად სწორედ ჟაკ როგის სამშობლოს დედაქალაქმა - ბრიუსელმა უმასპინძლა. გადაწყდა, რომ იგი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა.

სამწუხაროდ, რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ბელგიაში საქართველოს სპორტული დელეგაციის გამგზავრება ვერ მოხერხდა და ჩვენმა ათლეტებმა ეს თამაშები 1993 წელს ჰოლანდიის ქალაქ ვალკენსვაარდში დააჭაშნიკეს. მას მერე კი მისი უცვლელი მონაწილენი ვართ.

ალბათ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშები, რომელიც 2003 წლიდან ფესტივალის სახელს ატარებს, სერიოზული რანგის სპორტული ღონისძიებაა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მიუხედავად არცთუ ისე ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიისა (18 წელიწადი), ამ შეჯიბრებას ევროპის სპორტულ რუკაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს. ის პირობითად „მცირე ოლიმპიადადაც“ შეიძლება მოვიხსენიოთ და მასში მონაწილეობა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელემენტარულად ქვეყნის პრესტიჟის საქმეა. ამაში განვლილმა რვა ასპარეზობამაც დაგვარწმუნა, რომლებშიც ბებერი კონტინენტის სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა საკმაოდ სოლიდური დელეგაციებით წარდგნენ. მცირედი გამონაკლისი 1991 წელს ბრიუსელში (ბელგია) და 2001 წელს მურსიაში (ესპანეთი) მოხდა. ბენილუქსში ამიერკავკასიის ქვეყნები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ოფიციალური ცნობებით საბჭოთა კავშირის გუნდმა იასპარეზა, რომელიც ძირითადად რუსი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო პირენეებზე ჩასვლისგან თურქეთის, კვიპროსისა და საბერძნეთის დელეგაციებმა შეიკავეს თავი, ვითომდა იმ დროს ესპანეთში გავრცელებული საშიში ვირუსის გამო.

ეჭვგარეშეა, რომ მსგავსი სპორტული შეჯიბრებები ნორჩი სპორტსმენების დაოსტატებას უწყობს ხელს. საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობა მიუღიათ ისეთ სპორტსმენებს როგორებიც არიან: **კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა ჯაკობია, რატი წინამძღვრიშვილი, ჯარჯი ზვიადაური, ლაშა გუჯეჯიანი, ივერი ჯიქურაული, გრიგოლ შინჯიკაშვილი** და ა.შ. აქვე დავძენთ, რომ სოკ-ის გადაწყვეტილებით 2010 წელს ჩატარდება მსოფლიოს ახალგაზრდული პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელსაც სინგაპური უმასპინძლებს. არ არის გამორიცხული, აქ მონაწილე ქართველი ათლეტები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის კანდიდატთა შორისაც ვიხილოთ.

ჩვენი ნორჩი სპორტსმენები 19-24 ივლისს ფინეთის ქალაქ ტამპერეში გასამართ ოლიმპიურ ფესტივალზე მიემგზავრებიან. დღეს გამთენიისას, სტამბულის გავლით, საქართველოს დელეგაციამ ფინეთის დედაქალაქისკენ აიღო გეზი, ჰელსინკიდან კი გზას ფესტივალის მასპინძელ ქალაქ ტამპერემდე ავტობუსით განაგრძობენ.

სპორტის 9 სახეობიდან ქართველი ახალგაზრდები ხუთში – ძიუდოში, მძლეოსნობაში, ჩოგბურთში, ცურვასა და სპორტულ ტანვარჯიშში ცდიან ბედს. სხვათა შორის, წინა ფესტივალზე ბელგრადში შეჯიბრებები სპორტის 11 სახეობაში ჩატარდა, თუმცა ამჯერად ორგანიზატორებმა წყალბურთის და მაგიდის ჩოგბურთის ამოღება გადაწყვიტეს. საერთოდ, სპორტის სახეობების საკითხს მასპინძელი მხარე წყვეტს. მთავარია, ნიშნული 11-ს არ გასცდეს. ტამპერეში ევროპის 48 ქვეყნის 3 ათასამდე ათლეტი მოიყრის თავს და მათ შორის 24 ჯვაროსანი იქნება. დასანანია, რომ რომ სპორტის სათამაშო სახეობებში ამჯერად გუნდი არ გვეყოლება.

ამჯერადაც ჩვენი მთავარი იმედი ძიუდო იქნება. ფესტივალებზე ქართველთაგან მოპოვებული 41 მედლიდან 35 ძიუდოისტების ანგარიშზეა და რაღა ახლა უნდა გაგვიწყრეს ღმერთი? იქნებ რომელიმე სინჯის მედალს მძლეოსნობასა და ჩოგბურთშიც გამოვკრათ ხელი. სპორტულ ტანვარჯიშსა და ცურვაში კი, ამ ეტაპზე წარმატების იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს, თუმცა ყველაფერია შესაძლებელი.

დღეს ამით დავკმაყოფილდეთ, დანარჩენს ჩემი ტამპერული რეპორტაჟებიდან შეიტყობთ.

კახა ბერიძე

ალპინიადა



# თბილისის მერია ტრადიციის მერიც გახდა

ბოლო წლებში ტრადიციად იქცა, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თაოსნობით საზაფხულო სესიების დამთავრების შემდეგ სტუდენტთა მასობრივი ალპინიადების ჩატარება. სტუდენტები ფიზიკურ წრთობასთან ერთად ეცნობიან ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებს, მის ისტორია-გეოგრაფიას, უკეთ ეცნობიან ერთმანეთს.

ღონისძიებას ამჯერადაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის ალპკლუბი ჩაუდგა სათავეში. დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებით დატვირთული ავტობუსების კოლონა თბილისიდან ბარისახოს მიმართულებით გაემგზავრა. პროგრამაში ვ. ფშაველას სახელობის მწვერვალის დალაშქვრაც შედიოდა. ხეობაში ორდღიანი ვარჯიშის შემდეგ მორიგი ბანაკი მწვერვალის ძირში, სამხრეთ-აღმოსავლეთით, აბუდელაურის ტბებთან დასცეს. 3887 მეტრის სიმაღლის მწვერვალი 98-მა მონაწილემ დალაშქრა.

ალპინიადის მონაწილენი (ხელმძღვანელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **შოთა მირიანაშვილი**) სრული შემადგენლობით მშვიდობიანად დაბრუნდნენ თბილისში.

უნდა აღინიშნოს, რომ ალპინიადის ხარჯები, ინვენტარის შეძენის ჩათვლით, ქ. თბილისის მერიამ გაიღო, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა და მისასალმებელია.

ვაჟა მათითაიშვილი

კალათბურთი

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა. ცენტრები

# შუბის სიმაღლის ფარის მცველები



ივლისის დადგომასთან ერთად სანაკრებო ამბებზე სტატიებმა იმატა. ჯერ ეროვნული გუნდის ექვს უკანახაზელზე გესაუბრეთ, შემდეგ ექვს ფორვარდზე, ახლა ცენტრებზე ვაპირებთ ლაპარაკს. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ მწვრთნელმა, იგორ კოკოშკოვმა გუნდში 14 კალათბურთელი გამოიძახა. ასე რომ, დღეს სამ კალათბურთელზე, ცენტრებზე მოგახსენებთ. ერთად გადავხედოთ მათ წლიურ მონაგარს და ვიმსჯელოთ ნაკრებში მათ როლზე.

## მეტრეველი

**ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, ნიკა მეტრეველი** – აი, ტრიო, ვის იმედადაც საქართველოს ნაკრების ფარს ვტოვებთ. ცენტრებს ხომ მეორენაირად მეფარეებსაც უწოდებენ. მათ სიმაღლეც შესაბამისი აქვთ: მეტრეველი - 213 სმ-ია, ფაჩულია – 212, შერმადინი – 216. იმასაც შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებში სიმაღლით მეორე **ნიკოლოზ ცქიტიშვილია** (215), რომელიც არა ცენტრი, არამედ მსუბუქი ფორვარდია. აი, სწორედ ასეთი "მატყუარა" სიმაღლე აქვს ნიკა მეტრეველს. დღესვე შემიძლია ნაძლევი დავდო, რომ იგი აგვისტოში საქართველოს ნაკრებში ცენტრის პოზიციაზე არ ითამაშებს.

ახალგაზრდულ ნაკრებში ნიკა ყველაზე მაღალია და მთავარი მწვრთნელი, **დავით უსტიაშვილი** ცენტრის პოზიციაზე აყენებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 20-წლამდელებს მაკედონიაში გიორგი შერმადინი რომ გაჰყოლოდა, მეტრეველი მძიმე ან სულაც მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე გადაინაცვლებდა. იმის თქმა გვინდა, რომ მეტრეველი ახალგაზრდულში ცენტრად იძულებით თამაშობს, იგი ცქიტიშვილივით სწრაფია, მასსავით თხელი და შვედეთ-სლოვაკეთის გაბერილ ცენტრებთან ჭიდაობა გაუჭირდება. გაცილებით სასარგებლო ფორვარდის ამპლუაში იქნება. სხვათა შორის, ნიკა არც "მონტეპასკის" ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა ცენტრად.

*"უმეტესად მეოთხე ნომრის (მძიმე ფორვარდის) ფუნქციებს ვასრულებდი. ცენტრად მხოლოდ მაშინ გადავდიოდი, როცა ჩვენს მეხუთე ნომერს ან ჯარიმების ლიმიტი ჰქონდა ამოწურული, ან ტრავმირებული იყო,"* – ამბობს ნიკა მეტრეველი.

წლეულს საქართველოს ნაკრებში არათუ დებიუტანტ ნიკას, გიორგი შერმადინსაც გაუჭირდება ზაზა ფაჩულიასთვის სათამაშო წუთების ჩამოკლება... შერმადინი-ფაჩულიას დუეტს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი მეტრეველის მზადყოფნაზე ვთქვათ.

ნიკა იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატის სიმბოლურ ხუთეულში მძიმე ფორვარდის ამპლუაში შევიდა. მისმა "მონტეპასკიმ" კი ფინალში "ბენეტონთან" წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

დუბლშემადგენლობის ლიდერი მეტრეველი "მონტეპასკის" მთავარ გუნდშიც თამაშობდა, რომლის შემადგენლობაშიც იტალიის ჩემპიონი გახდა. მთავარ მწვრთნელ **სიმონე პიანიჯანის** ქართველი ფორვარდ-ცენტრი განაცხადში ხშირად შეჰყავდა, მაგრამ იშვიათად ენდობოდა. ამის მიზეზს თავად კალათბურთელი მოგვახსენებს: *"მთავარი მწვრთნელი ახალგაზრდებს არ გვწყალობდა. მაშინაც კი, როცა შეხვედრის ბედი მესამე პერიოდში წყდებოდა, ჩვენს მოედანზე შეყვანას არ ფიქრობდა..."*

ნიკას განვლილ სეზონში "მონტეპასკიში" საბოლოოდ ოთხი მატჩი მოუგროვდა: ერთი ევროლიგაზე, სამიც იტალიის ჩემპიონატში.

მეტრეველის დებიუტი 14 იანვარს, ევროლიგაზე ფრანგულ "ნანსისთან" შედგა. 4 წუთში ქართველმა ერთი მოხსნა და ამდენივე ფოლი ჩაიწერა.

იტალიის ჩემპიონატში ნიკა საშუალოდ 3.3 წუთს თამაშობდა, 0.3 ქულას, 2 მოხსნას, 0.3 დაფარებას და 0.3 ჩაჭრას აგროვებდა. მოკლედ, სამ მატჩში თითო ქულა-დაფარება-ჩაჭრა გაიფორმა.

მეტრეველის აგენტი მისთვის ახალ კლუბს ეძებს, ისეთს, სადაც მეტ სათამაშო დროს გამოუძებნიან. განვლილმა სეზონმა ჩვენც და საქართველოს ნაკრების მწვრთნელებსაც დაანახვა, რომ ნიჭიერი კალათბურთელი გვეზრდება – პოტენციალი და სათანადო **მომზადება რომ არ ჰქონოდა, ევროგრანდ "მონტეპასკის"** განაცხადში მას არავინ შეიყვანდა.

## შერმადინი

გიორგი შერმადინი საქართველოს ნაკრებში პირველად 2007 წელს მოხვდა. მაშინ იგი **გორდონ ჰერბერტმა** მიიწვია, თუმცა ახალგაზრდა ცენტრს აქეთ **დავით უგრეხელიძის**, იქით ზაზა ფაჩულიას კონკურენციის დაძლევა უწევდა. შესაბამისად, 2007-08 წლების შესარჩევ ციკლში გიორგიმ 3 მატჩი ითამაშა, საშუალოდ 3 წუთში, 3.3 ქულას და 2.7 მოხსნას აგროვებდა.

2008 წლის ზაფხულში შერმადინმა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში შესანიშნავად ითამაშა – ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო: 33



წუთი, 21.5 ქულა, 10.5 მოხსნა, 1.2 პასი, 3.7 დაფარება. 20-წლამდელთა ევროპის პირველობის დასრულების შემდეგ გიორგი იგორ კოკოშკოვმა ეროვნულ ნაკრებში გადაიყვანა, თუმცა სტატისტიკა ისეთივე უფერული დარჩა, როგორც წინა წლებში: 4 მატჩში 5.3 წუთი, 2.3 ქულა, 1.5 მოხსნა.

სტატისტიკის მიხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ შერმადინი ერთ ადგილასაა და არ პროგრესირებს. რეალურად საქმე პირიქითაა – გიორგი თამაშს დღითი დღე აუმჯობესებს, საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიორგის ადგილას ნაკრებში ზაზა ფაჩულიაა, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი, რომლის კონკურენციას "ატლანტაში" **ელ ჰორფორდიც** ვერ უძლებს...

შარშან ზაზა ნაკრებში საშუალოდ 29.3 წუთს თამაშობდა. შერმადინი – 5.3 წუთს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფაჩულიას მხოლოდ შერმადინი არ ცვლიდა. იგორ კოკოშკოვი რიგ ეპიზოდებში ნომინალური ცენტრის გარეშე თამაშობდა.

წლეულს სხვა სიტუაცია უნდა იყოს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შერმადინი ახალგაზრდულ ნაკრებში არ გაუშვა – პირველ გუნდში შეკრების დასაწყისიდანვე მჭირდებიო. ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგის მონაგარი ამ აგვისტოში ერთი-ორად უნდა გაუმჯობესდეს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოთხივე მატჩს თბილისში ვთამაშობთ და 2-3 შეხვედრაში ფაჩულიას ბოლომდე დატვირთვა არ უნდა დაგვჭირდეს.

მართალია, 2007-08 წლების სეზონთან შედარებით შერმადინს ნაკლები სათამაშო პრაქტიკა ექნება (შეიძლება სწორედ ამიტომ მისი ახალგაზრდულ ნაკრებში გაშვება სასარგებლო ყოფილიყო), თუმცა "პანათინაიკოსში" ევროვარსკვლავების გვერდით ვარჯიშით საკმარისი გამოცდილება და თვითრწმენა შეიძინა. "მწვანეებმა" ხომ ევროლიგაც მოიგეს და საბერძნეთის ჩემპიონატიც.

თქვენს ყურადღებას ერთ საინტერესო დამთხვევაზე გავამახვილებთ: შერმადინსაც სწორედ იმ გუნდთან ჰქონდა დებიუტი, რომელთანაც ნიკა მეტრეველს – "ნანსისთან". ამ ფრანგულ გუნდთან ვერც შერმადინმა გამოიჩინა თავი: 10 წუთი, თითო ქულა-მოხსნა-ჩაჭრა-დაფარება.

გიორგიმ საბერძნეთის ჩემპიონატში ოდენ 4 თამაში ჩაატარა, თუმცა ბერძნები მაინც აალაპარაკა: საშუალოდ 12.8 წუთი, 9.5 ქულა, 4.5 მოხსნა (მეორე მაჩვენებელი "პანათინაიკოსში"), 1 პასი, 0.5 დაფარება, 0.5 ჩაჭრა.

...ისევე როგორც ნაკრებში, გაისად შერმადინის მონაგარის ზრდას "პანათინაიკოსშიც" უნდა ველოდოთ.

## ფაჩულია

**ადონის ჰასლემი** შარშან საშუალოდ 10.4 ქულასა და 8.3 მოხსნას აგროვებდა. **ჯერმეინ ონილი** – 13 ქულასა და 5.2 მოხსნას... ესენი NBA-ს ვარსკვლავებად ითვლებიან.

გაინტერესებთ, საიდან გაგვახსენდა ჰასლემი და ონილი? მოგახსენებთ: მაისში პლეი ოფის პირველ ეტაპზე, მეოთხე მატჩში ზაზა ფაჩულიას სწორედ ჯერმეინისა და ადონისის წინააღმდეგ მოუწია თამაში. ამერიკელი თვითმხილველების აზრით, ზაზამ ონილი და ჰასლემი ფარს არ მიაკარა, თვითონ კი 34 წუთში 12 ქულა და 18 მოხსნა მიითვალა. სხვათა შორის, "ატლანტას" მეტოქე "მაიამიმ" იმ შეხვედრაში სულ 33-ჯერ მოხსნა. თვალჩალურჯებული ზაზას წყალობით "ჰოქსმა" სერიაში ანგარიში გაათანაბრა (2:2) და მომდევნო ეტაპზეც გავიდა.

სწორედ ამ მატჩმა დაგვანახვა ჩვენც და ამერიკელებსაც, რომ ფაჩულია საიმედო ცენტრია. მისი იმედი რომ ჰქონდათ, "ატლანტას" ხელმძღვანელებმა მას 4-წლიანი კონტრაქტი იმიტომაც გაუფორმეს.

მერვე წელია, ზაზა ფაჩულიას იმედი საქართველოს ნაკრების მწვრთნელებსაც აქვთ, მაგრამ...

...ზაზა იმედს ამართლებს, ქულა-მოხსნებს უხვად აგროვებს, თუმცა გუნდი ამით ვერ ხეირობს. თავად განსაჯეთ: 2006-07 წლების საკვალიფიკაციო ეტაპზე ზაზა საშუალოდ 19.9 ქულასა და 8.9 მოხსნას ითვლიდა, ხოლო უფრო ადრე, 2004-05-ში საშუალოდ 21 ქულასა და 13 მოხსნას. სიმბოლურია, რომ ფაჩულიამ სანაკრებო რეკორდი წაგებულ მატჩში დაამყარა – ფინეთს 36 ქულა ჩაუგდო.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ერთი კაცი თამაშს ვერ მოიგებს. ეს ნაკრების ამჟამინდელ თავკაც იგორ კოკოშკოვსაც მოეხსენება, რომელმაც გუნდში მოსვლისთანავე ფუნქციები თანაბრად გადაანაწილა. შესაბამისად, ზაზა ფაჩულიას ქულა-მოხსნები დააკლდა (15 ქულა, 7.3 მოხსნა), სამაგიეროდ, გაიზარდა დანარჩენების მონაგარი, ნაკრები გუნდურად ათამაშდა და ოთხიდან მხოლოდ ერთი მატჩი წავაგეთ, ისიც 2 ქულის სხვაობით (შვედეთთან). 26 აგვისტოს სკანდინაველებს თბილისში მივიღებთ და თუ 3 ქულის სხვაობით ვაჯობეთ, ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ.



ამ საქმეში, პირველ რიგში, სწორედ კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას დახმარება გვჭირდება. იგი **ვატო ნაცვლიშვილის** შემდეგ ნაკრების მეორე სნაიპერია: 24 მატჩი, 426 ქულა (17.8), 237 მოხსნა (9.9).

განვლილ სეზონში ზაზას "ატლანტაში" გამოსვლა ორ ეტაპად უნდა გავყოთ: რეგულარულ ჩემპიონატში 19 წუთს თამაშობდა და ძირითადად ელ ჰორფორდის შემცვლელის როლით კმაყოფილდებოდა. პლეი ოფში კი ჰორფორდის ტრავმის გამო ზაზა სასტარტო შემადგენლობის კალათბურთელად იქცა და თანაგუნდელებს მეორე ეტაპზე გასვლაში დაეხმარა, სადაც "ატლანტამ" "კლივლენდთან" 0:4 დათმო.

2008-09 წლების სეზონში ქართველი ცენტრის მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 77 თამაში, 6.3 ქულა, 5.7 მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი



მანანა შაფაქიძე

## საქართველო–რუსეთი 1:1

უკრაინაში, ბუჩას საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) საკმაოდ უცნაური ფაქტი დაფიქსირდა, მეოთხედფინალში გასული 8 ჩოგბურთელიდან ერთიც არაა განთესილი. ტურნირს შემორჩენილი ბოლო განთესილი ჩვენებური იყო - 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (237). საქართველოს მე-2 ჩოგანი რუს **მაია გავეროვას** (462) ხვდებოდა, თითქოს, ფავორიტიც იყო მატჩის, მაგრამ ოქსანამ საბოლოოდ ორ სეტში უგერგილოდ წააგო - 1:6, 4:6.

იზმირში (თურქეთი), ქალ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) **მანანა შაფაქიძე** (713) აგრძელებს ბრძოლას. გუშინ კიდევ ერთი ქართულ-რუსული დაპირისპირება გაიმართა საჩოგბურთო სამყაროში, ამჯერად ქართველმა იმარჯვა - მანანამ მე-5 ნომრად განთესილი **ავგუსტა ციბიშევა** (638) ხანგრძლივ, მომქანცველ ორთაბრძოლაში დაამარცხა - 6:7 (5), 7:6 (8), 6:2. 19 წლის შაფაქიძე ნახევარფინალშია, სადაც მისი მეტოქე 17 წლის პოლონელი **სანდრა ზანევსკა** (816) იქნება. თუკი ჩვენებური მოიგებს, ის ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალში გავა.

ამასობაში „დევისის თასის" ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სამი საფეხურით უკან დაიხია და 470 ქულით 47-ე პოზიციაზე განლაგდა. ჩვენს მძლეველ ეგვიპტეს კი დიდი პროგრესი აქვს, **ქარიმ** და **მოჰამედ მაამუნების** გუნდმა 72-ე ადგილიდან 71-ეზე ისკუპა (145 ქულა). შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ეგვიპტეში 0:5 წააგო და ევრო-აფრიკის მესამე დივიზიონში გავარდა.

მსოფლიოს ახალგაზრდულ (18-წლამდელებში) რეიტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 190 ქულით 187-ე პოზიციაზეა, ხოლო 15 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** 76 ქულით 510-ეა. **ეკა გორგოძე** გოგონათა კლასიფიკაციაში 659-ე პოზიციაზეა 55 ქულით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღი ხსოვნა

### ვახტანგ ჯაფარიძე



დაიბადა 1927 წლის 18 ივლისს სამტრედიაში - 17.07.1978, თბილისი. **კალათბურთი**, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. იმსაჯა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მატჩები, კალათბურთის ფესტივალი პერუში, მრავალი საერთაშორისო შეხვედრა. სისტემატურად სახელდებოდა სსრკ საუკეთესო მსაჯთა შორის. 25 წლის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე მაღალკვალიფიციური მსაჯობისთვის ფიბამ დააჯილდოვა „ვერცხლის სასტვენით" (1967). სსრკ-ში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სპორტის საპატიო მსაჯის წოდება (1972). იყო სპორტული მოღვაწე. გარდაიცვალა თბილისში 1978 წლის 17 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ბაქო უჩემპიონოდ მოვიარეთ




**რამაზ ნოზაძეს** (96) ორ კვირაში მეორე ტიტულის მოპოვებამდე მხოლოდ ერთი მოგება დააკლდა - წინა უქმეებზე „ესპანეთის დიდ პრიზზე" იმარჯვა, გუშინ კი ბაქოში ბევრად სოლიდური „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირშიც საჩემპიონოდ იბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა რუს **რუსტამ ტოტროვთან** დათმო და ვერცხლს დასჯერდა.

ბერძენ-რომაელთა შეჯიბრება ჩვენებმა წარმატებით დაიწყეს და ნახევარფინალს 6-მა ფალავანმა უწია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინალში მხოლოდ ნოზაძე გავიდა. შესაბამისად, ტურნირის საბოლოო მონაგარში ოქრო საერთოდ არ გვაქვს, ვერცხლი - მხოლოდ 1, ბრინჯაო კი - 3. ისინი **რევაზ ლაშხმა** (60), **გენადი გოგიშვილმა** (74) და **ბადრი ხასაიამ** მოიპოვეს. ბრინჯაოსთვის კიდევ სამმა ჩვენებურმა იჭიდავა, მაგრამ სამივემ წააგო - **მანუჩარ კვირკველიამ** (74), **აკაკი ჯოხაძემ** (84) და **რევაზ ჭელიძემ** (120). გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავედით - მასპინძლებს ჩამოვრჩით.

ტრავმებით გამოწვეული წელინადნახევრიანი უქმობისა და ორივე ბეჭზე გაკეთებული ოპერაციების შემდეგ ნოზაძე მხოლოდ მეორედ ჭიდაობდა. ცხადია, ჯერ ვერც ფორმაში იქნებოდა, რადგან გუნდი მსოფლიოსთვის მზადებას ახლა იწყებს და ბიჭები მზადყოფნაში თანდათან უნდა შევიდნენ. თან, ნოზაძისგან მუდამ ჩემპიონობას ვითხოვთ, თორემ კაცმა რომ თქვას, არც ვერცხლია ურიგო. არადა, ახლა, მსოფლიოსთვის მზადების საწყის ეტაპზე შედეგზე უფრო მთავარი ისაა, რამდენად კარგად ჩაერთვება ტურნირებში, რამდენად წარმატებით შეეგუება დატვირთვებს, ხალიჩას, რამდენად გაუძლებს დაძაბულ ორთაბრძოლებს... ცუდი ისაა, რომ მან მეორე რუსთანაც წააგო. არადა, ოლიმპიურ ჩემპიონ **ასლანბეკ ხუშტოვთან** მარცხი თუ კიდევ გასაგებია, ტოტროვთან წაგება, გვინდა თუ არა, განგაშის ზარებს თავისთავად გვახსენებს...

ნოზაძის გამოსვლაში ცუდი ისიც იყო, რომ, მადრიდული ტურნირისგან განსხვავებით, ამჯერად ბლომად ქულებიც დაკარგა - მესამე წრეში უნგრელ **კისს ბალასცთან** მეორე პერიოდი 0:1 დათმო, ფინალში კი ტოტროვთან ორი სეტის ჯამში 0:7 დამარცხდა. ამ დაკარგული 8 ქულის სანაცვლოდ თვითონ 10 კი მოიპოვა, მაგრამ უმეტესად უჭირდა ეს, წმინდად კი ვერც ერთი პერიოდი ვერ მოიგო. განსაკუთრებით პოლონელ **მარსინ ოლეუნიზაკთან** გაუჭირდა - ძირითად დროში კი დაამარცხა, მაგრამ პერიოდები მხოლოდ მინიმალური სხვაობით, 1:0 მოუგო. თუმცა ეს იქნებ იმიტომაც მოხდა, რომ პირველი შეხვედრა იყო და ვერ „გაიხსნა". ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ მერე საკმაოდ ძლიერ ირანელ **ფარზიზადეჰ რეზას** ორ პერიოდში 5:0 მოუგო, თუმცა მომდევნო შეხვედრაში იმავე ბალასცს სამ პერიოდში მხოლოდ 3 ქულა აართვა, ტოტროვთან კი ერთიც სანატრელი გაუხდა.

მოკლედ, ფაქტია, რომ ნოზაძეს მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბევრი მუშაობა ელოდება. არადა, გვერდით თავისი აღმზრდელი **ოთარ ტატიშვილი** არ ეყოლება, რომელიც წლის ბოლომდე აზერბაიჯანის ნაკრებს უთავკაცებს. ახალ პოსტზე მისი დებიუტი სწორედ ამ ტურნირზე შედგა და წარმატებითაც.

ნოზაძის არ იყოს, შეგუების პროცესი უდგას ბეჭნაოპერაციებ ხასაიასაც. საინტერესოა, რომ მან პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანელთა ქართველი **შალვა გადაბაძე** დაჩაგრა - ორივე პერიოდი 1:0 მოუგო. სამაგიეროდ, ამას გამაოგნებელი მარცხი მიაყოლა რუს **ევგენი ბოგომოლოვთან!** გამაოგნებელი იმდენად, რომ გადაბაძე რუსზე ბევრად გამოცდილი და ძლიერია და თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა. მით უფრო, ხასაიამ ბოგომოლოვს პირველი პერიოდი 1:0 მოუგო. სამწუხაროდ, მომდევნო ორი ასეთივე ანგარიშით დათმო... ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ჩვენებურმა რუსის ჯავრი აზერბაიჯანელ **ელგინ მამადოვზე** იყარა და ორ პერიოდში პირწმინდად დაჯაბნა - 6:0.

მოვლენები ჩვენთვის საინტერესოდ განვითარდა 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც კვირკველიას შედეგით კონკურენტმა გოგიშვილმა აჯობა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ გოგიშვილი სპორტული მონაცემებითაც აღემატება ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს - კვირკველია არა მხოლოდ ამ წონაში, მთლიანად, ამ სტილის ჭიდაობაშია გამორჩეული ტალანტი და პეკინის ოლიმპიადაზე სავსებით სამართლიანად მიიჩნიეს ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ. გვესმის, რომ ის ოლიმპიადის შემდეგ შედარებით ისვენებს - ძირითადად ზედა წონაში ჭიდაობს და ბოლომდე არც ფორმაშია, მაგრამ გოგიშვილიც ნამდვილად იმსახურებს ქებას. ეს ბიჭი ღირსეულ კონკურენციას უწევს სახელოვან მეტოქეს, რაც ნაკრებისთვის ფრიად სასარგებლოა. გოგიშვილმა საწყის ორ შეხვედრაში დამატებით დროში დაამარცხა ამერიკელი **ფარუკ შაჰიმი** და ირანელი **რეიჰან ჰამიდი**, ნახევარფინალში კი ორივე პერიოდი დათმო უზბეკ **ჯაკონგირ მუმინოვთან**. ბრინჯაო მასპინძელ **ელვირ მურსალიევთან** დამაჯერებელი ჭიდაობით მოიგო.

ტურნირი უფრო ძლიერად კვირკველიამ დაიწყო - თურქ **მაჰმუტ ტოსუნს** პირველი პერიოდი სუფთად მოუგო, მეორეშიც 3 ქულა აართვა, ხორვატი **ნევენ ზუგაი** კი საჭიდაოდ არ გამოუცხადდა. აი, ამის მერე ორი შეხვედრა წააგო - ჯერ ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, მასპინძელ **რაფიქ ჰუსეინოვთან**, მერე კი უნგრელ **რენატო კუნთან**. თანაც, ორივე ძირითადში.

მისასალმებელია ლაშხის მედალიც. ბორჯომელი ფალავანი ნაკრებში ძალზე ტექნიკურ, ძლიერ და იმედისმომცემ ფალავნად შემოვიდა, მაგრამ ავანსები დღემდე ვერ გაამართლა. ღმერთმა ქნას, ეს ჯილდო შემობრუნების დასაწყისად იქცეს. ის ნახევარფინალში მასპინძელთა ოლიმპიურ ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი რაჰიმოვთან** დამარცხდა, ბრინჯაო კი მეორე მასპინძელს, ევროპის პრიზიორ **ფუად ალიევს** წაღლიტა დამატებით დროში.


რამაზ ნოზაძე

სხვა ჩვენებურებიდან გამოსარჩევი ისევ ჯოხაძის და ჭელიძის გამოსვლაა, თორემ **გიორგი გვენეტაძე, ლაშა გოგიტაძე** (55), **ანტონ მამაგეიშვილი, მუხრან მაჭუტაძე** (66), **დავით ქარჩავა** (84) და **გურამ ფერსელიძე** (120) ადრევე გავარდნენ. რატომღაც ტურნირში მსოფლიო ჩემპიონ **დავით ბედინაძეს** (60) და ევროპის პრიზიორ **პაატა ცხადაიას** (66) არ უჭიდავიათ.

დღეს ბაქოში ქალთა დღეა - ისინი ჭიდაობენ, ხვალ კი „თავისუფალთა" ტურნირია, რომელშიც საქართველოდან **მალხაზ ქურდიანი, გიორგი ბალიაშვილი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **ნიკოლოზ გაგნიძე** (84), **ლუკა კურტანიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი, დაჩი ქერაშვილი** (96), **დავით ოთიაშვილი, გიორგი საკანდელიძე** (120) იჭიდავებენ. აქ ორ წონაში - 55-სა და 74-ში მონაწილე არ გვეყოლება. „თავისუფალთა" წილისყრა დღეს საღამოს ჩატარდება და ჩვენებურთა მეტოქეებიც მაშინ გაირკვევიან.

**ირაკლი თავაძე**


ბადრი ხასაიას ილეთი

სუმოს სამყარო



# იორიკირი შენ, იორიკირი მე...

ქართული დერბი იაპონიის მიწაზე, ასე მოიხსენიეს გუშინდელი ორთაბრძოლა 21 წლის **ლევან გორგაძესა (ტოჩინოშინი)** და 28 წლის **ლევან ცაგურიას (კოკაი)** შორის საინფორმაციო საშუალებებში. ამბობენ, ორთაბრძოლა ცხარე იყო და ახალგაზრდა ფალავანმა მძლავრი მიწოლით დოჰიოდან უფრო გამოცდილი გაიყვანაო. თუმცა ქართველთა დაპირისპირებებში ჩვენ ეს ლოგიკური ჯაჭვიც აღმოვაჩინეთ - კოკაიმ და ტოჩინოშინმა უკვე მე-4 ქართული დერბი გამართეს და მეოთხეშიც იორიკირის ილეთი შესრულდა (მავაშის საშუალებით მიწოლა), გამარჯვებულები კი თანმიმდევრულად იცვლებიან, პირველი კოკაიმ მოიგო, მეორე - ტოჩინოშინმა და ასე შემდეგ...

დღეს ორივე ჩვენებური მე-4 მაეგაშირას რანგის რიკიშებს დაუპირისპირდება. კოკაი „კეთილშობილ მთას", **მიაბიამას** შეხვდება ხოლო ტოჩინოშინის მეტოქე „რობოკოპი" **ტაკამისაკარია**, იაპონური პუბლიკის ფავორიტი. შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინს 4-2 ბალანსი აქვს, კოკაის კი - 3-3. დღეს დოჰიოს დაუბრუნდება მე-3 დივიზიონის მეხუთე ნომერი რიკიში **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**. გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს და ის ზუსტად ასეთი ბალანსის მქონე **ტავანოიამას** შეხვდება.

ნაგოიას ბაშოზე დაუმარცხებელთა რიცხვი სამამდე დავიდა - წააგო ოძეკი **კოტომიცუკიმ**, ვისაც იაპონიის ამომავალმა ვარსკვლავმა კისენოსატომ აჯობა. სხვათა შორის, დღეს **კისენოსატოს** დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოსთან** მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ბაშოს კი ჰაკუჰოს გარდა 6-6 მოგებით ასაშორიუ და ბულგარელი ჩემპიონი **კოტოოშუ** ლიდერობენ. 5-5 მოგება ხუთ სუმოისტს დაუგროვდა, მათ შორის ყველაზე ტიტულოვანი კოტომიცუკი და ესტონელი **ბარუტო** არიან.

**VI დღე**

| | |
|---|---|
| ასაშორიუ (ი)-კოტოშოგიკუ (კ) | ცუკიოტოში |
| ჰაკუჰო (ი)-ტოჩიოძანი (მ2) | ჰატაკიკომი |
| ჰარუმაფუჯი (ო)-გოეიდო (მ1) | შიტატენაგე |
| კოტოოშუ (ო)-ტოიოჰიბიკი (მ2) | უვატენაგე |
| კაიო (ო)-არანა (მ1) | იორიკირი |
| კისენოსატო (ს)-კოტომიცუკი (ო) | ცუკიოტოში |
| ივაკიამა (მ3)-ჩიოტაიკაი (ო) | სუკუინაგე |
| კიოკუტენჰო (კ)-კაკურიუ (ს) | კიმედაში |
| ბარუტო (მ3)-ტამანოშიმა (მ6) | ჰატაკიკომი |
| ტაკამისაკარი (მ2)-ტოიონოშიმა (მ7) | იორიკირი |
| მიაბიამა (მ4)-მოკონამი (მ7) | ცუკიოტოში |
| ტოჩინოშინი (მ5)-კოკაი (მ8) | იორიკირი |
| ამინიშიკი (მ5)-კაკიძოე (მ8) | უვატეღაშინაგე |
| ბუშუიამა (მ6)-ტოჩინონადა (მ9) | ოშიდაში |
| ტამავაში (მ11)-ტაკეკაძე (მ9) | ოშიდაში |
| ტოკიტენკუ (მ10)-დეჯიმა (მ13) | იორიკირი |
| შოტენრო (მ10)-ფუტენო (მ13) | ოშიდაში |
| იამამოტოიამა (მ11)-შიმოტორი (მ14) | ცურიდაში |
| იოშიკაძე (მ12)-კასუგაო (მ15) | იორიკირი |
| ჰომაშო (მ15)-ასასეკირიუ (მ12) | იორიტაოში |
| ტოსაიუტაკა (მ14)-ვაკაკოიუ (მ16) | იორიკირი |

შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში

**VII დღე**

| | |
|---|---|
| ასაშორიუ (6-0) | კოტოშოგიკუ (2-4) |
| ჰაკუჰო (6-0) | კისენოსატო (5-1) |
| ასაშორიუ (6-0) | ივაკიამა (2-4) |
| კოტოოშუ (6-0) | კიოკუტენჰო (2-4) |
| კოტომიცუკი (5-1) | გოეიდო (1-5) |
| ბარუტო (5-1) | ტოიონოშიმა (2-4) |
| ამინიშიკი (5-1) | ბუშუიამა (2-4) |
| ტოკიტენკუ (5-1) | ჰომაშო (5-1) |
| ჰარუმაფუჯი (4-2) | კაკურიუ (2-4) |
| ტოჩინოშინი (4-2) | ტაკამისაკარი (2-4) |
| ტამანოშიმა (4-2) | კაკიძოე (2-4) |
| შოტენრო (4-2) | მოკონამი (3-3) |
| კაიო (3-3) | ტოიოჰიბიკი (0-6) |
| ჩიოტაიკაი (3-3) | არანი (1-5) |
| მიაბიამა (3-3) | კოკაი (3-3) |
| ფუტენო (3-3) | ტაკეკაძე (2-4) |
| შიმოტორი (3-3) | ტოჩინონადა (1-5) |
| იამამოტოიამა (3-3) | დეჯიმა (2-4) |
| კასუგაო (3-3) | ტამავაში (2-4) |
| ტოსაიუტაკა (3-3) | ასასეკირიუ (2-4) |
| იოშიკაძე (3-3) | ვაკაკოიუ (2-4) |

## ქართველთა დღევანდელი მეტოქეები

ტოჩინოშინი ტაკამისაკარის წინააღმდეგ: 0:3

**ტაკამისაკარი:**

მე-4 მაეგაშირა, 33 წლის, 189 სმ, 140 კგ, ყოფილი კომუსუბი



კოკაი მიაბიამას წინააღმდეგ: 5:11

**მიაბიამა**



მე-4 მაეგაშირა 31 წლის, 188 სმ, 183 კგ, ყოფილი ოძეკი

**დღის ილეთი**

**კიმედაში** (მხარის ჩაკეტა)

ეს ილეთი გუშინ მონღოლმა კომუსუბიმ, **კიოკუტენჰომ** გამოიყენა სეკივაკე **კაკურიუს** წინააღმდეგ.

კიმედაში ასე სრულდება - შემტევი გარედან ორივე ხელს ისე შემოაჭდობს მეტოქეს მხრებზე, რომ მას ხელის მოძრაობის საშუალებასართმევს. შემდეგ შემტევი საკუთარ ხელებს „შეკრავს" და უმალ იწყებს მეტოქის რყევას (ზემოთ, ქვემოთ), რასაც მოწინააღმდეგე ვერ უძლებს და უკან იხევს.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფორმულა 1

# ყველაზე მხიარული გერმანელი

**ცნობილი ადამიანების ცხოვრების შესწავლისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მათ ისეთივე ნაკლი და სუსტი მხარეები აქვთ, როგორიც ჩვეულებრივ მოკვდავთ. მაგრამ არსებობენ გამონაკლისებიც, მაგალითად, გერმანელი მიხაელ შუმახერი, რომელთან ინტერვიუც ბრიტანულმა გაზეთმა „თაიმსმა" შემოგვთავაზა. მცირედი შემოკლებით გთავაზობთ ამ საინტერესო მასალას.**

დავიწყოთ წვრილმანებით, რომლისგანაც შედგება ჩვენი ცხოვრება. მაშ ასე, თუ თქვენ იმყოფებით მანქანაში, რომელსაც საჭესთან ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** უზის, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ არსად დაგაგვიანდებათ. უფრო იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ ფანჯრიდან არ გადავარდეთ და მადლობა უთხრათ იმას, ვინც უსაფრთხოების ღვედები მოიგონა. მაგრამ შემდეგ რწმუნდებით, რომ შუმახერის გვერდით ისევე უსაფრთხოდ ხართ, როგორც სახლში დივანზე ჯდომისას. ესპანეთში „ასკარის" ტრასაზე შუმახერმა პრესის რამდენიმე წარმომადგენელი გაასეირნა. ერთ-ერთი ჟურნალისტი დაინტერესდა - რა სიჩქარით ივლიდა მიხაელი. *„აქ საათში 250 კილომეტრია დაშვებული. მზად ხარ?"* ჟურნალისტი შემდეგ ჰყვებოდა, რომ თავიდან მშვიდად დაუქნია თავი გერმანელს, მაგრამ შემდეგ სავარძელს თითებით ჩაეჭიდა და მთელი ძალით დაეყრდნო ფეხებით იტალიური მონსტრის - „მაზერატის" იატაკს. ჟურნალისტი მიხვდა თავის შეცდომას: შუმის მხედველობაში ჰქონდა 250 კს/სთ სიჩქარით მოსახვევების გავლა.

პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტი, მილიონობით ადამიანის კერპი, სინამდვილეში არც ისე მოსაწყენი გერმანელია, როგორიც ის ჟურნალისტებს წარმოუდგენიათ. კიდევ ერთი დადებითი მხარე: მას საერთოდ არ გააჩნია კომპლექსები. არადა, ყველამ იცის, რომ ბანკში მილიონები, წარმატებული კარიერა და მსოფლიო აღიარება ყოველთვის სასარგებლოდ არ მოქმედებს მამაკაცებზე. ამასთან, შუმახერს თვითირონიაც ახასიათებს, რაც ასეთი იშვიათი თვისებაა ვარსკვლავებს შორის. ასე მაგალითად, ჟურნალისტის კითხვაზე - რომელია მისი საყვარელი წიგნი? - შუმიმ, რომელიც კითხვის დიდი მოყვარული არ გახლავთ, ასე იხუმრა: *„დიახ, ყოველდღე მხოლოდ წიგნების კითხვით ვარ დაკავებული. უკვე იმდენი წავიკითხე, რომ აღარც კი მახსოვს, რა ერქვა თუნდაც ერთ-ერთ მათგანს!"*

შუმახერი თავისი საქმის აბსოლუტური ფანატია და ამის წყალობით, ფორმულა 1-ში ბრწყინვალე რეკორდის მფლობელი გახდა: შვიდჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი. მათ, ვისთვისაც უცხოა მაღალი სისწრაფეების სამყარო, შესაძლოა, ციფრი „შვიდი" მოკრძალებულად მოეჩვენოთ. მაგრამ სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად ჩემპიონებად ერთხელ ან ორჯერ ხდებიან ხოლმე - უფრო მეტის მიღწევას ყველაზე ნიჭიერებიც კი ვერ ახერხებენ. ერთხელ მეცნიერებმა შუმახერის თვალის ბადურა გამოიკვლიეს და როგორც გაირკვა, ფიზიკურადაც ეს ადამიანი ისე არ არის მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავები. თუმცა იმის შემხედვარეს, როგორ მიქრის ის ტრასაზე და თან მშვიდად ლაპარაკობს მობილური ტელეფონით, გჯერა, რომ შენ წინ სხვა პლანეტიდან ჩამოსული ადამიანია. მაგრამ ყველაზე მთავარია მეგა-პოპულარული და მეგა-მდიდარი შუმახერის დამოკიდებულება თავის მეუღლესთან. იშვიათად მოისმენ რომელიმე ცნობილი ადამიანისგან ასეთ სიტყვებს:

**- მიხაელ, ბევრისთვის თქვენ ნამდვილი ჩემპიონი ხართ. პირადად თქვენთვის ვინ არის ჩემპიონი?**

- ადამიანი, რომელთან ერთადაც ბოლო 14 წელია ვცხოვრობ - ჩემი მეუღლე კორინა.

**- როგორი ტიპის ქალები მოგწონთ?**

- ჩემი ცოლის ფოტოები გიჩვენოთ?

როცა ის ცოლსა და შვილებზე ლაპარაკობს, მწვანე თვალებში სითბო უდგება, ხოლო სახიდან ბედნიერი ღიმილი არ შორდება. თუმცა, როგორც ყველა ნორმალურ მამაკაცს, არ უყვარს, როცა უხერხულ კითხვებს უსვამენ და სულში უძვრებიან - ის საერთოდ იშვიათად უშვებს თავის სამყაროში ახალ ადამიანებს. ხოლო ისინი, ვინც ერთხელ მის ნდობას მოიპოვებენ, ბოლომდე მასთან რჩებიან: შუმისგან არასდროს წასულა მექანიკოსი, სარბოლო ინჟინერი თუ პრესაგენტი. რა თქმა უნდა, მის ცხოვრებაში ყოფილა არაერთი შემთხვევა, რომლის გამოც შემდეგ სინანულის გრძნობა დარჩენია. და როგორც ხშირად ხდება დიდი ადამიანების შემთხვევაში - მას ან აღმერთებენ, ან დასანახად სძულთ - მესამე არ არსებობს. გერმანელის არაკეთილისმსურველები დღემდე იხსენებენ, ზოგიერთი რბოლის დროს როგორ აგდებდა მიხაელი ტრასიდან წესების დარღვევით კონკურენტებს: ახალგაზრდობაში მას საშინლად არ უყვარდა წაგება. დღეს ის 40 წლისაა და მასში ბევრი რამ შეიცვალა. მაგრამ მაინც საინტერესოა, რა მინუსები შერჩა ცნობილ „წითელ ბარონს"?

**- მიხაელ, გერმანული პრესა თქვენზე ნაწყენია: ცნობილი ადამიანი ხართ, მაგრამ მთელი ამ წლების განმავლობაში პაპარაცებმა თქვენზე ერთი კომპრომატიც ვერ იპოვეს. როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?**

- იმას გულისხმობთ, რომ სხვა ქალთან ან ბარში მთვრალი ვერ გამომიჭირეს? რა თქმა უნდა, წმინდანი არ ვარ, მაგრამ მთელი ჩემი ცოდვები, როგორც ჩანს, ტრასაზე დავტოვე (იცინის).

**- თუმცა მახსოვს ერთადერთი შემთხვევა, როცა პაპარაცები ზეიმობდნენ. მაშინ მორიგი ტიტულის მოგებას აღნიშნავდით და სიხარულისგან ტელევიზორი სასტუმროს ფანჯრიდან მოისროლეთ...**



- ასეთი რამ მართლა მოხდა. მაშინ მთელი გუნდი გამარჯვებას ვზეიმობდით და ძალიან ძლიერი კოქტეილები მივირთვით. მაგრამ ამის შემდეგ მანქანის საჭესთან ხომ არ დავმჯდარვარ?! თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, მე უკვე დიდი ხანია გამოვიმუშავე ერთი წესი: როცა სალამოზე მიდიხართ, მანქანა სახლში დატოვეთ, ნუ გარისკავთ თქვენი და სხვა ადამიანების სიცოცხლეს. იმას არ ვგულისხმობ, რომ გართობა და დალევა არ შეიძლება - თავადაც მიყვარს ასეთი დღეები. მაგრამ მე ტაქსით ვამჯობინებ სალამოზე წასვლას.

**- ბევრი მამაკაცი, როგორც კი საჭეს მიუჯდება, ბოროტ და მრისხანე კომენტატორს ემსგავსება: თუ მათ წინ მანქანა ნელა მიდის, აღშფოთებას ვერ მალავენ, თუ ქერათმიანი ქალი ზის საჭესთან - აუცილებლად უხამს ხუმრობას მიმართავენ. როგორ იქცევა ჩვეულებრივ გზაზე მიხაელ შუმახერი?**

- ვერ ვიტან, როცა ვილაცა სიგნალის მიცემას იწყებს და რალაცით აღშფოთებულია საჭესთან. საბედნიეროდ, ჩვენთან ასეთი რამ იშვიათად ხდება. თუმცა იტალიაში გარკვეული პრობლემები აქვთ. იქ მანქანები, ჩვეულებრივ სამ რიგად მოძრაობენ, რატომღაც ამ ქვეყანაში ყველაზე ნელი მძღოლები შუა რიგს იკავებენ და დანარჩენებს ხელს უშლიან.

**- სხვათა შორის, ხშირად ვკითხულობთ ახალ ამბებში, რომ შუმახერს მორიგი ჯარიმა გამოუწერეს სიჩქარის გადაჭარბებისთვის...**

- როცა 300 კილომეტრი საათის სიჩქარით რბოლას ხარ მიჩვეული, გიძნელდება ასზე ჩამოსვლა. თუმცა ჩვეულებრივ, გზებზე კარგად ვიქცევი, მშვიდად დავდივარ...

**- ერთი შეხედვით საკმაოდ მშვიდი ადამიანი ხართ, მაგრამ არა ტრასაზე. ყველაზე ადვილად რას გამოყავხართ მწყობრიდან?**

- თუ გზებზე სიარულს გულისხმობთ, ამ შემთხვევაში არ მომწონს, როცა რომელიმე მძღოლი შუმახერად გვაჩვენებს თავს. სერიოზულად ვამბობ. მე ხომ არ დავრეკავ თქვენთან ოფისში და არ დავიწყებ თქვენთვის იმის სწავლებას, როგორ უნდა წეროთ სტატიები? მოდი, ასე ვთქვათ, პატივს ვცემ პროფესიონალებს.

**- რბოლების დროს ხშირად ეჩხუბებოდით კონკურენტებს. გახსოვთ, როგორ დაჰპირდით დევიდ კულტჰარდს „სიფათის გალამაზებას"?! სად დაკარგეთ მაშინ ნაქები გერმანული სიმშვიდე?**

- ალბათ, უსამართლობის გრძნობაა ის, რის გამოც სკანდალის ატეხა შემიძლია. მაგალითად, როცა რომელიმე კონკურენტი არასწორად მოიქცა, მაგრამ მაინც მე მაკრიტიკებდნენ - ეს ვის მოეწონება?! გერმანულ სიმშვიდეზე კი შემიძლია გითხრათ, რომ, როგორც ჩანს, ძალიან ბევრ დროს ვატარებ იტალიელებთან.

**- რა შეიცვალა თქვენს ხასიათში იტალიელებთან ურთიერთობის შემდეგ? მეჩვენება, რომ უფრო ვრცლად პასუხობთ კითხვებს და ჟესტიკულაციასაც უმატეთ...**

- სხვათა შორის, ლაყბობა ყოველთვის მიყვარდა. თუმცა ფაქტია, რომ იტალიელებმა ბევრი რამ მასწავლეს. ჩვეულებრივი გულჩათხრობილი და მოსაწყენი გერმანელი ვიყავი, ხოლო იტალიელების წყალობით ახლა უფრო მეტად მხიარული ვარ. და კიდევ, ძალიან მომწონს ის, თუ როგორ უყურებენ იტალიელები ცხოვრებას, როგორ შეუძლიათ მისგან სიამოვნების მიღება. სადილიც კი ლამაზი უნდა იყოს, ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე მომზადებული. თუ ისვენებენ, ბოლომდე ყირაზე გადადიან. ადრე ასეთი რამეები არ ვიცოდი.

**- ალბათ, თქვენი მეუღლე კორინა ბედნიერი იყო, როცა რბოლების დატოვება გადაწყვიტეთ. საინტერესოა, რა დამოკიდებულება აქვს მას თქვენს ბოლოდროინდელ გატაცებასთან - მოტოციკლებით რბოლას ვგულისხმობ. ეს ხომ ფორმულა 1-ზე ასჯერ უფრო სახიფათოა?!**

- კორინა უკვე დიდი ხანია შეეჩვია, რომ არანორმალურის გვერდით უწევს ცხოვრება. სისწრაფის გარეშე არ შემიძლია. უბრალოდ, ახლა რბოლებით მაშინ ვარ დაკავებული, როცა ამის სურვილი მიჩნდება. არანაირი ვალდებულება არ გამაჩნია.

**- ყველამ იცის, რომ პილოტებს ერთი განსაზღვრული მუდმივი წონა უნდა ჰქონდეთ - ამისთვის ისინი მუდმივად დიეტაზე სხედან. სპორტიდან წასვლის შემდეგ, კარგ ფიზიკურ ფორმას ინარჩუნებთ. ამის გაკეთება დღეს უფრო რთულია?**

- კომპლიმენტისთვის მადლობა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ფორმულა 1-ში გამოსვლისას უფრო კარგ ფორმაში ვიყავი. დღეს მეზარება ვარჯიში, ეს კი ზედმეტ კილოგრამებს წარმოშობს. მაგრამ რამდენი ზედმეტი წონა მაქვს, ამას არ გეტყვით - საიდუმლოა.

# სებასტიან ბურდე სასამართლოში მიდის

როგორც ბრიტანული Autosport იტყობინება, „ტორო როსოდან" დათხოვნილი ფრანგი **სებასტიან ბურდე** თავისი ყოფილი გუნდისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებს.

ოთხშაბათს, „ტორო როსომ" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წყვეტს ბურდესთან კონტრაქტს, რადგან ფრანგთან თანამშრომლობამ ვერ გაამართლა მათი იმედები. თავის მხრივ, ბურდემ ნათლად მიანიშნა ყველას, რომ შოკირებულია ამ ახალი ამბით და განაცხადა, რომ კონსულტაციას იწყებს თავის ადვოკატებთან იმის გასარკვევად, რამდენად კანონიერი იყო კონტრაქტის გაწყვეტა.

*„იმედგაცრუებული ვარ „ტორო როსოს" გადაწყვეტილებით, რომელმაც სეზონის ბოლომდე მიყვანის საშუალება არ მომცა,* - განაცხადა ბურდემ. - *მე მგონი, გუნდმა დაარღვია თავისი ვალდებულებები ჩემთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ არ მიმიცია მათთვის კონტრაქტის გაწყვეტის საბაბი. ჩემი აზრით, „ტორო როსოს" გადაწყვეტილება საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევაა. ჩემს ადვოკატებს სიტუაციის შესწავლა დავავალე და არ გამოვრიცხავთ საქმის სასამართლოში გარჩევას".*

ბურდემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ გუნდის გადაწყვეტილება განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან უნგრეთის გრანპრიზე „ტორო როსო" მოდერნიზებული ბოლიდის გამოყვანას აპირებს: *„მით უმეტეს ნაწყენი ვარ იმის გამო, რომ გადაწყვეტილება უნგრეთის გრანპრის წინ მიიღეს, სადაც „ტორო როსომ" შასის მოდერნიზებული ვერსია უნდა მიიღოს, რაც შედეგების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. დარწმუნებული ვარ, ჩემთვის განახლებული მანქანით გამოსვლის შანსი რომ მოეცათ, ღირსეულ შედეგებს მივაღწევდი".*

ბურდე თავის გულშემატკვირებს დაჰპირდა, რომ ფორმულა 1-ში კარიერის გაგრძელებას ეცდება.



# როსბერგი გზაგასაყარზე

ფორმულა 1-ის სამყაროში ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა „უილიამსის" გერმანელი პილოტის **ნიკო როსბერგის** მომავალი კონტრაქტია. 24 წლის ავტომრბოლს წელს უმთავრდება ხელშეკრულება ბრიტანულ საჯინიბოსთან და ჯერ გაურკვეველია, სად გააგრძელებს კარიერას ნიკო. როგორც გერმანული Auto Moto und Sport წერს, როსბერგს რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს, რადგან 2010 წლისთვის მას სამი გუნდი - „მაკლარენი", „ბრაუნ გრანპრი" და BMW ეპატიჟება.

ეს ინტერესი სავსებით გასაგებია: საკმარისია გავიხსენოთ, რომ წლევანდელი სეზონის ბოლო ეტაპზე - გერმანიის გრანპრიზე, როსბერგმა მე-15 პოზიციიდან აიღო სტარტი და ფინიშზე მეოთხე მივიდა. რომ არა მის ბოლიდში წარმოქმნილი პრობლემები, ნიკოს თეორიულად, პოდიუმზე ასვლაც შეეძლო.

„უილიამსს" ძალიან უნდა როსბერგის შენარჩუნება, თუმცა ნიკო ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ იძლევა და ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვას აპირებს. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია „მაკლარენში" გადასვლა. ამ გუნდთან გერმანელი უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებებს 2008 წლის დასაწყისში. მაგრამ ეს საჯინიბო აქცენტს **ლუის ჰემილტონზე** აკეთებს და ეს ფაქტი ნიკოს ხელს არ აძლევს.

გარდა ამისა, როსბერგი ღიად აღიარებს: *„რა თქმა უნდა, „BMW-ზაუბერი" ასევე შესაძლო ვარიანტია".*

გერმანელის პროგრესს ყურადღებით ადევნებს თვალს **როს ბრაუნი**. თუ „ბრაუნ გრანპრიში" არ მოისურვებენ ძვირფასი **რუბენს ბარიკელოსთან** კონტრაქტის გაგრძელებას, თეორიულად, **ჯენსონ ბატონის** პარტნიორი შეიძლება როსბერგი გახდეს. „უილიამსში" გამოთავისუფლებულ ადგილს კი ბარიკელოს, **ჰეიკი კოვალაინენს** ან ახალგაზრდა გერმანელ **ნიკო ჰიულკენბერგს** („უილიამსის" ტესტპილოტი) შესთავაზებენ.



ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# არმსტრონგი მოგებაზე ფიქრობს, მაგრამ...




„ტურ დე ფრანსის“ ლიდერი გუნდი „ასტანა“ შესუსტებული შემადგენლობით გააგრძელებს რბოლას. ყაზახურ გუნდს გამოაკლდა ერთ-ერთი წამყვანი ველომრბოლი - ამერიკელი **ლევი ლაიპჰაიმერი**, რომელიც მეოთხე ადგილს იკავებდა საერთო ჩათვლაში.

მე-12 ეტაპზე ლაიპჰაიმერი ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე დაეცა. მართალია, ის ძირითად ჯგუფს დაეწია და ფინიშამდეც მიაღწია, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლევის მაჯა ჰქონია მოტეხილი და ფრანგული ველომარათონის დარჩენილ ეტაპებზე მისი გამოსვლა გამოირიცხა.

ამასობაში, „ტურ დე ფრანსი“ ალპების მთებს მიუახლოვდა და სწორედ იქ გადაწყდება საერთო ჩათვლაში გამარჯვებულის ბედი. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ პირველობას „ასტანას“ ველომრბოლები - **ალბერტო კონტადორი** და **ლენს არმსტრონგი** გაითამაშებენ. იმავეს იმეორებს ტურის შვიდგზის გამარჯვებული ამერიკელი.

*„სიმართლე ის არის, რომ ჩემსა და კონტადორს შორის გარკვეული დაძაბულობა არსებობს. ალბერტო ძალიან ძლიერი მრბოლელია და ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული. ბევრი რბოლა მომიგია და თუ ამ ტურში გამარჯვება მას დარჩება, ხოლო მე მეორეზე, მესამეზე ან მეხუთეზე გავალ, ვიტყვი: „ყველაფერი ნორმალურადაა“. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა ამ ტურის მოგება, მაგრამ თუ ალბერტო საუკეთესო ალმოჩნდება, ვერაფერს გავაწყობ. ასე რომ, დარჩენილ ეტაპებზე ვეცდები არ დავძაბო სიტუაცია და ჩვენს გუნდში მაქსიმალური სიმშვიდე შევინარჩუნო.*

*წინ ორი მძიმე სამთო ეტაპი გველის - ვერბიესა და მონ-ვენტუში. თუ ამ მთებზე იგივე განმეორდება, რაც ანდორაში მოხდა, ტაქტიკას არ შევცვლი და ძველებურად ვიმოქმედებ. ვერ დავარღვევ გუნდური თამაშის წესებს“*, - ამბობს არმსტრონგი ფრანგული „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ლენსს მხედველობაში ჰქონდა მეშვიდე ეტაპი, რომლის ფინიშიც ანდორაში იყო. მაშინ კონტადორმა ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე ფანტასტიკური შეტევა განახორციელა და არმსტრონგს თითქმის ნახევარი წუთი მოუგო. ამერიკელს არც უცდია ესპანელის გამოდევნება და ეს გუნდური თამაშის წესად მონათლა. სწორედ იმ ეტაპის შემდეგ, კონტადორმა საერთო ჩათვლაში 2 წამით გაუსწრო არმსტრონგს და ეს ჰანდიკაპი დღემდე შენარჩუნებულია. ალბერტო და ლენსი საერთო ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილებს იკავებენ.

სხვათა შორის, ამავე ინტერვიუში არმსტრონგმა სხვა გუნდების ლიდერებს აქტიურობისკენ მოუწოდა: *„წლევანდელი ტური ჩემი და კონტადორის რბოლას დაემსგავსა. დანარჩენებს - კეიდელ ევანსს, კარლოს სასტრეს, ენდი და ფრენკ შლეკებს, დენის მენშოვს უფრო მეტი აგრესიულობა მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებენ ჩვენს დაწევას“.*

ტურში გადამწყვეტი მოვლენები მე-15 და მე-20 ეტაპებზე განვითარდება, სადაც ვერბიესა და მონ-ვენტუში სამთო ფინიშებია დაგეგმილი. ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება მე-18 ეტაპს, რომელშიც 40-კილომეტრიანი დროზე ინდივიდუალური რბოლა გაიმართება.

**XIII ეტაპი**

**ვიტელი-კოლმარი. 200 კმ**

1. **პაუსლერი** (გერ, ჩერველო) - 4.56,26; 2. **ჩურუკა** (ესპ, ეუსკატელი) - +4,11; 3. **ფეიუ** (საფ, აგრიტუბელი) - +6,13; 4. **შავანელი** (საფ, ქუიქ-სტეპი) - +6,31; 5. **ველიტსი** (სლოვაკ, მილრამი) - +6,43; 6. **ჰუშოვდი** (ნორ, ჩერველო) - იგივე დრო... 8. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო... 10. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო; 11. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - იგივე დრო... 15. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 20. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 26. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - იგივე დრო; 27. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო... 30. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - იგივე დრო; 31. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - იგივე დრო... 40. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - იგივე დრო; 41. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - 53.30,30; 2. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - +0,06; 3. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - +0,08; 4. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +0,46; 5. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +0,54; 6. **მარტინი** (გერ, თიმ კოლუმბია) - +1,00... 8. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +1,49... 12. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +2,25; 13. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +2,40... 15. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +2,52... 17. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +3,07... 27. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +5,02...

კალათბურთი

# ვნებები ბუზერისა და ოდომის გარშემო

არ დადასტურდა ცნობა იმის შესახებ, რომ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“ მომავალი სეზონისთვის შემადგენლობას „იუტას ჯაზის“ ფორვარდ **პოლ მილსეპით** გააძლიერებდა.

შეგახსენებთ, რომ „პორტლენდმა“ ამ კალათბურთელს ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც მილსეპი 34 მილიონ დოლარს მიიღებდა. პოლი შეზღუდული თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და იმ შემთხვევაში, თუ „იუტა“ მას მინიმუმ ისეთივე წინადადებით მიმართავდა, როგორიც „პორტლენდმა“ შესთავაზა, ფორვარდი „ჯაზმენებს“ დარჩებოდათ. ასეც მოხდა და შესაბამისად, მილსეპი „იუტაში“ გააგრძელებს კარიერას.

მილსეპის გაფორმებით „ჯაზის“ სახელფასო ბიუჯეტმა დაშვებულ ზღვარს გადააჭარბა და ამის გამო, „იუტა“ თავისი ლიდერისა და მაღალანაზღაურებადი ფორვარდის **კარლოს ბუზერის** გაცვლას შეეცდება. რაც შეეხება „პორტლენდს“, მილსეპის ნაცვლად ის „ლეიკერსის“ თავისუფალი აგენტის **ლამარ ოდომის** გაფორმებაზე გადაერთვება. გუშინდელ ნომერში ვწერდით მის შესახებ, რომ კალიფორნიულმა კლუბმა აღარ მოისურვა ამ ფორვარდთან კონტრაქტის გახანგრძლივება.

■ ■ ■

კარლოს ბუზერსა და ლამარ ოდომს დავუბრუნდეთ. ამ კალათბურთელების გადაბირებაზე მუშაობა დაიწყო „მაიამი ჰიტმა“.

ფლორიდელები ოდომს ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, რომლის ღირებულებაც 34 მილიონ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება კარლოს ბუზერს, „მაიამი“ მის ხელში ჩაგდებას ტრეიდით აპირებს. ამისთვის „ჰიტის“ ხელმძღვანელობა მესამე კლუბს - „მემფის გრიზლისს“ ჩართავს საქმეში. თუ გაცვლა განხორციელდა, ბუზერი „მაიამიში“ გადავა, „ჯაზს“ **ადონის ჰასლემი** ერგება, ხოლო „გრიზლისს“ - **დორელ რაიტი**.

„ჰიტი“ მომავალ სეზონში 12.7 მილიონ დოლარს გადაუხდის ბუზერს, გაისად ზაფხულში კი ახალ კონტრაქტს გაუფორმებს 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონს.

■ ■ ■

ამერიკის საკალათბურთო ნაკრების საწვრთნელ ბანაკს კიდევ ერთი კალათბურთელი დაემატება. მომავალ კვირას, სხვებთან ერთად ლას ვეგასში შეკრებას დაიწყებს „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ფორვარდი **ენტონი რენდოლფი**. 20 წლის კალათბურთელი ერთ-ერთია იმ 25 კანდიდატიდან, რომელიც 2010 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე განაცხადებს პრეტენზიას.




რენდოლფი შარშანდელ სეზონში საშუალოდ 7.9 ქულას აგროვებდა. მან ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელობა ამ დღეებში მიმდინარე ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე კარგი თამაშით მოხიბლა. იქ ენტონი საშუალოდ 26.8 ქულას აგროვებს.

სხვათა შორის, ნაკრების საწვრთნელ შეკრებას გამოაკლდება ორი კალათბურთელი - **დევიდ ლი** („ნიუ იორკი“) და **გლენ დევისი** („ბოსტონი“), რადგან ისინი თავისუფალი აგენტები არიან და კონტრაქტები არ გააჩნიათ.

■ ■ ■

უცნაური ამბავი შეემთხვა „სან ანტონიო სპურსის“ ახალწვეულ **რიჩარდ ჯეფერსონს**. მას დაავიწყდა საკუთარ ქორწილში მიპატიჟებული მეგობრებისა და ნათესავების გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ ცერემონია აღარ შედგებოდა.

Yahoo!Buzz-ის ცნობით, ფორვარდს „ნიუ ჯერსი ნეტსის“ დამხმარე ჯგუფის ერთ-ერთ მოცეკვავე გოგონაზე **ნიკოლ ნიკოლსზე** უნდა დაეწერა ჯვარი, მაგრამ ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე წყვილმა იჩხუბა და ჯეფერსონმა ცერემონია გააუქმა, დაპატიჟებული სტუმრების გაფრთხილება კი დაავიწყდა. ასე რომ, უპატარძლო და უსიძეო ქორწილზე ამაოდ ელოდნენ „ბედნიერ“ წყვილს.

სხვათა შორის, არშემდგარი ქორწილის ორგანიზება ჯეფერსონს 2 მილიონი დოლარი დაუჯდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჰოფენჰაიმი-პანათინაიკოსი | 1:0 |
| ოფენბახი-კაიზერი | 1:1 |
| უნრეტჰახინგი-აუგსბურგი | 0:4 |
| ჰერტა-ბურსა | 2:1 |
| ბორდო-ტულუზა | 0:1 |
| ჰევერლე-გენკი | 0:0 |
| სტ. პაული-სტოკი | 3:1 |
| ვინტერტური-ნიურნბერგი | 1:3 |
| მარსელი-აიაჩო | 1:0 |
| ბორმნუთი-ტოტენჰემი | 0:3 |
| **ავსტრია** | |
| ვინერი-აუსტრია (ქ) | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| დორნბირნი-ადმირა | 0:4 |
| ლუშტენაუ-აუსტრია A | 3:0 |
| ჰარტბერგი-ტიროლი | 0:2 |
| ზალცბურგი A-გრატკორნი | 3:3 |
| სტ. პოლტენი-ვენა | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| დროგედა-ბრეი | 1:2 |
| გალვეი-დანდალკი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| შელბურნი-სპორტინგი | 1:0 |
| უექსფორდი-უნივერსიტი | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| ილიჩივეცი-ზაკარპატია | 1:0 |
| **სლოვენია** | |
| დომჟალე-დრავა | 2:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბასტადი** | |
| რობრედო-გაბაშვილი | 6:4, 6:0 |
| ვერდასკო-მონაკო | 1:6, 1:6 |
| სიოდერლინგი-ალმაგრო | 7:5, 6:3 |
| მელცერი-ვინსიგერა | 6:2, 4:6, 3:6 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| ჰანესკუ-სიდორენკო | 7:6, 6:4 |
| დავიდენკო-ფონინი | 1:6, 6:3, 5:7 |
| კიფერი-კუბოტი | გადაიდო |
| **WTA. პალერმო** | |
| ერანი-შვედოვა | 6:2, 7:5 |
| პენეტა-რეზაი | 6:4, 6:4 |
| გარბინი-გოვორცოვა | 6:2, 6:1 |
| შნიდერი-გრონეფელდი | 3:6, 0:6 |
| **WTA. პრაღა** | |
| ბამერი-პრადეცკა | 7:5, 5:7, 7:5 |
| ბენეშოვა-დიასი | 6:4, 6:1 |
| სკიავონე-ე. ბონდარენკო | 6:1, 6:1 |
| სუარეს ნავრაო-ბაშჩინსკი | 4:6, 4:6 |

TV პროგრამა

**18 ივლისი. შაბათი**

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

12:15 ჩოგბურთი. ქალთა საერთაშორისო ტურნირი. თბილისი. საქართველო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:05 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
07:35 საფეხბურთო კლუბი.
08:20 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. კრუზეირო (ბრაზილია)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
10:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.
15:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
17:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-ზენიტი.
19:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. კრუზეირო (ბრაზილია)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
21:25 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.
23:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
00:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-პორტუ.
02:50 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჩელსი.
05:35 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სევილია.

**EUROSPORT**

10:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 1 მ. ფინალი. რომი. იტალია.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი. ვიტელი-კოლმარი.
12:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 10 მ. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
13:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 1 მ. ფინალი. რომი. იტალია.
14:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ეტაპი. ვიტელი-კოლმარი.
15:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი. კოლმარი-ბეზანსონი (LIVE).
19:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 3 მ. რომი. იტალია.
20:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
22:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
22:15 პროფესიული კრივი. საშუალო წონითი კატეგორია. ავთანდილ ხურციძე (საქართველო). ოდესა. უკრაინა (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი. კოლმარი-ბეზანსონი.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი. კოლმარი-ბეზანსონი.

**19 ივლისი. კვირა**

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

14:00 ავტოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
08:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-ფენერბაჰჩე.
10:05 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. კრუზეირო (ბრაზილია)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
15:45 რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-კრილია (LIVE).
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
22:25 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბეტისი.
00:15 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბარსელონა.
02:10 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:40 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. კრუზეირო (ბრაზილია)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
04:40 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. I რბოლა. ლე მანი. საფრანგეთი.
11:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
12:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 1 მ. საკვალიფიკაციო. რომი. იტალია (LIVE).
14:45 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
15:30 ავტოსპორტი. ფორმულა 2. II რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
16:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი (LIVE).
17:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. პონტარლიე-ვერბიე (LIVE).
19:45 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 10 მ. რომი. იტალია (LIVE).
20:15 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
21:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 1 მ. ფინალი. რომი. იტალია.
22:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
22:45 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
23:00 პროფესიული კრივი. მეორე ნახევრადსაშუალო წონა. ლ. აბრეგუ (არგენტინა)-ირვინგ გარსია (პუერტო რიკო). აშშ.
23:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი.
00:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
01:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. კვალიფიკაცია. რომი. იტალია (LIVE).
04:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. პონტარლიე-ვერბიე.
05:15 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. რომი. იტალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამსებმა ESPN-ზე გაიბრწყინეს



ლოს ანჯელესში პოპულარული ტელეარხის ESPN-ის პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონია გაიმართა. 1993 წლიდან მოყოლებული, საუკეთესო სპორტსმენებს ტელემაყურებლები ავლენენ.

გუშინდელი საღამოს ტრიუმფატორი ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** გახდა, რომელმაც ოთხ კატეგორიაში გაიმარჯვა - "საუკეთესო სპორტსმენი", "საუკეთესო ოლიმპიელი", "საუკეთესო საჩემპიონო გამოსვლა" და "საუკეთესო შედეგი".

ცერემონია ჰოლივუდის ვარსკვლავს **სამუელ ელ ჯექსონს** მიჰყავდა, ერთი სიმღერა შეასრულა ლეგენდარულმა **სტივი ვანდერმა**...

საღამოზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ დები **უილიამსები,** რომლებსაც საკუთარი დიზაინით შეკერილი კაბები ეცვათ და მათ მოდის კრიტიკოსთა ქათინაურებიც კი დაიმსახურეს. სხვათა შორის, სერენა წლის საუკეთესო ქალ ჩოგბურთელად დაასახელეს.





# ფოტოები გამოსდის

პოპულარულმა სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** თავისი თაყვანისმცემლები მორიგი ფოტოსესიით გაახარა.

ამჯერად, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჟურნალ Vogue-ის ფურცლებზე გამოჩნდა. ფოტოსესიის სრული ვერსია მხოლოდ აგვისტოში გამოქვეყნდება, მანამდე კი ერთ სურათს გთავაზობთ.

# როჯერის ახალი აღიარება

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** თავისი მშობლიური ქალაქის - ბაზელის დიდების დარბაზში მიიღეს.

საზეიმო ცერემონია გუშინ გაიმართა და უამრავი მაყურებელი შეკრიბა. ჩვეულებრივ, დიდების დარბაზში ქალაქის მხოლოდ იმ მცხოვრებლებს იღებენ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ბაზელის პოპულარიზაციაში და თავიანთ საქმიანობაში დიდ შედეგებს მიაღწიეს.



# რაფას ტრანსპორტი

ესპანელმა **რაფაელ ნადალმა,** რომელიც მუხლის ტრავმის გამო ორი თვეა არ თამაშობს, ლეგენდარული მარკის Harley-Davidson-ის მოტოციკლი შეიძინა.

ბოლოს დროს, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ძალიან გაიტაცა ამ ფირმის მოტოციკლებმა მათი ორიგინალური დიზაინისა და ექსკლუზიური სტილის გამო. რაფამ ცდუნებას ვერ გაუძლო და მოდელი XR1200 შეიძინა.

*"ეს მოდელი ერთი ნახვით მომეწონა, - ამბობს რაფა. - მასზე ქალაქში უპრობლემოდ შეიძლება გადაადგილება".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა






გამოვიდა ივლისის ნომერი

